Narakidze

ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეექვსე წელიწადი

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

კვირა, 21 მარტი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 63 (1518)

დღიური

- ბრიანის მთავრობის მდგომარეობა [illegible]
- ინდოეთში დაინიშნა მეფის ახალი მოადგილე.
- შრომის მინისტრების თათბირზე [illegible] რვა საათის შრომის შესახებ.
- ინგლისში ლოკაუტი მოხსნეს.
- გადადგა საბერძნეთის პრეზიდენტი.
- პოლონეთში მონარქისტული მოძრაობა გრძელდება.

საქართველოს წითელი არმიის არსებობის ხუთი წ. თავი

პროლეტარული რევოლიუციის და მშრომელი ხალხის მედგარ დარაჯს, საქართველოს წითელ არმიას, უსრულდება დღეს არსებობის ხუთი წლისთავი. თავისი დიდი მოწოდების და პასუხისმგებლობის შეგნებით აწარმოებს ის თავის სამხედრო გაწვრთნას, იმქნს პოლიტიკურ მომზადებას, რომ საკავშირო რესპუბლიკების წითელ არმიასთან ერთად დაიცვას მონაპოვარი რევოლიუციის და მშრომელთა მშვიდობიანი აღმშენებლობა გარეშე და შინაურ მტრებისაგან.

ძმური სალამი ჩვენ წითელ არმიას და მის ხელმძღვანელებს!

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ლაშქარს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს! გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას!

მოწოდება

ქართულ სოციალისტურ წითელი მუშურ-გლეხურ ჯარისადმი

(მისი ხუთი წლის არსებობის გამო)

ამხანაგებო წითელარმიელებო, მეთაურებო, კომისრებო და პოლიტხელმძღვანელებო!

შესრულდა ხუთი წელიწადი ქართული წითელი ჯარის ჩამოყალიბების დღიდან. ამ ხუთი წლის განმავლობაში ქართულმა წითელმა ჯარმა განვლო დიდი სკოლა. **ეს იყო ხანა სამხედრო მშენებლობის და შემოქმედების.** ეს იყო ხანა ერთ და იმავე დროს **თქვენი საომარი ძლიერების, პოლიტიკური შეგნების და სიმტკიცის შეუჩერებელი ზრდისა და მატებისა.**

ქართული წითელი ჯარი წარმოიშვა მეტად მძიმე და რთულ პირობებში. საზოგადოების ერთი ნაწილი და ძველი აფიცრობა მის წინააღმდეგ იყო განწყობილი. მენშევიკების პარტია ეწეოდა გამუდმებით საზიზღარ პროვოკაციას, როგორც საბჭოთა ხელისუფლების, ისე წითელი ჯარის წინააღმდეგ. იყო ცდა ქართულ წითელი ჯარის წაკიდებისა საქართველოში მყოფ რუსის წითელი არმიის ნაწილებთან. ავრცელებდნენ ხმებს, რომ ქართ. წით. ჯარი მხოლოდ ხის მოსატყუებლად არის გამოგონილი, რომ მას არვინ ყურადღებას არ აქცევს, რომ ფაქტიურად საქართველო რუსის ჯარების მიერ არის დაპყრობილი, როგორც დაპყრობილი ქვეყანა და სხვადასხვა. საჭირო იყო მთლად თავდადებული მუშაობა, რომ ასეთ პროვოკაციის ანკესზე არ წამოგებულიყო. ამავე დროს ქართული წითელი ჯარის ნორმალურ ზრდა-განვითარებას ხელს უშლიდა აგრეთვე ნივთიერი სახსრების ნაკლებობა და ზოგ შემთხვევაში სრული უქონლობაც. მაგრამ ეს საერთო ნაკლი იყო. ყოველივე ეს უკიდურესად ართულებდა და აძნელებდა გამუდმებით ქართული წითელი ჯარის მუშაობას და შემოქმედებას.

მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ გვქონდა ორი პირობა, რაც ხელს გვიწყობდა ქართული წითელი ჯარის აღმშენებლობაში. პირველი, წითელი ჯარისთვის საუკეთესო მასალა—მუშების და გლეხის შვილები; მეორე, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილება, ლენინის ანდერძის თანახმად, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ქართული წითელი ჯარი მაინც უნდა შეგვექმნა.

და აი, ყველა ორგანოების შეთანხმებულმა მეცადინეობამ მიაღწია მიზანს. ყველა დაბრკოლებები [illegible] დაძლეულ იქნენ. მუშათა კლასის და საბჭოთა ხელისუფლების მტრების ოინებმა [illegible] და დღეს, ქართული წითელი ჯარის არსებობის ხუთი წლის თავზე საქართველოს მუშებს და გლეხებს შეუძლიათ იამაყონ მით, რომ მათ ჰყავთ ისეთი წითელი ჯარი, რომელიც თავისი დისციპლინით, თავისი საომარი სიძლიერით და თავისი პოლიტიკური შეგნებით არ ჩამოუვარდება საკავშირო წითელ არმიას, რომლის შემადგენელ ნაწილს ის წარმოადგენს.

ქართული წითელი ჯარის ერთ ერთ უდიდეს მიღწევას შეადგენს **ნაციონალური საკითხის სწორი გადაჭრა თვით წითელ ჯარში,** და გარდა ამისა, ნამდვილი ძმური ურთიერთობის დამყარება ქართული წითელ ჯარისა და რუსეთის წითელ არმიის საქართველოში მყოფ ნაწილებს შორის. დეე [illegible] მუშათა კლასის მტრებმა [illegible] იმის შესახებ, რომ საქართველოს [illegible] უცხოელ ჯარებსო. [illegible] ქვეყანამ იცის, რომ ეს საზიზღარი ჭორია. საქართველოს წითელი ჯარის ნაწილები, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკისტანის, თურქმენისტანის, სომხეთის და აზერბეიჯანის წითელ არმიელებთან ერთად ემსახურებიან ერთ ყველასათვის საერთო დიად საქმეს, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

ამხანაგებო წითელარმიელებო! წითელი ჯარი ოქტომბრის დიდი რევოლუციის ერთი უდიდესი მონაპოვართაგანი. კიდევ მეტი: წითელი ჯარი ამ რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნების და, მაშასადამე, სოციალიზმის განხორციელების ერთი უდიდესი თავდებთაგანია. წითელი ჯარი საბჭოთა ხელისუფლების ერთი მთავარი ბურჯია, რომელზედაც ის ეყრდნობა. წითელი ჯარი თავდებია საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი მუშაობისა. მას შემდეგ, რაც საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება და წითელი ჯარი არსებობენ, არსად არ დარღვეულა მშრომელთა მშვიდობიანი ცხოვრება და შემოქმედებითი მუშაობა.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ საქართველოს წითელი ჯარი არ წარმოადგენს განცალკევებულ ძალას. ყველა საბჭოთა რესპუბლიკების წითელი ჯარები გაერთიანებულია ერთ დიდ სახელოვან წითელ არმიაში, და სწორედ ამაშია ჩვენი ძალა, წითელი ჯარის დაუძლეობა, ერთი რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკის მტერი არის იმავე დროს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ანუ მთელი საბჭოთა კავშირის საერთო მტერი. ამაშია ჩვენი დაუძლეველი ძლიერება. და ეს კარგად იციან ჩვენმა მტრებმა. ჩვენი კავშირი და, მაშასადამე, საქართველოც, გარშემორტყმულია ბურჟუაზიული სახელმწიფოებით, რომლებიც მზად არიან ჩვენ ჩაგვყლაპონ, მაგრამ იმათ ეშინიათ ჩვენი გმირული, სახელოვანი და დაუძლეველი წითელი ჯარის. წითელი ჯარის სახელი მოდებულია მთელ ქვეყნიერებაზე, როგორც დამცველის ყველა ჩაგრულთა და დამონებულთა. მთელი ჩაგრული კაცობრიობა მას სასოებით და სიყვარულით შეჰყურებს. პირიქით, ის საშინელი და თავზარდამცემია ყველა მჩაგვრელებისა და მყვლეფელებისათვის. წითელ არმიას თავგანწირული ბრძოლით და სისხლით მოპოებული აქვს სახელი დაუძლეველის და დაუმარცხებელის. წითელი ჯარი თავისი არსებით, თავისი დიადი მოწოდებით არ ეკუთვნის ერთ რომელსამე ერს, ანუ ერთს რომელსამე ხალხს, **ის საერთაშორისო, მსოფლიო ძალაა.** ასე უყურებენ მას ყველა ქვეყნის მუშები და გლეხები.

ამხანაგებო, საქართველოს წითელარმიელებო! ხუთი წლის წინედ საქართველოს წითელი ჯარი, როგორც უმცროსი მოძმე, დაუძმობილდა რუსეთის სახელოვან წითელ არმიას. მას შემდეგ, თქვენ იზიარებთ მის ჭირს და ლხინს, მის გაჭირვებას და სიხარულს. თქვენ განამტკიცეთ და ურყევი ქმენით ძმური კავშირი საბჭოთა კავშირის ყველა ერთა შორის. თქვენ მოწოდებული ხართ შეუდრეკლათ და მტკიცედ დაიცვათ ერთგულება მუშების და გლეხების ხელისუფლებისადმი. თქვენ მოწოდებული ხართ დაიცვათ მშრომელი ხალხის ინტერესები. თქვენი მისაბაძი მაგალითი ყოველთვის უნდა დარჩეს ის წითელი ჯარი, რომელმაც 1918—1920 წლებში დაამარცხა მუშათა კლასის აუარება მტრები. ის წითელი დროშა, რომელიც თქვენ გადმოგცათ წინა თაობათა მებრძოლებმა, თქვენ მაღლა უნდა გეჭიროთ. ეს წითელი დროშა თქვენ ამაყად და შეუდრეკელად უნდა ატაროთ. და მაშინ თქვენ განახორციელებთ თქვენი უდიდესი ბელადის—**ლენინის** ანდერძს.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ჯარს!

გაუმარჯოს საკავშირო წითელ არმიას!

გაუმარჯოს წითელი ჯარის ბელადს—კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქარ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ჩვენი არმია

ქართული წითელი არმია განსაკუთრებულ პირობებში ჩაისახა და განვითარდა. მას არ გაუვლია სამოქალაქო ბრძოლის ცეცხლში. მის წინამორბედი არ ყოფილა ძველი თვითმპყრობელური რუსეთის არმია. მეფის არმიის დარღვევის შემდეგ აქ მენშევიკურმა ხელისუფლებამ შექმნა საკუთარი ეროვნული ჯარი—გვარდია და ჩვეულებრივი არმია, რომელიც მოწოდებული იყო კონტრრევოლიუციონურ სამშობლოს დასაცავათ და რომელიც სამი წლის განმავლობაში შოვინისტური გრძნობით იზრდებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ საჭირო იყო ყოფილ სამხედრო აპარატის ძირ-ბუდიანათ დამსხვრევა და ახალი, მუშურ-გლეხურ შეიარაღებულ ძალის შექმნა. მრავალი სიძნელე იყო გადასალახავი; ახალ ჯარისათვის თითქმის არ მოიპოვებოდა შესაფერ ხელმძღვანელთა კადრი.



ამხ. ვოროშილოვი

საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი და საკავშირო სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარე.

არ იყო გამოცდილება, არ იყო ტეხნიკური შესაძლებლობანი.

მიუხედავათ ამისა, ქართულმა წითელ მხედრობამ საბჭოთა კავშირის სახელოვან წითელ არმიის დახმარებით სძლია ამ დაბრკოლებებს. და დღეს, როცა ის თავის არსებობის ხუთი წლისთავს ზეიმობს, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, ქართველ მუშასა და გლეხს, 25 თებერვლის მონაპოვარს, ჰყავს ერთგული და საიმედო დარაჯი.

დღეს ჩვენ გვყავს მუშურ-გლეხური წითელი მხედრობა, რომელიც დაწყებული დაბლა შემადგენლობიდან ჯარის უმაღლეს ორგანოების გათავებით, გამსჭვალულია რევოლიუციურ თვითშეგნებით და მტკიცეთ სდგას მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე.

როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიაც არ გამართლდა ჩვენი მტრების სისინი, რომელნიც „გვიწინასწარმეტყველებდენ", რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას დიდი დღე არ უწერია და რომ ის ვერ შესძლებს საკუთარ შეიარაღებულ ძალის შექმნასო. მენშევიკების სიბეცე და მშრომელი ხალხისადმი სიძულვილი იქამდიც კი მივიდა, რომ აგვისტოს ავანტიურის დროს მათ იმედი ჰქონდათ, ქართული წითელი ჯარი ვერ გაგვიწევს სერიოზულ წინააღმდეგობასო. მაგრამ სასტიკათ მოსტყუვდენ საბრალონი.

ქართულ წითელ მხედრობამ ამ ავანტიურის დროს რისხვა დასცა თავს მშრომელი ხალხის მტრებს და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული 25 თებერვლის მონაპოვარისადმი.

დღეს, მშვიდობიან აღმშენებლობის ხანაში, რომელშიაც სახელოვან წითელ არმიის მეოხებით იმყოფება საბჭოთა კავშირი, წითელი ყაზარმა წარმოადგენს არა მარტო სამხედრო ცოდნის სკოლას, არამედ ის არის საბჭოთა საზოგადოებრივობის ერთ-ერთი ძლიერი კერათაგანი. აქ მშრომელი ახალგაზრდობა იწრთვნება და იბრძმედება, როგორც მხედარი, როგორც საბჭოთა შეგნებული მოქალაქე, როგორც ახალი საზოგადოების ერთგული მუშაკი.

ჩვენი საქმე მართალია, ჩვენი გზა გარკვეულია, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის, დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს და მხოლოდ ჩვენთვის. ამაშია სიძლიერე საბჭოთა წყობილების, ამაშია სიძლიერე მისი ერთგული გუშაგის—სახელოვანი წითელი არმიის.

ქართულ წითელ ლაშქარმა ამ ხუთი წლის განმავლობაში უკვე მოიპოვა ღირსეული ადგილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ რაზმებში. მან დაამტკიცა, რომ ის ღირსია დიდი ოქტომბრის წითელ არმიის დიად სახელის.

საბჭოთა კავშირის წითელ მეომრებთან ერთად მთლიანი ფრონტით, ერთი შეგნებით და ერთი მისწრაფებით რევოლიუციის ყოველ განსაცდელის ჟამს ის მედგრად წავა წინ მშრომელთა მტრებისათვის ლახვარის ჩასაცემად და კაცობრიობის ყოველგვარ მონობისაგან საბოლოოდ განთავისუფლებისათვის.

ქართული წითელი არმია

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების პირველ დღეებშივე, ხუთი წლის წინ, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება შეუდგა თავის შეიარაღებულ ძალების შექმნას. საბჭოთა საქართველოს მთავრობამ, რომელმაც საბჭოთა რუსეთის მოძმე წითელი არმიის დახმარებით გაანადგურა და შავს ზღვაში გადაყარა მენშევიკური მთავრობის ჯარები, რომელთაც მეთაურობდენ თავადები და აზნაურები, მოუხმო წითელი არმიის რიგებში საბჭოთა საქართველოს მშრომელთა შვილებს. მან ამით უთხრა საქართველოს ყველა მშრომელებს, რომ საბჭოთა სამშობლოს საზღვრების დაცვა საბჭოთა საქართველოს მუშების და გლეხების საქმეა. მან ამით უთხრა საქართველოს მუშებს და გლეხებს, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დაცვა მენშევიკების, თავად-აზნაურების (ჩოლოყაშვილის, ჩიქოვანის, წერეთლის და სხვ.) თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან თვით საბჭოთა საქართველოს მუშების და გლეხების საქმეა.

მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ამჟამად ჩვენ გვყავს საქართველოს წითელი არმია, ღირსი საქართველოს მუშების და გლეხების. ეს ნაწილები აღიზარდენ მათი უფროსი თანამოძმის რუსეთის წითელი არმიის ხელმძღვანელობით. ის ასწავლიდა და კიდეც შესწავლა ქართულ წითელ ნაწილებს, როგორ უნდა მუშურ-გლეხური სამშობლოს დაცვა. ის მოუთხრობდა მას, თუ როგორ ანადგურებდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ლაშქარი დონის, ყუბანის ველებზე, ლენინგრადის ბჭეებთან, უკრაინაში, ვოლგის განაპირა მხარეში, შორეულ ციმბირში და თურქესტანში კაპიტალისტების, მემამულეების, მეფის გენერლების თეთრგვარდიელთა ბანდებს, რომელთაც დახმარებას უწევდენ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები. ქართული წითელი არმია ეცნობოდა ამბებს, თუ მეფის გენერლები: დენიკინი, ვრანგელი, კოლჩაკი, იუდენიჩი, მენშევიკების დახმარებით, როგორ აკეთებდენ თავის ბნელ საქმეს, რომელსაც ხვევდენ რუსეთის ნაციონალური საქმის „გამანადგურებელ" ბოლშევიკებისაგან დაცვის სამოსელში.



ამხ. ს. ორჯონიკიძე

საკავშირო სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს წევრი.



ამხ. შალვა ელიავა

კავკასიის წითელდროშოვან არმიის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წევრი.

1924 წელს 29 აგვისტოს ქართული წითელი ნაწილები პირის პირ შეხვდენ ქართველ თეთრგვარდიელებს, რომელნიც იმყოფებოდენ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ხარჯზე. ქართულმა წითელმა არმიამ იმ დღეებში დაუმტკიცა ყველას, რომ ქართველ დენიკინებს და კოლჩაკებს, როგორ სამოსელშიაც არ უნდა გაეხვიონ ისინი, სასიკვდილო ლახვარს ჩასცემენ საბჭოთა საქართველოს წითელი მეგობრები. თავად ანდრონიკაშვილის — ჟორდანიას—რამიშვილის ავანტიურას ღირსეული პასუხი გასცეს საქართველოს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მებრძოლებმა. დეე იცოდენ ამ კაპიტალისტების დამქაშებმა, რომ ყოველი ცდა დაარღვიონ საქართველოს მშრომელთა მშვიდობიანობა მაშინვე წააწყდება საქართველოს წითელ არმიის უძლეველ წინააღმდეგობას.

თავისი არსებობის ხუთი წლის თავზე საქართველოს წითელი არმია თავის თანამოძმე მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის წითელ არმიასთან ერთად გამსჭვალულია თავისი წითელი საზღვრების დაცვის შეგნებით. ის არ ემზადება ვინმეზე თავდასასხმელად. მაგრამ დეე მტრებმა იცოდენ, რომ ის არავის არ დაუთმობს არც ერთ ნაჭერ საბჭოთა მიწას.

ს. ორჯონიკიძე.

ხუთი წლის იუბილე

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დიდი მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ხელმძღვანელობით საქართველოს მუშათა და გლეხთა მასებმა დაამხვეს იმპერიალიზმის ლაქიების — მენშევიკების ხელისუფლება.

საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში მოხდა დიდი რევოლიუცია.

ეგრეთწოდებულ „დემოკრატიის", ბურჟუაზიული სიყალბის და კოლონიალური ჩაგვრის მაგივრად შექმნილი იქმნა მუშათა და გლეხთა დიქტატურის რევოლიუციონური ორგანოები.

ადგილობრივი და საერთაშორისო ბურჟუაზია, მუშების და გლეხების გააფთრებული და შეურიგებელი კლასიური მტერი განუწყვეტლივ იარაღდება ჩაგვრის ახალი ტეხნიკური საშუალებებით; ის ეძებს მოხერხებულ მომენტს, რომ თავს დაესხას შრომის ბატონობის ქვეყანას იმ მიზნით, რომ ხელიდან გამოგლიჯოს მშრომელებს დიდი ოქტომბრის დროშა.



ამხ. ლევანდოვსკი

კავკასიის წითელდროშოვან არმიის სარდალი.

მხოლოდ შეიარაღებული წინააღმდეგობით შეუძლია პროლეტარიატს დაიცვას თავისი ინტერესები და მონაპოვარნი.

და აქ შეიარაღებული, ჩაცმული და ლენინის მოძღვრებაზე აღზრდილი მუშურ - გლეხური წითელი არმია არის მშვიდობიანი შრომის და პროლეტარული სამშობლოს ერთ-ერთი მთავარი გარანტია.

საქართველოს მშრომელებმა შესძლეს თავისი კლასიური არმიის შექმნა ნაციონალური ნაწილების სახით, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალისტურ მშენებლობას საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში.

ჩვენ შევძელით ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული საკითხის გადაწყვეტა სოციალიზმის გზაზე—ჩვენ გადავწყვიტეთ ნაციონალური საკითხი. ჩვენ ნათლად, მკაფიოდ და გულწრფელად გადავწყვიტეთ იგი წითელი არმიის ნაციონალური ნაწილების შექმნის საქმეში.

ცხოვრება ყოველდღე ახალ-ახალ მოთხოვნილებებს გვიყენებს. ჩვენი სოციალისტური რესპუბლიკების განვითარების გზაზე, როდესაც ეს რესპუბლიკები სცხოვრობენ იმპერიალისტური ქვეყნების გვერდით, იბადება მთელი რიგი დაბრკოლებები, რომლებიც ჩვენ გვიკარნახებენ, რომ მივიღოთ ყოველგვარი ზომები ძლიერი მუშურ - გლეხური წითელი არმიის შესაქმნელად. მომავალი გააფთრებული შეტაკება საერთაშორისო იმპერიალიზმთან ჩვენი წითელი არმიის საომარი მომზადების გამოცდა იქნება. ამ ისტორიული გამოცდისათვის ჩვენ უნდა ვემზადოთ ყოველ საათობით და განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს ეს წითელი არმიის ქართული ნაწილების ხუთი წლისთავზე.

მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ წითელი არმიის ქართული ნაწილები, რომლებსაც ხელმძღვანელობს ლენინური კომუნისტური პარტია, რომლებიც აღზრდილი არიან პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე, მთელს ჩვენ საკავშირო მუშურ-გლეხურ წითელ არმიასთან ერთად მტკიცე დარაჯად დაუდგებიან დიდი ოქტომბრის მონაპოვართ და მძლავრ იარაღად გახდებიან საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლაში შავი კაპიტალისტური რეაქციის წინააღმდეგ.

ლევანდოვსკი.

ბრძანება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოსი

№ 145.

მოსკოვი, 1926 წელი 19 მარტი

21 მარტს სრულდება 5 წელიწადი საქართველოს წითელი არმიის ნაწილების ორგანიზაციის დღიდან. 1921 წელს მუშურ-გლეხურ წითელ არმიის ნაციონალურ ნაწილებად მოეწყვენ მეამბოხე ქართული რაზმები და მენშევიკური სახალხო არმიის ის კადრები, რომელნიც იარაღით ხელში გამოვიდენ საქართველოს და უცხოეთის თეთრ გვარდიელთა წინააღმდეგ. ეს ნაწილები 5 წლის განმავლობაში მუშურ-გლეხურ წითელ არმიის სხვა ჯარებთან ერთად იცავდენ რევოლიუციის მონაპოვარს და ქართველი ხალხის მშვიდობიან შრომას, და ამავე დროს აძლიერებდენ თავიანთ ბრძოლის უნარს.

მენშევიკების და თავად-აზნაურების კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების დღეებში 1924 წელს ქართულ ეროვნულმა ჯარებმა ჩააქრეს აჯანყება და ამით დაამტკიცეს, რომ ისინი არიან საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების, ქართველ მუშათა და გლეხთა ფართო მასების დასაყრდენი.

მშრომლებთან კავშირის განმტკიცება, მათი ჩაბმა ქვეყნის თავდაცვის საქმეში, ფართო სამხედრო და კულტურული პროპაგანდა მოსახლეობის შორის. მთელ მუშურ-გლეხურ არმიასთან მტკიცე კავშირის განმტკიცება, ყველა ჯარისკაცების და საკომანდო შემადგენლობის სამხედრო და პოლიტიკური მომზადების გაღრმავება. მატერიალური რესურსების მოხერხებულად გამოყენება სამხედრო ტეხნიკის ყოველ მხრივ განვითარების საქმეში, წითელ არმიელთა და კომანდირთა შორის რევოლიუციონურ, შეგნებულ დისციპლინის გამტკიცება —აი ის ამოცანები, რომელიც სდგას ქართულ ნაწილების წინაშე მათი არსებობის მე-6 წელს.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების რევოლიუციონური სამხედრო საბჭო ძმურ სალამს უძღვნის საქართველოს წითელი არმიის სამხედრო ნაწილებს მათი არსებობის 5 წლის თავზე და დარწმუნებულია იმაში, რომ ყველა ზემოაღნიშნული ამოცანები ისევე წარმატებით იქნება შესრულებული მათ მიერ, როგორც დღემდე ასრულებდენ ისინი თავიანთ მოვალეობას კავშირის მშრომელთა წინაშე.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელარმიის ქართულ ნაწილებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების მშრომელთა მტკიცე კავშირს!

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე
ვოროშილოვი.

მისალმებანი ქართულ წითელ არმიას

ქართულ წითელ ჯარს—კომინტერნისაგან

ქართულ დივიზიების წითელ არმიელებს, კომანდირებს და პოლიტმუშაკებს, რომლებიც დღესასწაულობენ თავიანთი არსებობის ხუთი წლის თავს, ვუგზავნი მხურვალე სალამს კომინტერნის სახელით. კომინტერნი დარწმუნებულია, რომ მუშებსა და გლეხებთან მჭიდრო დაკავშირებული ქართული დივიზიები რევოლიუციის სადარაჯოზე იდგომებიან და ფხიზლათ დაიცავენ საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვრებს იმპერიალისტურ თავდასხმებისაგან. კომინტერნი უსურვებს ქართულ დივიზიებს, რომ ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით განეგრძოთ წინსვლა, განმტკიცება და განვითარება. ვუსურვებთ, აღეზარდოთ რევოლიუციონური მებრძოლები—მოწინავე მონაწილენი სოციალისტურ მშენებლობისა.

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს მის სახელოვან რაზმს —ქართულ დივიზიებს!

ზინოვიევი.

გლეხთა ინტერნაციონალისაგან

გულითადი სალამი და მილოცვა ქართულ დივიზიის ყველა მებრძოლებს.

დომბალი.

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოსაგან

ხუთი წლის თავზე ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭო მხურვალეთ ესალმება საბჭოთა საქართველოს წითელი არმიის წითელ არმიელებს, საკომანდო და პოლიტიკურ შემადგენლობას.

სახალხო კომისართა საბჭო მტკიცედაა დარწმუნებული, რომ თავისუფალ ქართველ ხალხის ეროვნული, მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელმაც საქმით დაამტკიცა ბრძოლის უნარი და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულობა, მომავალშიც მთელი კავშირის დიდი წითელი ინტერნაციონალური არმიის დანარჩენ რაზმებთან ერთად იქნება საბჭოთა საქართველოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მტკიცე საყრდენი, და მისი კულტურულ და ეკონომიურ მონაპოვართა დამცველი.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლუკაშინი.

მენშევიკური კონტრ-რევოლიუციის რისხვას — ქართველ მეომრებს

მსოფლიო კაპიტალის დამქაშებს, ქართველ მენშევიკების საწინააღმდეგო ბრძოლაში—საქართველოს გასანთავისუფლებლად—გაიზარდა და განმტკიცდა ქართული წითელი არმია, რომლის ხუთი წლის არსებობაც ამტკიცებს, რომ ის ნამდვილად დამცველია მშრომელთა მასსების კლასიურ ინტერესებისა და მტკიცეთ სდგას დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე, ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის მძიმე დღეებში საქართველოს წითელი არმია შესძლებს ერთსულოვნათა და მტკიცეთ დაიცვას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარნი მშრომელთა მასების ყველა მტერთაგან. საქართველოს წითელ არმიის არსებობის ხუთი წლის თავზე მხურვალე სალამს ვუძღვნი ყველა მებრძოლებს და საქართველოს ყველა მშრომელებს.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ არმიას, ამ მშრომელთ მასების დამცველს, რომელიც მსოფლიო კაპიტალის საწინააღმდეგო ბრძოლის ასპარეზზე მოაფრიალებს კომუნიზმის დროშას.

ლაშევიჩი.

რევოლიუციის მედგარ დარაჯებს—ქართველ წითელ მხედრებს

საბჭოთა საქართველოს მუშურ-გლეხურ წითელი არმიის 5 წლის თავი წარმოადგენს საუკეთესო დღესასწაულს ქართველ მუშებისა და გლეხებისათვის. საქართველოს ოქტომბერი დაიწყო იმ მომენტიდან, როდესაც საქართველოს ნამდვილი თავისუფლება და დამოუკიდებლობა მენშევიზმისა და იმპერიალიზმისაგან დაცულია საქართველოს წითელი არმიის იარაღით. დღეს საბჭოთა საქართველოს თვითეული მუშა და გლეხი დამშვიდებით ეწევა სოციალისტურ მშენებლობას იმ ურყევი რწმენით, რომ საქართველოს სახელოვანი წითელი არმია გამძრულად დაიცავს მის შრომას, ხელისუფლებას და ქვეყნის კონტრ-რევოლიუციონურ ტალღისაგან, საქართველოს ფარგლებიდან გარიყულ თავად-აზნაურულ მენშევიკურ კამარილიის და მათ საზღვარ-გარეთელ მფარველთა ხელშეხებისაგან.

საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტი მხურვალე სალამს უგზავნის საქართველოს წითელი არმიის მებრძოლ მხედრებს და საკომანდო შემადგენლობას და გამოსთქვამს რწმენას, რომ იგი იქნება საბჭოთა კავშირის დიდი წითელი არმიის სამაგალითო რაზმი, რომელიც შესძლებს ყოველგვარ გაჭირვების გადალახვას ისეთივე სიმამაცით, როგორიც მან გამოიჩინა მენშევიკურ ავანტიურის აგვისტოს დღეებში.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავ. საოლქო კომიტეტი.

მხურვალე სალამი ქართულ წითელ არმიას

ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალეთ ესალმება ქართულ წითელ არმიას არსებობის ხუთი წლის თავზე.

საქართველოს მუშებმა და მშრომელმა გლეხობამ ამ ხუთი წლის უკან მოიპოვეს რევოლიუციონური ხელისუფლება, მენშევიკების ბატონობისაგან განთავისუფლებით. მოპოებულ რევოლიუციონური თავისუფლების სრულ განმტკიცებისა და მისი არსებობის უზრუნველყოფის მიზნით დაარსდა მუშებისა და მშრომელი გლეხობისაგან შემდგარი ქართული წითელი არმია.

ქართული წითელი არმიის დაარსებიდან დღემდე განვლილი ხუთი წელი—ეს არის საუკეთესო რევოლიუციონური სკოლა, სადაც დავაჟკაცდა და განმტკიცდა საბჭოთა საქართველოს შეიარაღებული ძალა. ამ ხნის განმავლობაში, კერძოდ მენშევიკური ავანტიურის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართულმა წითელმა არმიამ საქმით დაამტკიცა, რომ ის არის ღირსეული წევრი საბჭოთა სოციალისტურ საკავშირო რესპუბლიკების სახელოვანი წითელი არმიის კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვის პირობებში. ქართული წითელი არმია საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკების წითელ არმიასთან ერთად სდგას ოქტომბრის რევოლიუციის სადარაჯოზე.

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციის სადარაჯოზე მდგომ ქართულ წითელ არმიას.

ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

სამხრეთ-ოსეთის ცაკისაგან

20 მარტისთვის დანიშნულმა საბჭოთა ყრილობა ნებას არ მაძლევს დავესწრო ქართულ დივიზიების დღესასწაულს, ოსეთის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს ვუძღვნი ქართულ დივიზიების მებრძოლებს და ვუსურვებ შემდეგ გამარჯვებას.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

სამხ.-ოსეთის ცაკის თავმჯდომარე ჯატიევი.

კომუნიზმისათვის ერთგულ მებრძოლთ — ქართულ წითელ არმიას

5 წლის წინად, მსოფლიო კაპიტალის მოსამსახურე მენშევიკების დიქტატურისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლის ქარ-ცეცხლში საძირკველი ჩაეყარა საქართველოს წითელ არმიას. მისი სახით განხორციელდა მჭიდრო კავშირი, რომელიც აერთიანებს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებს მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ოქტომბრის რევოლიციის მონაპოვართა დასაცავათ. საქართველოს წითელი არმიის 5 წლის არსებობამ საქმით დაამტკიცა მისი ბრძოლის უნარი კავშირის მშრომელთა ინტერესების დაცვის საქმეში, მისი ერთგულება კომუნიზმისათვის ბრძოლის ფრონტზე. 5 წლის თავზე მხურვალე სალამს ვუძღვნი საქართველოს წითელი არმიის მებრძოლებს და საქართველოს ყველა მშრომელებს.

გაუმარჯოს ყველა ერების მშრომელთა კავშირს კომუნიზმისთვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს მათ გაერთიანებას მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში.

უნშლიხტი.

თბილისის აღმასკომისაგან

თბილისის აღმასკომი უძღვნის საქართველოს წითელ არმიას, მისი არსებობის ხუთი წლისთავზე, მხურვალე სალამს.

საქართველოს განაბჭოებისას ერთ მთავარ მიზანს შეადგენდა ქართული წითელი არმიის შექმნა. მენშევიკური მთავრობის მიერ დატოვებული ჯარი დარღვეული იყო. მისი უფროსთა შემადგენლობა უმთავრესად შესდგებოდა ქართველ თავად - აზნაურებისაგან, რომლებიც შოვინიზმით იყვნენ მოწამლული და არაფერი საერთო არ ჰქონდათ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოსთან.

საჭირო იყო შექმნა ქართული წითელი არმიის.

საბჭოთა წესწყობილების მიღწევათა შორის ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს წითელი ჯარის შექმნას. ქართველი მუშები და გლეხები, რომლებისაგანაც შესდგება წითელი ჯარი, დღეს წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც იცავს საბჭოთა წესწყობილებას მტრებისაგან.

დღეს, ხუთი წლისთავზე, ამ დიდ ზეიმს ქალაქ თბილისის აღმასკომი, რომელიც არ ზოგავდა თავის ენერგიას და საშუალებას, რომ შეეტანა თავისი წვლილი წითელი ჯარის მოწყობა - გაძლიერების საქმეში, უსურვებს მას სიძლიერეს, სიმტკიცეს და სიფხიზლეს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დაცვაში.

დეე, ის იყოს შიშისმგვრელი ჩვენი მოსისხლე მტრებისათვის და გარანტია მშვიდობიანი მუშაობისა მშრომელი ხალხისათვის.

გაუმარჯოს საქართველოს მუშათა და გლეხთა წითელ არმიას.

გაუმარჯოს საკავშირო წითელ არმიას და მის ხელმძღვანელებს.

თბილისის აღმასკ. თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

ორასი ცხენი ქართულ მხედრობას

ამხ. ორჯონიკიძეს, კავკ. წით.-დროშ. არმიის რევ. სამხედრო საბჭოს

ქართული წითელი არმიის ხუთი წლის არსებობის აღნიშვნის დღეს რევ. სამხედრო საბჭო ცხენოსანთა პოლკს მოუძღვნის 200 ცხენს, რომლებიც შეკაზმულ იქნებიან 1 ივლისისთვის.

მოსკოვი, 19 მარტი.

ვოროშილოვი.

დადგენილება № 24

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ამნისტიის შესახებ

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის წითელი არმიის არსებობის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

1. ქართული წითელი არმიის სამხედრო მსახურნი, რომელნიც ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე, იხდიან სოციალური დაცვის ღონისძიებას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულებათა განაჩენით, ან ადმინისტრატიულ ორგანოთა დადგენილებით ისეთი დანაშაულისათვის, რისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით სოციალური დაცვის ღონისძიებათ დაწესებულია ფულადი ჯარიმა, იძულებითი მუშაობა ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, განთავისუფლებულ იქნეს სოციალური დაცვის ღონისძიების იმ ნაწილისაგან, რომელიც ჯერ არ მოუხდიათ.

2. მოსპობილ იქნეს წარმოებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესისამებრ, ისეთი დანაშაულის საქმე, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების 1-ლ მუხლში და ჩადენილია ამა წლის მარტის 21-ამდე, უკეთუ იგი წინასწარი წარმოების სტადიაშია, ხოლო ისეთი საქმე, რის შესახებაც განაჩენი უკვე გამოტანილია, მაგრამ ჯერ კიდევ კანონიერ ძალაში არ შესულა, ან სისრულეში მოყვანილი არ არის, მოსპობილ იქნეს იმ სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებით, სადაც აღნიშნული საქმე სწარმოებს, ან იმ დაწესებულების დადგენილებით, რომლის მიერ გადაწყვეტილია გადახდევინება.

3. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ პირთ, რომელნიც დადგენილების გამოქვეყნების დღემდე იხდიან თავისუფლების აღკვეთას, ყველა სხვა, გარდა 1-ლ მუხლში აღნიშნულ დანაშაულისათვის, იმ დანაშაულის გამოკლებით, რაც გათვალისწინებულია 58-73, 76, 116, 117¹, 186 მუხ. და 187 მუხ. „ბ“ პუნქტ. (როდესაც ქურდობა ჩადენილია განმეორებით—რეციდივი), 187 მუხ. „გ“ პ. 187¹ და 191 მუხ.,—შეეფარდოს ვადამდე—პირობითი განთავისუფლება, უკეთუ მათ მოუხდიათ უკვე ერთი მესამედი თავისუფლების აღკვეთის ვადისა. იმ წესისა და იმ პირობისამებრ, რაც კანონით დაწესებულია ვადამდე პირობითი განთავისუფლებისათვის, და უკეთუ ისინი არ არიან სოციალურად საშიშარნი და მათი მოქმედება არ წარმოადგენს სათრთხეს, საზოგადოებრივი მართლწესრიგისათვის.

4. წინა მუხლში გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ამავე მუხლში აღნიშნული გამონაკლისის), რაც ჩადენილია ქართული წითელი არმიის სამხედრო მსახურის მიერ ამა წლის მარტის 21-მდე, ხოლო საქმე ჯერ არ არის განხილული, სასამართლო და სათანადო ადმინისტრატიულ დაწესებულებას უფლება ეძლევა საქმის განხილვის შემდეგ განსაზღვრული ვადით დანიშნული სოციალური დაცვის ღონისძიება შეამციროს ერთი მესამედით.

შენიშვნა: უკეთუ სამხედრო მსახურს ა. წ. მარტის 21-მდე ჩადენილი დანაშაულისათვის გადაეწყვიტა სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება, სასამართლოს ან სათანადო ადმინისტრატიულ დაწესებულებას უფლება ეძლევა აღძრას სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა, რათა აღნიშნული სოციალური დაცვის ღონისძიება შეცვლილ იქნეს ათი წლის თავისუფლების აღკვეთით.

5. ამა დადგენილებაში აღნიშნული შეღავათი არ გავრცელდება:

ა) ყოველგვარ ფულად და ქონებრივ გადახდევინებაზე, რაც არ წარმოადგენს ფულადი სახით დანიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას, ბ) ფულად დაჯარიმებაზე, რომელიც უკვე სისრულეშია მოყვანილი და გ) ისეთ გადახდევინებაზე, რაც გადაწყვეტილია სისხლის სამართლის სასამართლოში წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის გამო.

6. ქართული წითელი არმიის სამხედრო მსახურნი სრულიად განთავისუფლებულ იქნენ დისციპლინარული გადახდევინებისაგან და აგრეთვე იძულებითი მუშაობისა და თავისუფლების აღკვეთისაგან, რაც მათ გადაეწყვიტათ ადმინისტრატიული წესისამებრ ა. წ. მარტის 21-მდი ჩადენილ ქმედობისათვის.

7. უშუალო მეთვალყურეობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაევალოს ქართულ მსროლელთა დივიზიების პროკურორს, რესპუბლიკის პროკურორის საერთო მეთვალყურეობით და ხელმძღვანელობით; ამ უკანასკნელს დაევალოს გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—

ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—

ს. თოდრია.

1926 წლის მარტის 20
თბილისი—სასახლე.

საქართველოს წითელი არმიის მეხუთე წლის თავი

(21 მარტი 1921 წ. 21 მარტი 1926 წ.)

გაერთიანებულ საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის უმწიკვლო და მამაც დარაჯს—წითელ არმიას—ჩემგან მხურვალე სალამი ამ მეხუთე წლის თავზე მისი არსებობისა.

1917 წლის დიდი ოქტომბრის დღიდან დაწყებული ულმობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო, გასაოცარი გმირობის შარავანდედით მოსილი ბრძოლა მუშებისა და გლეხებისა ძილი ფეოდალების და ბოურჟუაზიის წინააღმდეგ, ჩრდილოეთით ლენინგრადიდან დაწყებული დასავლეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით მრავალ ათასიან ვერსის სივრცით მოაწია ამიერ კავკასიას... მოდამ მოწინავე მრეწველობის ცენტრი ბაქო და მთელი აზერბეიჯანი შეერთდა საბჭოთა ქვეყანას. 1920 წელს გაზაფხულის დღეებში. იმავე წლის ბოლოში მას მოყვა ერივანი და მთელი სომხეთი.

1921 წლის თებერვალ-მარტის დღეებში ჯერი მიდგა საქართველოზე. ფრონტი ბაქო-ბათუმი გამოსწორებული და უზრუნველყოფილი შეიქმნა მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის.

შეერთდა საქართველო - აფხაზეთი-აჭარისტანი-სამხრეთ-ოსეთით და ასე გაერთიანებული შეუერთდა მოძმე სომხეთსა და აზერბეიჯანს **გაერთიანებულ ამიერ-კავკასიის სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც შედის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიდ კავშირში...**

ამის მომჭმედი, კომპარტიის ხელმძღვანელობით და პროლეტარიატის დიქტატურის ხელისუფლების ქვეშ არის ჩვენი სახელოვანი **მუშურ-გლეხური ძლევამოსილი ინტერნაციონალური წითელი არმია**, რომლის განუყრელ ნაწილად კავკასიის **წითელდროშოვან არმიის ფარგლებში შედის ჩვენი ახალგაზრდა მუშურ-გლეხური საქართველოს წითელი არმია, თავის ორი მსროლელ დივიზიებით.**

საქართველოს წითელი არმია დაიბადა ბრძოლის ქარცეცხლში 1921 წელს, თებერვალ-მარტის დღეებში, როცა საქართველოს მოწინავე მებრძოლ მუშებმა და გლეხებმა, **კომპარტიის ხელმძღვანელობით და ჩრდილოეთის მოძმე მუშურ-გლეხური წითელი არმიის შემწეობით, მხოლოთ ერთი თვის განმავლობაში განდევნეს საქართველოდან მოღალატე ცრუ-დემოკრატიული მენშევიკური მთავრობა** ჟორდანია-ჩხეიძე-გეგეჭკორი - ჩხენკელი - წერეთელ - რამიშვილების შავი ზღვის იქით მათი დამქირავებელ მტაცებელ იმპერიალისტებთან...

მას აქეთ მრავალჯერ სცადეს მათ თავიანთი დამქირავებლების ხარჯზე მტკიცეთ შეერთებულ მუშურ-გლეხურ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს დანგრევა მაგრამ ამაოთ...

მათი ცდა 1924 წელში აგვისტოს დღეებში მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში გაიგმირა სახელოვანი წითელი არმიის საქართველოს მუშურ-გლეხურ ნაწილების მიერ..,

ვაშა და დიდება ამ ახალგაზრდა წითელ ლაშქარს! გაუმარჯოს საქართველოს წითელ არმიას მისი არსებობის მეხუთე წლის თავზე!

ძირს ხალხის მტრები მენშევიკები და ყველა ძველი თავად-აზნაურები და ბურჟუები მეფობის და კაპიტალიზმის მოტრფიალენი!

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების დიდ კავშირს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს კომუნიზმს-მარქსიზმს-ლენინიზმს!

მ. ცხაკაია.



ქართული № დივიზიის ხელმძღვანელთა ჯგუფი



ქართული ცხენოსანი ლეგიონის უფროსი და სამხკომი

საქართველოს წითელი არმია

(მისი არსებობის ხუთი წლისთავის გამო)

> **„ამხ. სერგო! აბსოლიუტურათ აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობაზე მიღებული იქნას გადაწყვეტილება საქართველოს წითელი ჯარის გაძლიერების შესახებ. და ჩაბმული იქნან ამ საქმეში სამუშაოდ ხელისუფლების ყველა ორგანოები და მშრომელი მასები“ და სხვა.**
>
> თქვენი ლენინი.

(ლენინის წერილიდან ამხ. ს. ორჯონიკიძისადმი).

ეს პატარა ამონაწერი აშკარად ხდის, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევს და აქცევდა ჩვენი პარტია და მისი ბელადი ჩვენ წითელ ლაშქარს საერთოდ და კერძოდ ქართულ წითელ არმიის გაძლიერების საკითხს. განსაკუთრებულ ყურადღების საგანს წარმოადგენს საქართველოს კომუნისტურ პარტიისთვის აქ, საბჭ. ხელისუფლების გამოცხადების პირველ დღიდანვე, საქართველოს წითელ არმიის შექმნის საქმე. და ჯერ კიდევ 21 მარტს ქ. ბათომში ქვეყნდება პირველი ისტორიული ბრძანება, სამხედრო საზღვაო სახალხო კომისრის, ამხ. შალვა ელიავასი, ქართული წითელი ჯარის შექმნის შესახებ.

ქ. ბათომში ჩაეყარა საფუძველი ქართულ წითელ არმიას, ვინაიდან ქ. ბათომში, იქ სადაც თავმოყრილი იყო მენშევიკების მთელი ჯარი და გვარდია, დალია სული საქართველოს კონტრ-რევოლიუციამ.

და მიუხედავათ იმისა, რომ მუშაობა ჯარის შესაქმნელად მიმდინარეობ და მძიმე პირობებში, ჩვენი წითელი არმიის მშენებლობის საქმე სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და პირველი ბრძანების გამოცემის თვის თავზე, აპრილის ბოლო რიცხვებში. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას უკვე ჰყავდა ორი ქვეითა, ორი ცხენოსანი და ორიოდე ჯავშნიან მატარებლისაგან შემდგარი წითელი ლაშქარი. მრავალ დაბრკოლებათა გამო, ის პირველ ხანებში ვერ წარმოადგენდა ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ ერთეულს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად ზრდასთან ერთად ფეხდაფეხ იზრდება, ფართოვდება, მაგრდება და ყალიბდება ჩვენი წითელი ლაშქარიც.



ამხ ვ. თავართქილაძე

პირველი ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე

[illegible] უფრო და პოლიტხელ[illegible] სამხედრო - პოლიტიკური სკოლები, რომლებიც ავსებენ ჩვენს [illegible] კომუნისტურად [illegible], რევოლიუციონური [illegible] შეგვიძლიან [illegible] ჯარის სათავეში უდგანან რევოლიუციისათვის თავდადებული საკმაო კვალიფიკაციის მქონე უფროსთა შემადგენლობა. ჩვენი ძირითადი წითელი ჯარის ნაწილები თან და თან ფრთას შლიან, აღრმავებენ მუშაობას, იჭრებიან ჩვენი მშრომელ მოსახლეობის მასებში და სიამოვნებით შეგვიძლიან აღვნიშნოთ მიღწევები ამ მხრივ ჩვენი ტერიტორიალურ ნაწილებისა. ეს ახალი მოვლენაა არა მარტო ჩვენს სინამდვილეში, არამედ მთელ ჩვენ დიდ კავშირშიაც, მაგრამ აქაც საუცხოვო გამოცდები ჩააბარა ჩვენმა წითელმა არმიამ და ეს სრულ გარანტიას იძლევა, რომ ის მომავალ დიდ კლასიურ ომში შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ, წარმატებით გამოვა ჩვენ მშრომელ მოსახლეობასთან ერთად. ამრიგად ჩვენი წითელი ლაშქარი, დღეს, ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ, სამხედრო, პოლიტიკურად და კულტურულად მომზადებულ ბრძოლის უნარიან ძალას წარმოადგენს, ამიერ-კავკასიის წითელდროშოვან და საკავშირო, ძლევამოსილ წითელ ლაშქართა რიგებში. ამას მოწმობს მისი ისტორია. მან შესძლო თავის მშენებლობის და აღორძინების პროცესში გზადაგზა თავის მცირე რევოლიუციონური წვლილი შეეტანა საერთო, სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. მან მსხვერპლი გაიღო ამ გზაზე. ის ამ ხნის განმავლობაში მუდამ მზად იყო სათანადო პასუხი გაეცა მენშევიკურ ავანტიურისტებისათვის. და სხვა ანტისაბჭოთა კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებისათვის, რომლებიც ყოველგვარ საშუალებებს მიმართავდენ, მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ.

თუ საქართველოს წითელ არმიის ისტორია ჯერ კიდევ არ არის ისე მდიდარი სამხედრო ეპიზოდებით, თუ ამ მხრივ მას არ აქვს დიდი ისტორიული წარსული, ეს ისევ ისტორიის „ბრალია“. მაგრამ ბრძოლა წინ არის, და დღეს ის თავის არსებობის ხუთი წლისთავზე, საქვეყნოდ და ამაყათ აცხადებს: **„მზად ვართ ამისათვის“.**

ვ. თავართქილაძე

ისტორიული დოკუმენტი

დეკრეტი № 2

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუც. კომიტეტისა

არმიისა და სახალხო გვარდიის საერთო დემობილიზაციისა და დათხოვნის შესახებ.

1. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

ა. მოხდეს საერთო დემობილიზაცია ყოფილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის არმიისა და სახალხო გვარდიისა, და ამ მუხლში აღნიშნული არმია და სახალხო გვარდია დათხოვნილ იქნეს.

ბ. ამ დეკრეტით დათხოვნილ არმიის და სახალხო გვარდიის ნაწილებს ევალებათ ყოველი სახელმწიფო ქონება და სამხედრო იარაღი და მასალა ჩააბარონ სახელმწიფო საწყობებში, საგანგებო სალიკვიდაციო კომის[illegible] საშუალებით, რომლებიც და[illegible]ებულნი იქნებიან სამხედრო და საზ[illegible] საქმეთა სახალხო კომისარი[illegible] ბრძანებით.

[illegible] დეკრეტი ეხე ძალაში შედი[illegible] დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტურ საბ[illegible] რესპუბლიკის რევოლიუციო[illegible]ური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მრახელაშვილი.**

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი **შ. ელიავა.**

1921 წ., თებერვლის 26.
ქ. თბილისი.

უკანასკნელ დღეებში

(მოგონება).

ბათომიდან უკანასკნელი გემი გავიდა, რომელსაც თან გაჰყვა სამარცხვინოდ გაკოტრებული და დამარცხებული მენშევიკების მთავრობა. მენშევიკური არმიის ნარჩენები ქალაქშია შეგროვილი. ქუჩებში მწყობრად დადიან ქემალისტების ჯარისკაცები. მათ ხელშია ბათომის მთავარი სიმაგრეები.

მეორე დღეს, საღამოს, გაიღო ბათომის ციხის კარები, საიდანაც გამოვიდენ საქართველოდან მძევლებად წაყვანილი კომუნისტი ამხანაგები. ქალაქის ციხე-სიმაგრეების შტაბის სათავეში ჩადგა ამხ. თენგიზ ჟღენტი. იმ ღამესვე გაჩაღდა ომი ქემალისტებთან. მილიციის სამმართველო, ტელეგრაფი და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები ხელთ იგდეს ოსმალებმა. ყოველ კუთხიდან აგრიალდენ ტყვიამფრქვევლები. ბევრი სისხლი დაიღვარა ორივე მხრიდან მენშევიკ. მიერ მოწყობილ პროვოკაციულ ბრძოლაში. ბათომის ახლო-მახლო მთებზე, ციხის სიმაგრეებზე გაცხარებული ბრძოლაა, გულშემზარავად გუგუნებენ მძიმე და მსუბუქი ზარბაზნები. შტაბს იცავს ცხენოსანი ლეგიონები.

ორი დღის შემდეგ თითქოს ყოველივე დაწყნარდა. მესამე დღეს მოვიდის განკარგულება—წავიდეს ჩვენი ცხენოსანი ლეგიონები ფეხით თბილისში ქობულეთის მიმართულებით. შემოვედგით თუ არა ფეხი ბარცხანის ხიდზე, ატყდა ტყვიისმფრქვევლების სროლა. რომ ფეხოსან ჯა[illegible]რიმანზე არ ყოფილიყო დაყე[illegible] [illegible] ტყვიისმფრქვეველები, ც[illegible] [illegible]ელ ლეგიონს განადგურებდ[illegible] [illegible]ვიონზე შეიქრა და დაიფანტ[illegible] მა[illegible]მ პირველი ესკადრონის პირვე[illegible] ლი[illegible] მეორე მწყობრი მოემწყვ[illegible] წყალმა, საიდანაც ტყვია მოდი[illegible] და [illegible]თელი ბარცხანის სიმაგრეებ[illegible] ჯერ კიდევ ხელთ ჰქონდათ ოსმ[illegible]ლებს აქ საჭიროდ მიმაჩნია ხაზი გ[illegible] [illegible] ცხენოსან ლეგიონის პირველ[illegible] [illegible]ონის ორი ამხანაგის გმირო[illegible] [illegible]სენი არიან შ. ყიფიანი და [illegible]ვილი. პირველი მათგან[illegible] [illegible]ის თავი იყო და მეორე კა[illegible]ონის ზემდეგი. გამოცდილმ[illegible] [illegible] ცხენოსანმა ზემდეგმა თამა[illegible] [illegible]აბრუნა მწყობრი მტრის წ[illegible]ნააღმდეგ და საკუთარი ცხენით შ[illegible] [illegible]ის რკინის კარები, რომლიდა[illegible] [illegible]ვე მწყობრი შეიჭრენ მტრი[illegible] [illegible] შესვლისთანავე ერთი ჩვენ[illegible] [illegible] და დაუვიწყარი ამხანაგ[illegible] [illegible]განგმირა ტყვიამ. ორმოც[illegible] [illegible]ავის ცხენებით უნდა დაეწყ[illegible] [illegible]რს. ამხ. შ. ყიფიანმა ვე[illegible] [illegible] მაუზერის მობრუნება, რომ [illegible]შულოდ დაეცა ძირს. გაჩაღდ[illegible] [illegible]ული ბრძოლა. ამხ. თენიგ[illegible] [illegible] ჯარასავით დატრიალდ[illegible] [illegible]ის ხელჩართული ბრძოლი[illegible] [illegible]იქელთ იგდო ოთხას კაცამდე [illegible] იყო უკანასკნელი ბრძო[illegible] [illegible] შემდეგაც ჩვენი ლეგიონ[illegible] [illegible]ვერა ქობულეთისაკენ.

ს. გეგია.

პარტიული მუშაობა ლეგიონში

(N საარტილერ[illegible] ლეგიონი)

წითელი ჯარის სიძლიერე, მის პოლიტიკურ შეგნებაშია. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ წითელი ყაზარმები სკოლებათ გადააქცია, სადაც წითელარმიელი სამხედრო ცოდნასთან და ვარჯიშობასთან ერთად სწავლობს წერა-კითხვას, ეცნობა საზოგადოებრივ აღმშენებლობის საკითხებს, საგარეო და საშინაო პოლიტიკას და სხვა. საერთო საგანმანათლებლო მუშაობასთან ერთად წითელ ჯარში მიმდინარეობს პრაქტიკული მუშაობაც. 5 წლის განმავლობაში ჩვენს ლეგიონს სამხედრო პარტიულ მშენებლობაში აქვს უდიდესი მიღწევები. ყველა ბატარეებში არსებობს კომუჯრედი. ნაწილებში არსებობს სხვადასხვა საფეხურის პარტიული სკოლები, სადაც სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა. პარტიული შემადგენლობა ფართოთ არის ჩაბმული კლუბების საწრეო და მასიურ მუშაობაში. უპარტიო წითელარმიელთა შორის მუშაობის საწარმოებლათ, ეწყობა საერთო კრებები, საუბრები და მოხსენებები. სწარმოებს ხმა-მაღალი კითხვა, იცემა ლეგიონის და ასეულების კედლის გაზეთები. ერთი სიტყვით ყოველგვარ ზომებს ღებულობს პარტიული ორგანიზაცია უპარტიო ახალგაზრდობის აღსაზრდელათ.

პარტიული უჯრედები დიდი ყურადღებით ექცევიან აგრეთვე სამოქ. ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის დაჭერას. ამ კავშირს დიდი მნიშვნელობა ეძლევა წ.-არმიელთა აღზრდის საქმეში. სამოქალაქო უჯრედებიდან მომაგრებულია მომზადებული ამხანაგები, რომელნიც დახმარებას უწევენ პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობაში. ამ ხუთი წლის განმავლობაში ქართულ წითელ ჯა[illegible] პარ[illegible]ლმა ორგანოებმა, მრავალი და[illegible] [illegible] გადალახეს. დღეს ქართულ[illegible] [illegible]აშქარი მტკიცედ დგას თავის [illegible] სიმაღლეზე.

სამკორი ტ. მამალაძე.



ამ[illegible] ნ. ნარიმანოვი

გარდაც[illegible]ებიდან ერთი წლის შეს[illegible] [illegible]ების გამო

ქართული მუშურ-გლეხური წითელი სოციალისტური ჯარის ხუთი წლისთავზე

წითელი ჯარის წარმოშობა და განვითარება მჭიდროდ და ორგანიულად დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებასთან და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საბჭოთა ხელისუფლება უწითელჯაროდ, ან წითელი სოციალისტური ჯარი საბჭოთა ხელისუფლების გარეშე. ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა შექმნეს და განავითარეს ბურჟუაზიული ჯარები ბურჟუაზიულ კლასების და ბურჟუაზიული საკუთრების დასაცავად. საბჭოთა სახელმწიფო, აგებული სრულიად სხვა საფუძველზე, რომელიც მოწოდებული იყო, ერთი მხრით, დაეცვა მუშათა კლასი კაპიტალის ბატონობისაგან და, მეორე მხრით—შესრომოდა სოციალიზმის დამყარებას, საჭიროებდა თავის საკუთარ ჯარს, რომელიც აგებული უნდა ყოფილიყო სრულებით სხვა საფუძველზე, ვინემ წინანდელი ბურჟუაზიული ჯარები. და ეს ასეც მოხდა.

ჩვენ ვიცით, რომ მუშურ-გლეხური წითელი ჯარი, როგორც ასეთი, წარმოიშვა პირველად საბჭოთა რუსეთში, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, 1918 წელს 23 თებერვალს, ე. ი. [illegible] როს, როცა ახლად დამყარებულ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და პროლეტარულ რევოლიუციის მონაპოვართ უდიდესი საფრთხე მოელოდა მუშათა კლასის მტრებისაგან. სამი წლის შეუწყვეტელი, გმირული და თავგანწირული ბრძოლის მეოხებით საბჭოთა რუსეთის წითელმა ჯარმა დაამარცხა მუშათა კლასის მტრების შეიარაღებული ძალები და მით მან იხსნა საბჭოთა ხელისუფლება უდიდესი განსაცდელისაგან.

რა ხდებოდა ან რას წარმოადგენდა იმ დროს საქართველო? ის წარმოადგენდა კონტრ-რევოლიუციონერების თავშესაფარს და ბუდეს, საიდანაც აწყობდენ და ამზადებდენ საბჭოთა რუსეთზე სხვადასხვა გვარ კონტრ-რევოლიუციონურ თავდასხმებს. და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მაშინ საქართველოში ბატონობდა მენშევიკური პარტია, რომელმაც ოქტომბრის რევოლიუცის შემდეგ ზურგი აქცია რევოლიუციონურ რუსეთს და ნაცვლად ამისა მიეკედლა მუშების და გლეხების მოსისხლე მტრებს—ერთი მხრით რუსეთის კონტრ-რევოლიუციონურ ძალებს და მეორე მხრით ევროპის იმპერიალისტურ მტაცებლებს.

მენშევიკების მთავრობა გადაიქცა ბ[illegible]აზიული კონტრ-რევოლიუციის ნამდვილ იარაღად ერთი მხრით და ეროვნული შუღლის და განხეთქილების წყაროდ მეორე მხრით. რაც დრო გადიოდა, მენშევიკების ბატონობა სულ უფრო და უფრო აუტანელი და სულისშემხუთავი ხდებოდა მუშათა კლასისათვის. ამიტომ საქართველოს მუშების და გლეხების ინტერესებისათვის მენშევიკური მთავრობის დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს მშრომელმა ხალხმა, განსაკუთრებით გლეხკაცობამ, ეს რამდენიმეჯერ სცადა (გლეხების აჯანყებები 1918, 1919 და 1920 წლებში სამეგრელოში, ლეჩხუმში, სოხუმში, დუშეთის მაზრაში, სამხრეთ-ოსეთში და სხვ.). მაგრამ მენშევიკების მთავრობამ მოახერხა ყველა ამ აჯანყებების ჩაქრობა ყოფ. მეფის ოფიცრების დახმარებით ერთი მხრით და ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ხელისშეწყობით მეორე მხრით. აშკარა იყო, რომ იმ პირობებში, რომლებიც იმ დროს საქართველოში იყო შექმნილი, მუშებს და გლეხებს თავისი საკუთარი ძალით მენშევიკური მთავრობის დამხობა არ შეეძლოთ. მიუხედავად ამისა, ისინი ბრძოლას მაინც განაგრძობდენ, და მასთან იმედოვნებდენ რომ საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარი მათ ხელს გაუწვდიდა მისაშველებლად. შექმნილ პირობებში ეს დახმარება სრულიად ბუნებრივი იყო. სხვა გამოსავალი არ მოიძებნებოდა. ასეთი მომენტი დადგა და საქართველოს გლეხებმა ხელი გაუწოდეს რუსეთის წითელ ჯარს, რომ ის დახმარებოდა მათ მენშევიკების ბატონობისაგან, გასანთავისუფლებლად. რუსეთის წითელ ჯარს არ შეეძლო უარი ეთქვა ამ დახმარებაზე. საქართველოს მუშებთან და გლეხებთან ერთად რუსეთის წითელმა ჯარმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკური მთავრობის დამხობაში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. მაგრამ ცხადზე უცხადესი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე საქართველოში უნდა შემდგარიყო **ქართული წითელი ჯარიც**. და ეს ასეც მოხდა. საბჭოთა საქართველოს მთავრობის დეკრეტით (1921 წლ. 11 მარტი) მენშევიკების მთავრობის ჯარი და სახალხო გვარდია გამოცხადებულ იქნენ დაშლილად, და იმავე დეკრეტით სათანადო ორგანოს ევალებოდა ქართული წითელი ჯარის მოწყობა.

ამ დეკრეტის შესასრულებლად 1921 წლის 21 მარტს ქ. ბათუმში საბჭოთა საქართველოს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრის ამხ. **ელიავას** მიერ—გამოცემულ იქნა ბრძანება ქართული წითელი ჯარის შესადგენად. **ამგვარად 1921 წლის 21 მარტიდან** იწყება ქართული წითელი **ჯარის არსებობა.**

რა თქმა უნდა, მე სრულებითაც არ ვფიქრობ ამ მოკლე წერილში ქართული წითელი ჯარის ისტორიის მოთხრობას განვლილ ხუთი წლის განმავლობაში. მით უფრო, რომ ეს ისტორია ჩატარდა ყველა ჩვენგანის თვალწინ. მე მსურს აღვნიშნო აქ მხოლოდ რამდენიმე გარემოება ქართული წითელი ჯარის დასახასიათებლად, სახელდობრ თუ რა პირობებში მოხდა პირველად ამ ჯარის ჩამოყალიბება, რა ელემენტებისაგან შესდგებოდა ის პირველ ხანებში, რა ძირითადი განსხვავება არსებობს ჩვენ წითელ ჯარსა ერთი მხრით და მენშევიკების ჯარსა და სახალხო გვარდიას შორის, მეორე მხრით.

ჩვენ ვიცით, რომ, როცა დაიწყო შეტაკებები რუსეთის წითელ ჯარებს და საქართველოს მენშევიკების ჯარს შორის, მენშევიკების ჯარის ნაწილებში მაშინვე იწყება დაშლა: ისინი ასობით და ათასობით ყრიდენ იარაღს და ბრუნდებოდენ სახლში ან გადადიოდენ წითელი ჯარის მხარეზე. მენშევიკების მთავრობა ღებულობდა ამის წინააღმდეგ უსასტიკეს ზომებს, მაგრამ ეს ზომები აღარ სჭრიდა: მენშევიკების ჯარების დაშლა-ღლვევა სულ უფრო და უფრო მასსიურ ხასიათს ღებულობდა. უკანასკნელად, როცა მენშევიკების მთავრობა ბათუმში გაიქცა, მას შერჩა მხოლოდ ჯარის რამდენიმე ნაწილი, რომელთაც კიდევ შერჩენოდათ მენშევიკების მთავრობის ნდობა. მაგრამ ეს ნდობა მათ ჩქარა დაკარგეს, როცა თავისივე თვალით დაინახეს მენშევიკების მთავრობის ვერაგობა და ღალატი. ეს ღალატი მდგომარეობდა იმაში, რომ მენშევიკების მთავრობამ მთელი აჭარისტანი ბათუმითურთ საიდუმლო ხელშეკრულებით ოსმალეთს გადასცა, იმ აზრით, რომ ოსმალეთის ჯარებს არ შეეშვათ ბათუმში წითელი ჯარი, იმავე დროს კი მენშევიკების მთავრობა ხალხისაგან მოპარული ქონებით ევროპაში გარბოდა თავისი თავის საშველად. ამის შემდეგ მენშევიკების ჯარის ნაწილები ერთბაშად გამოფხიზლდენ. ამათ მაშინვე გადასცეს თავისი თავი ქართველ კომუნისტების და ახალი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების სრულ განკარგულებაში და საქმით, თავისი სისხლით დაამტკიცეს სრული ერთგულება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ: ქართველ ჯარისკაცებიდან 80 კაცზე მეტი მოკლულ იქნა მაშინ ბათუმში საბჭოთა ხელისუფლების დაცვისდროს. არსებითად ეს ნაწილები ასრულებდენ უკვე წითელი ჯარის როლს და, მაშასადამე, იმათ დაიმსახურეს წითელ ჯარში ჩარიცხვა. და ეს იქნა ჩამოყალიბებული 21 მარტის ბრძანებაში.

ამნაირად მიეცა დასაწყისი ქართულ წითელ არმიას: პირველად მასში შეყვანილ იქნენ ყოფილი მენშევიკური **ჯარის სალი ელემენტები** და აგრეთვე **მოხალისეები.** ასეთი შემადგენლობა იყო პირველ ხანებში, სხვანაირად მაშინ შეუძლებელი იყო. შემდეგში კი ეს სრულიად შეიცვალა.

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ის, თუ რა განსხვავება არსებობს მენშევიკების ჯარსა და ჩვენ წითელარმიას შორის, მე აქ დავასახელებ რამოდენიმე გარემოებას, რაც ახასიათებდა მენშევიკების სამხედრო ორგანიზაციას. როგორც ცნობილია, მენშევიკებს ყავდათ **ჩვეულებრივი ჯარი და სახალხო გვარდია.** მეტად საყურადღებოა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენდა განსაკუთრებით ეს სახალხო გვარდია. თავდაპირველად სახალხო გვარდიას „წითელი“ გვარდია ერქვა. ეს წითელი გვარდია შექმნეს მენშევიკებმა ჯერ კიდევ 1917 წლის შემოდგომაზე, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, როცა თბილისში საბჭოთა გადატრიალების საშიშროება შეიქნა. აი ამ გადატრიალების თავიდან ასაცილებლად მენშევიკებმა შეადგინეს პარტიულ მუშებისაგან წითელი გვარდია. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა მენშევიკების „დამოუკიდებელი“ საქართველო. მაგრამ შემდეგში მენშევიკები ხელიხელ ჩაკიდებული კონტრ - რევოლიუციონურ ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად ქმნიან „დამოუკიდებელ“ საქართველოს. მაშინ ისინი იძულებული ხდებიან, როგორც შინაურ, ისე უცხოელ (გერმანიის კაიზერის ჯარის უფროსის კარნახით) კონტრ - რევოლიუციონერების კატეგორიული მოთხოვნის თანახმად სიტყვა „წითელი“, რაც გერმანულად მაინც რევოლიუციას აგონებდა ყველას, შეეცვალათ სიტყვა „სახალხო“-თი. ამნაირად წითელი გვარდია იქცა სახალხო გვარდიად. მართალია, ეს იყო გარეგანი ცვლილება, მაგრამ ის გამოხატავდა იმ ღრმა ცვლილებას, რაც მენშევიკურმა პარტიამ განიცადა ამ ხნის განმავლობაში, სახელდობრ იმას, რომ ეს პარტია გადაიქცა ბურჟუაზიის მარჯვე იარაღად სოციალისტური პროლეტარიატის წინააღმდეგ. თვით სახალხო გვარდია კი შეიქმნა ყოვლად **უპრინციპო ორგანიზაციად,** რომელსაც დასჩემდა **თვითნებობა და თავგასულობა.** ის წარმოადგენდა მენშევიკური პარტიის ბრმა იარაღს და როგორც ასეთი სარგებლობდა ყოველგვარი უპირატესობით. ძალმომრეობა, თვითნებობა, უდიერობა, მოქალაქეთა შეურაცხყოფა,—სახალხო გვარდიის მხრით,—ყოველივე ეს ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული. ამნაირი სულით იყო გაჟღენთილი მთელი სახალხო გვარდია, დაწყებული მისი მეთაურით—ვ. ჯუღელით—და გათავებული უკანასკნელი გვარდიელით. ამიტომაც იყო, რომ ხალხს საერთოდ სახალხო გვარდია სძულდა. განსაკუთრებით სძულდა ის გლეხებს, და სამართლიანადაც, რადგანაც ყველაზე უფრო აჯანყებულ გლეხებს ატყდებოდა თავზე მენშევიკების გვარდიელების რისხვა და ძალადობა. გარდა ამისა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახალხო გვარდია სრულებით არ თაკილობდა ხალხის აკლებას და დარბევას, ცემა-ტყეპას და ქალების გაუპატიურებასაც. ამის მაგალითი მრავალისაგან მრავალია. ასეთი იყო სახალხო გვარდია, რომელსაც მენშევიკები ყოველივე უპირატესობას ანიჭებდენ.*)

როგორც ზევით იყო ნათქვამი, გარდა სახალხო გვარდიისა მენშევიკებს ყავდათ კიდევ ჩვეულებრივი ჯარი, რომელიც იმყოფებოდა ნამდვილი **გერის** მდგომარეობაზე. რამდენადაც მენშევიკების მთავრობა მზრუნველობას უწევდა და ყოველგვარ უპირატესობას ანიჭებდა სახალხო გვარდიას, იმდენად ჯარი მოკლებული იყო ყოველივე ყურადღებას და მზრუნველობას მთავრობის მხრით. მაშინ, როცა სახალხო გვარდიას არა თუ არ აკლდა, არამედ ზედმეტი ჰქონდა როგორც ტანსაცმელი, ისე სურსათი. იმდენად ჯარი გახდილი, შიშველ-ტიტველი და მშიერი იყო. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე. აქედან გამომდინარეობდა ის, რომ სახალხო გვარდიასა და ჯარს შორის ცუდი განწყობილება იყო, პირდაპირ განხეთქილებას ჰქონდა ადგილი. ამავე დროს მენშევიკების ჯარი იგივე მეფის ჯარის ასლი (კოპიო) იყო,—იგივე ჯალათური მოპყრობა ჯარისკაცებთან აფიცრების მხრით, იგივე სრული უუფლებობა ჯარისკაცების, როგორც ეს იყო მეფის ჯარში. ერთი სიტყვით, მენშევიკების ჯარი აშენებული იყო ბურჟუაზიული ჯარის პრინციპზე: მას არაფერში არ ეტყობოდა რევოლიუციის ნიშანწყალი. ყოველივე ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, რომ მენშევიკების ჯარში დიდი უკმაყოფილება იყო დაბუდებული. მე ვიცი შემთხვევები, როცა ამ ჯარის მთელი ნაწილები თანაუგრძნობდენ საბჭოთა ხელისუფლებას და მზად იყვნენ მენშევიკური წესწყობილების წინააღმდეგ აჯანყება მოეხდინათ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 1921 წლის თებერვლის თვეში, როცა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება მყარდებოდა, მენშევიკური ჯარის მთელი ნაწილები უბრძოლველად გადმოდიოდენ საბჭოების მხარეზე.

ყოველივე ამას უნდა დაუმატოთ ის, რომ მენშევიკების ჯარში სრულებით **არავითარ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას ადგილი არ ჰქონებია.**

ასე და ამგვარად, მენშევიკების ჯარი ოდნავაც არ წარმოადგენდა რევოლიუციონურ არმიას, პირიქით, ეს არმია ემსახურებოდა კონტრ - რევოლიუციას, ის მოქმედებდა იმპერიალისტურ ჯარებთან ერთად როგორც საბჭოთა რუსეთის, ისე საქართველოს რევოლიუციონურ გლეხების და მუშების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ამაში ბრალი ედება არა თვით ჯარს, არამედ იმ პარტიას, რომელიც იმ დროს ხელმძღვანელობდა მთელ საქართველოს და, მაშასადამე, ჯარსაც. რომ იმ ადამიანური მასალიდან, რომლიდანაც შესდგებოდა მენშევიკების ჯარი, შეიძლებოდა ნამდვილი მუშურ - გლეხური წითელი ჯარის შექმნა,—ეს სავსებით გამართლდა საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა ჩვენ იმავე მასალიდან, სულ ცოტაოდენის გამონაკლისით, შევქმენით მშვენიერი წითელი ჯარი.

მე მინდა ორიოდე სიტყვით შევჩერდე აქ იმ როლზე, რომელიც ითამაშა წითელი ჯარის უდიდესმა შემქმნელმა ამხ. **ლენინმა**—ქართული წითელი ჯარის შექმნაში. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს საქართველოში და შემდეგშიაც ლენინი საქართველოს თითოქმის ყველა პასუხისმგებელ მუშაკების ყურადღებას აქცევდა ქართულ წითელ არმიის მოწყობაზე და მოვლაზე. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა ამ მხრით, რადგანაც მან ყველაზე უფრო კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ექნებოდა მომავალშიაც ქართულ წითელ ჯარს. თუ ოფიციალურ მომართვაში, თუ კერძო ხასიათის წერილში, თუ პირად საუბრის დროს ლენინი მუდამ გვითითებდა იმაზე, რომ ქართულ წითელ ჯარს არ მოკლებოდა მზრუნველობა. ლენინი არასოდეს არ ყოფილა საქართველოში და ერთხელაც მას არ უნახავს ერთი ქართველი წითელარმიელიც კი, მაგრამ მიუხედავად ამისა, არავის მასზე უკეთ არ ჰქონდა წარმოდგენილი და გათვალისწინებული როგორც საქართველოს პირობები, ისე კერძოდ ქართული წითელი ჯარის მნიშვნელობა. ეს გარემოება მეტად საგულისხმიერო უნდა იყოს როგორც მთელი ქართული წითელი ჯარისთვის, ისე თითოეული ქართველი წითელარმიელისთვისაც.

მე მინდა შევაჩერო აქ კიდევ მკითხველის ყურადღება ერთ გარემოებაზე. მართალია, ჩვენ ვამბობთ, რომ ქართული წითელი ჯარის არსებობა იწყება 1921 წლის 21 მარტიდან, მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია ჩვენ გვეუბნება, რომ არსებითად წითელ ჯარს ჩვენში, როგორც ყოველგან, უფრო გრძელი ისტორია აქვს. ყოველ შემთხვევაში 1905 წლის რევოლიუციაში ჩვენ ვხედავთ მუშების და გლეხებისაგან შემდგარ რევოლიუციონურ რაზმებს გურიაში, სამეგრელოში, შორაპნის მაზრაში, ქართლში. განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ აქ ის **„წითელი რაზმელები“**, რომლებიც 1905 წელს მოქმედებდნენ ქართლში (გორის და დუშეთის მაზრებში). ეს წითელი რაზმი შეადგინეს მაშინ თვით გლეხებმა **თავად-აზნაურობის შავი რაზმის** წინააღმდეგ, რომელიც აწუხებდა და არბევდა გლეხებს, რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. ეს წითელი რაზმი იცავდა გლეხებს როგორც თავად-აზნაურობის შავი რაზმისაგან, ისე კაზაკებისაგანაც. დღემდისაც ქართლში ბევრს კარგად ახსოვს როგორც თავად-აზნაურობის შავი რაზმის, ისე გლეხების წითელი რაზმის მოქმედება 1905 წლის განმავლობაში; ამ წითელ რაზმში მონაწილეობა ქართლელ გლეხებს მეტად ძვირად დაუჯდათ: 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ყველა ისინი სასტიკად იქნენ დასჯილი. ამნაირად, დღევანდელი წითელი ჯარის ჩანასახი ჩვენ სწორედ ამ წითელ რაზმელებში უნდა ვეძიოთ. ასეთსავე ჩანასახს წარმოადგენდენ აგრეთვე გლეხების რევოლიუციონური რაზმები, რომლებიც 1918—1920 წლებში ახდენდენ შეარაღებულ აჯანყებებს მენშევიკების მთავრობის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით საქართველოში.

ამნაირად წითელ ჯარს აქვს თავისი ისტორია ჯერ კიდევ მანამ, სანამ ის ჩამოყალიბდებოდა. ეს საბჭოთა ხელისუფლების მოსამზადებელი ხანაა. მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან შესაძლებელი შეიქნა წითელი ჯარის ჩამოყალიბება. შეიძლება იკითხონ: რაღა საჭიროა ახლა წითელი ჯარის არსებობა, როცა მთელი სახელმწიფო ძალაუფლება მუშების და გლეხების ხელშიაო. მართალია, საბჭოთა ხელისუფლება სავსებით უზრუნველყოფს მუშების და გლეხების ინტერესების დაცვას, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ ჰყავს დაუძინებელი მტრები როგორც შიგნით, ისე კიდევ უფრო საზღვარგარედ. ჩვენ რომ წითელი ჯარი დავშალოთ, სწორედ ეს სურთ მუშათა კლასის და სოციალიზმის მტრებს, ვინაიდან მაშინ იმათ საბჭოთა რესპუბლიკების მოსპობა მეტად გაუადვილდებათ. მაგრამ ასეთი სულელები ჩვენ არ ვართ: პირიქით, **ჩვენ მუდამ ვაძლიერებთ წითელ ჯარს.** მართალია მხოლოდ შემდეგი: რიცხვით წითელ არმიას ჩვენ არ ვადიდებთ, **ჩვენ ვაუმჯობესებთ განსაკუთრებით მის საომარ ძალას.** მართალია აგრეთვე ისიც, რომ ჩვენ ვამზადებთ ნიადაგს ახლო მომ[illegible] ტერიტორია[illegible]ლიციურ სისტემაზე, რაც [illegible]ბს წითელი ჯარის მუდ[illegible] და იმავე დროს მთელ მოსა[illegible] მებრძოლად, როც[illegible] იქნება.

წით[illegible] ჯარი განსაკუთრებული სამხედ[illegible]ორგანიზაციაა, რომელიც მხოლოდ [illegible]თა ქვეყნებში არსებობს. წით[illegible] ჯარი არაა სამხედრო კასტა, რო[illegible] ეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში[illegible]თელი ჯარის შემადგენლობა [illegible]სი შინაგანი შენობა (სტრუქტურ[illegible]) არის ისეთი, როგორც ეს შეეფერ[illegible] საბჭოთა ხელისუფლებას, პროლ[illegible]არიატის დიქტატურას. წითელი ჯ[illegible] საბჭოთა ხელისუფლების ყველა [illegible]ორგანოებთან მჭიდროდ დაკავშირე[illegible]ია. წითელი არმიელი სრულუფლ[illegible]ანი მოქალაქეა, იგი ღებულობს [illegible]ქტიურ მონაწილეობას საბჭოთა ს[illegible]მწიფოს ყველა ორგანოებში. კ[illegible] მეტი: წითელი არმიელი ყველა[illegible] ორგანოების საპატიო წევრია. მა[illegible]მდეგაც, როცა წითელი არმიელ[illegible]ანგრძლივ შვებულებაში მიდის[illegible]გი ყოველგან მოწინავე და საპატიო[illegible]ოლს თამაშობს. მისი ასეთი როლ[illegible]ორკეცდება მით, რომ ყაზარმაში [illegible]ფნის დროს წითელი არმიელი არ[illegible] თუ იძენს სამხედრო ცოდნას და [illegible]მხედრო ხელოვნებას, არამედ იგი [illegible]ენს აგრეთვე სხვადასხვა ცოდნა[illegible] საზოგადოებაზე, სახელმწიფოზე[illegible]ა ბუნებაზე. ყაზარმიდან იგი ბრუ[illegible]ება სახლში უკვე როგორც გონებ[illegible]განვითარებული, შეგნებული და [illegible]სარგებლო წევრი საზოგადოების[illegible] წითელი არმია—ეს არაა არც მეფ[illegible]ის არმია და არც საზოგადოდ ბურჟუაზიული არმია, რომელიც გონებას უხშობდა და უხშობს ახალგაზრდა ჯარისკაცს და ქმნიდა მისგან ბრმა იარაღს მყვლეფელების და მჩაგვრელების ხელში.

წითელ არმიას, საერთოდ, და საქართველოს [illegible]თელ ჯარს კერძოდ, გასული ხუ[illegible] წლის განმავლობაში ბევრი მიღწ[illegible] აქვს. ეს განვლილი ხუთი წელი[illegible] იყო დიდი და ფართო აღმშენებ[illegible]ობის და წინსვლის ხანა, ქართული[illegible]თელი ჯარი ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა, გაიწრთვნა და გამოიწაფა. ეს დიდ შრომას და ენერგიას თხოულობდა, მაგრამ ამოდენა შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს წითელმა ჯარმა უკვე საპატიო ადგილი დაიჭირა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წითელ სოციალისტურ არმიაში. ვუსურვოთ მას წარმატება და სრული გამარჯვება.

ფ. მახარაძე.

---

*) რა თქმა უნდა, გამონაკლისი აქაც იყო: ჩვენ ვიცით, რომ სახ. გვარდიაში აქა-იქ ერიენ სალი ელემენტები, რომლებიც სავსებით თანუგრძნობდენ ბოლშევიკებს. მაგრამ ასეთების რიცხვი მცირე იყო, და მთავრობა ამას სასტიკად სდევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეღავათი წითელ მხედართათვის სოფლის მეურნეობაში

დადგენილება № 23

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

ამ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, რომლითაც საბჭ. სოც. რესპ. კავშირის მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთ და მათ ოჯახებს უნდა შეეფარდოს შეღავათი შრომითი მიწათ სარგებლობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

თანახმად სოც. საბჭ. რესპ. კავშირის მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათებისა და უპირატესობის კანონთა კოდექსის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილისა (ს. ს. რ. კავშირის კან. კრ. 1924 წ. № 21, მუხ. 198) დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ინსტრუქცია მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთათვის შრომითი მიწათსარგებლობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში შეღავათის შეფარდების შესახებ.

სრულ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — **ს. თოდრია.**

1926 წ. მარტის 10,
ტფილისი—სასახლე.

ინსტრუქცია

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთათვის შრომითი მიწათსარგებლობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში შეღავათის შეფარდების შესახებ.

კარი I.
ზოგადი დებულებანი

1. შეღავათი შრომითი მიწათსარგებლობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში, რაც დაწესებულია სოც. საბჭ. რესპ. კავშირის მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. ოქტომბრის 2-ს (ს. ს. კავშირის კან. კრ. 1924 წ. № 21, მუხ. 197—198) სოც. საბჭ. რესპ. კავშირის მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ დამტკიცებული კანონთა კოდექსით, გავრცელდება მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის, როგორც ნამდვილი სამხედრო სამსახურში მყოფ, ისე უვადო შვებულებაში ან სათადარიგო ნაწილში გაშვებულ და სამსახურიდან სრულიად დათხოვნილ ყველა სამხედრო მსახურზე (წითელარმიელზე და საკომანდო, ადმინისტრატიული, პოლიტიკური, სამკურნალო და სავეტერინარო შემადგენლობის პირზე) და მის ოჯახზე — ერთი წლის განმავლობაში დღიდან დათხოვნისა.

შენიშვნა: ამა ინსტრუქციის ყველა მუხლი, სადაც მოხსენებულია სამხედრო მსახურთ (განსაკუთრებული კატეგორიის დაუსახელებლად), შეეხება სამხედრო სამსახურში მყოფ ყველა პირს და აგრეთვე სამსახურიდან დათხოვნილს ერთი წლის განმავლობაში დღიდან დათხოვნისა, და აგრეთვე მათ ოჯახებს.

2. სამხედრო მსახურთათვის შრომითი მიწათსარგებლობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დაწესებული შეღავათი და უპირატესობა შეეხება: ა) მიწის მიღებას; ბ) მიწათმოწყობას; გ) მიწათსარგებლობის უფლებას; დ) სასესხო - წარმოებითი და აგრონომიულ დახმარებას; ე) ცხოველთა მოშენებას; ვ) ხე-ტყის და ტყის არაპირდაპირ სარგებლობას და სავეტერინარო სამკურნალო დახმარებას.

3. ყველა საადგილ-მამულო ორგანომ და აგრეთვე თემის აღმასრულებელმა კომიტეტმა სოფლის საბჭომ ყოველგვარად ხელი უნდა შეუწყონ სამხედრო მსახურთათვის დაწესებულ, შეღავათებისა და უპირატესობის განხორციელებას ამა ინსტრუქციით ქვემოაღნიშნულ კართა საფუძველზე.

კარი II.
მიწის მიღება

4. საადგილ-მამულო ფონდი, რომლის განკარგულებაშიაც არის სათადარიგო, შრომითი სარგებლობისათვის გამოსაყენებელი მიწა, პირველ რიგში, უპირატესად ყველა სხვა მოქალაქესთან შედარებით,—მისცემს მას იმ სამხედრო მსახურთ, რომელთა მეურნეობებს [illegible] მიწა შრომითი სარგებლობისათვის.

5. საადგილ-მამულო ორგანო პირველ რიგში, უპირატესად ყველა სხვა მოქალაქესთან შედარებით,—მისცემს სამხედრო მსახურს შრომითი სარგებლობაში იმ მიწას, რაც გამოყოფილია სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან უმიწოთა და მცირე მიწის მქონე მოქალაქეების დასარიგებლად.

6. როდესაც მიწის კოდექსის 168—172 მუხლების წესისამებრ დაიწყება გადასახლება ამა თუ იმ ადგილას, სამხედრო მსახურს, ცალკე რაიონების კოლონიზაციისათვის დამტკიცებული გეგმის თანახმად, უფლება აქვს მიიღოს მიწა სახალხო ფონდიდან პირველ რიგში,—უპირატესად ყველა სხვა მოქალაქესთან შედარებით.

7. სამხედრო მსახურთა შორის მიწა აუცილებლად უნდა მიეცეს უვადო შვებულებაში თუ სათადარიგოდ გაშვებულ ან სამსახურიდან სრულიად დათხოვნილ საკომანდო და მისი თანაბარი შემადგენლობის პირს, რომელსაც მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში ან წითელ ფლოტში უმსახურნია არა ნაკლებ 5 წლისა, აგრეთვე იმას, ვისაც, სამხედრო სამსახურში ყოფნის დროის მიუხედავად, აქვს „წითელი დროშის“ ორდენი,—უკეთუ ისინი სამხედრო სამსახურში შესვლამდე ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას, როგორც მშრომელი მიწათმოსარგებლენი, და შუამდგომლობას მიწის მიცემის შესახებ აღძრავენ ერთი წლის გასვლამდე დღიდან უვადო შვებულებაში თუ სათადარიგოდ გაშვებისა და სამსახურიდან დათხოვნისა. აღნიშნული კატეგორიის სამხედრო მსახურთათვის მიწის მისაცემად მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი ყოველწლიურად, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის განცხადებისამებრ, აცნობებს ამ უკანასკნელს, თუ რომელ რაიონში რამდენი სათადარიგო მიწაა.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში, სამხედრო უწყების სპეციალური წარდგენისამებრ და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით, მიწა ამავე წესით შეიძლება მიეცეს ამა მუხლში დასახელებულ სამხედრო მსახურთა შორის იმასაც, ვინც თუმცა სამხედრო სამსახურში შესვლამდე სოფლის მეურნეობას არ ეწეოდა, როგორც მშრომელი მიწათ-მოსარგებლე, მაგრამ მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ნამდვილ სამხედრო სამსახურში დაჰყო არა ნაკლებ 6 წლისა.

8. ყოველთვის, როდესაც სამხედრო მსახურთ მიწა მიეცემათ ამა ინსტრუქციის 4—7 მუხლისამებრ, საადგილ-მამულო ორგანომ უპირატესობა უნდა მისცეს სამხედრო მსახურთა შენაერთს, რომელიც მიწას სამხანაგო წესით გამოიყენებს.

კარი III. მიწათმოწყობა

9. უკეთუ სამხედრო მსახური ან, მისი რწმუნებით, იმ კომლის წევრი, რომელსაც სამხედრო სამსახური ეკუთვნის, აღძრავს შუამდგომლობას ისეთი სამიწათმოწყობო სამუშაოს შესრულების შესახებ, რაც სამეურნეო - ტექნიკურ მოთხოვნას დააკმაყოფილებს, საადგილ - მამულო ორგანომ უნდა შეიტანოს ეს სამუშაო გეგმაში და შეასრულოს იგი პირველ რიგში, — უპირატესად იმ საქმეებთან შედარებით, რაც ეხება სხვა მშრომელ მიწათმოსარგებლეთა შუამდგომლობით.

10. სამხედრო მსახურის მეურნეობის მიწათ-მოწყობისათვის სასყიდელი გადახდილ უნდა იქნეს არსებული განაკვეთის 50%-ის დაკლებით.

კარი IV. მიწათსარგებლობის უფლება

11. საადგილ-მამულო ორგანოს დაეკისრება თვალყური ადევნოს იმას, რომ საადგილ-მამულო საზოგადოებამ არც მიწის ხელახლად განაწილების დროს და არც მიწის დაკლების თუ მომატების წესით არ ჩამოართვას, მშრომელ მიწათმომქმედ მეურნეობას (კომლს) სამხედრო სამსახურის გამო სხვაგან მყოფი წევრის ხვედრი მიწა.

12. თემის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაუბრკოლებლად უნდა გაუკეთოს რეგისტრაცია იმ მიწის მთლად ან ნაწილობრივ იჯარით გაცემის ხელშეკრულებას, რაც ისეთი მეურნეობის სარგებლობაშია, რომელიც დროებით შესუსტებულია რომელიმე წევრის სამხედრო სამსახურში ყოფნის გამო, უკეთუ ეს ხელშეკრულება შეესაბამება მიწის კოდექსის 26—36 მუხლს; ამასთანავე ნამდვილ სამხედრო სამსახურში ყოფნის დრო და ერთი წელიწადი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ სამაზრო საადგილ-მამულო ორგანომ უნდა მიიღოს საფუძვლად იჯარის ვადის სავალდებულო განგრძობისათვის მთლად აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მიწის კოდექსის 27 მუხლის წესისამებრ.

13. შრომითი მიწათმომქმედი მეურნეობის წევრს, რომელიც საერთო მეურნეობაში მონაწილეობას არ იღებდა სამხედრო სამსახურში ყოფნის გამო, რა ხანსაც უნდა გაგრძელდეს ეს, და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილს,—ერთი წლის განმავლობაში დათხოვნის დღიდან,—უფლება აქვთ მოითხოვონ მეურნეობის გაყოფა საერთო წესით.

14. იმ შრომითი მიწათმომქმედი მეურნეობის სადაო საადგილ-მამულო საქმეს, რომლის შემადგენლობაშიაც სამხედრო მსახური შედის, განიხილავს სასამართლო საადგილ-მამულო კოლეგია სასწრაფო წესით. შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს სასამართლო საადგილ-მამულო კოლეგიის მიერ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 114 მუხლისამებრ.

კარი V. სასესხო წარმოებითი და აგრონომიული დახმარება.

15. სოფლის მოსახლეობისათვის საჭირო სათესლე მასალის რაოდენობის გამორკვევის დროს და აგრეთვე საჭირო რაოდენობის სათესლე სესხისათვის განცხადების შედგენის დროს ადგილობრივი ორგანო ცალკე გრაფად გამოყოფს იმ სამხედრო მსახურთა შუამდგომლობას, რომელთაც სესხი ესაჭიროებათ.

16. განმცხადებელთა უფლების გამორკვევის დროს სათესლე სესხის მიღებისათვის საადგილ-მამულო ორგანო პირველ რიგში გადასწყვეტს ამ საკითხს სამხედრო მსახურის მიმართ და განსაზღვრავს იმ საშეღავათო პირობებს, რომლითაც სესხი შეიძლება მიეცეს ამ მეურნეობას.

17. სამხედრო მსახურის შუამდგომლობას სათესლე სესხის საშეღავათო პირობებით მიცემის შესახებ საადგილ-მამულო ორგანო განიხილავს და გადასწყვეტს პირველ რიგში.

18. მარცვლეულობის გადამრჩევი პუნქტი, რომელიც საადგილ-მამულო ორგანოს გამგებლობაშია, სამხედრო მსახურის მეურნეობისათვის თესლს გადაარჩევს პირველ რიგში ფასის დაკლებით, ხოლო უფრო სუსტი მეურნეობისათვის—თესლის გადამრჩევი მანქანის უსასყიდლოდ დათმობით.

19. სასოფლო - სამეურნეო ინვენტარი საადგილ-მამულო ორგანოს გამგებლობაში მყოფი დამქირავებელი პუნქტიდან სამხედრო მსახურს დროებითი სარგებლობისათვის მიეცემა პირველ რიგში—უფასოდ ან დაკლებული ნიხრით.

20. სულიერი და უსულო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა, თესლისა, სასუქისა და სოფლის მეურნეობის სხვა საგნების საყიდლად კრედიტის მიცემის დროს, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოება, საკრედიტო ამხანაგობა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი უპირატესობას აძლევს სამხედრო მსახურის შრომითი მეურნეობას, ყველა სხვა მიწათმოსარგებლის შრომითი მეურნეობასთან შედარებით; ამასთანავე სამხედრო მსახურის სუსტ მეურნეობას სესხი მიეცემა ვადით 1 წლიდან 3 წლამდე, ხოლო საშუალო და ღონიერ მეურნეობას—1 წლამდე.

21. მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობისა, ადგილობრივ საადგილ-მამულო ორგანოთა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საცდელ-სათესლე და საჯიშო მეურნეობიდან გაუმჯობესებული სათესლე მასალისა და ჯიშიანი საქონლის გაცემის დროს სამხედრო მსახურის შრომითი მეურნეობას ეძლევა უპირატესობა ყველა სხვა მიწათმოსარგებლის მეურნეობასთან შედარებით.

კარი VI. ცხოველთა მოშენება.

22. სამხედრო მსახურის ჯიშ-ცხენის სახელმწიფო დაწესებულების ულაყ ცხენთან საგრილობლად სასყიდელი 50%-ით უნდა იქნეს შემცირებული.

23. სამხედრო მსახურს ყოველგვარი საქონლის საგრილობლად მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატისა, ადგილობრივი საადგილ-მამულო ორგანოს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საგრილობელ პუნქტში სასყიდელი 50%-ით უნდა შემცირდეს.

24. განსაკუთრებით ხელმოკლე სამხედრო მსახურის საქონლის დაგრილება მოხდება უსასყიდლოდ თემის აღმასრულებელი კომიტეტისა და სოფლის საბჭოს სათანადო მოწმობის მიხედვით.

კარი VII. ხე-ტყის მიცემა და ტყის არაპირდაპირი სარგებლობა.

25. იმ სამხედრო მსახურს, რომელიც თავისი შრომით სოფლის მეურნეობას ეწევა, მეურნეობისათვის საჭირო ხე-ტყის მასალა, დაწესებული ნორმის ფარგალში, სატყეო კოდექსის 24 მუხლის წესისამებრ,—მიეცემა საშეღავათო ნიხრით.

26. ღარიბ სამხედრო მსახურს, რომელიც თავისი შრომით სოფლის მეურნეობას ეწევა, გონებრივი მდგომარეობისა და ხე-ტყის საჭიროების მიხედვით, სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული მოწმობის თანახმად, ხე-ტყის სათბობათ და საშენ მასალად, სატყეო კოდექსის 24 მუხლით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებში, მიეცემა საშეღავათო ფასის დაკლებით; თანაც ტყის გამგეს შეუძლიან საშეღავათო ფასი შეამციროს 50%-ით, ხოლო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს—75%-ით.

27. განსაკუთრებულ შემთხვევაში სამხედრო მსახურის მეტის-მეტად სუსტ მეურნეობას ხე-ტყე, დამტკიცებული ნორმის მიხედვით, მიეცემა უფასოდ მაზრის საადგილ-მამულო ორგანოს განკარგულებით,—სატყეო კოდექსის 25 მუხლის თანახმად.

28. მაზრის საადგილ-მამულო ორგანოს განკარგულებით, სატყეო კოდექსის 25 მუხლის თანახმად, ხე-ტყე საშენად უსასყიდლოდ და ნორმის მიხედვით მიეცემა აგრეთვე უვადო შვებულებაში თუ სათადარიგოთ გაშვებულ სამსახურიდან სრულიად დათხოვნილ საკომანდო და მისი თანაბარი შემადგენლობის პირს, რომელსაც მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში ან წითელ ფლოტში უმსახურნია არა ნაკლებ ხუთი წლისა, აგრეთვე იმას, ვისაც, სამსახურში ყოფნის ვადის მიუხედავათ, აქვს წითელი დროშის ორდენი, უკვე ისინი სამხედრო სამსახურში შესვლამდე ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას, როგორც მშრომელნი მიწათ-მოსარგებლენი, და აღძრავენ სათანადო შუამდგომლობას—ერთი წლის გასვლამდე დღიდან უვადო შვებულებაში გაშვებისა ან სამსახურიდან სრულიად დათხოვნისა.

შენიშვნა 1. გამონაკლის შემთხვევაში, სამხედრო უწყების განსაკუთრებული წარდგენით და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით, ხე-ტყე საშენად უსასყიდლოთ მიეცემა ამა მუხლში აღნიშნულ სამხედრო მსახურთა შორის იმასაც, ვინც, თუმცა, სამხედრო სამსახურში შესვლამდე არ ეწეოდა სოფლის მეურნეობას, როგორც მშრომელი მიწათმოსარგებლე, მაგრამ მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში ან წითელ ფლოტში იმსახურა არა ნაკლებ 6 წლისა.

შენიშვნა 2. ამა ინსტრუქციის 25—28 მუხლით გათვალისწინებული შეღავათი არ გავრცელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეზე, რომელსაც სამხედრო მსახური სარგებლობს საერთო წესისამებრ თავისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.

29. სამხედრო მსახურთათვის ხე-ტყის შეღავათით და უსასყიდლოთ მიცემისათვის,—ამა ინსტრუქციის 26—28 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატყეო ორგანო, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის დასტურით შეჰკრავს განსაზღვრულ ნაწილს მერქნის საერთო 5 პროცენტიანი ფონდიდან, ხე-ტყის შეღავათით და უსასყიდლოთ გაცემისათვის.

30. შეღავათით ან უსასყიდლოთ ხე-ტყე სამხედრო მსახურს მიეცემა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ნორმის ფარგალში.

31. ამა ინსტრუქციის 26-29 მუხ. აღნიშნულ შემთხვევაში ხე-ტყე სამხედრო მსახურს მიეცემა უახლოეს აგარაკში, სადაც ტყის სარგებლობა გათვალისწინებულია სათანადო ხარჯთაღრიცხვით.

32. თხოვნა ხე-ტყის მიცემის შესახებ სამხედრო მსახურმა უნდა შეიტანოს თემის აღმასრულებელ კომიტეტში და უკანასკნელის მიერ დაწესებულ ვადაზე. ამ ვადას თემის აღმასრულებელი კომიტეტი დააწესებს იმ ვარაუდით, რომ შესძლოს თავის დროზე გაუგზავნოს მაზრის საადგილ-მამულო ორგანოს უწყება სამხედრო მსახურთათვის საჭირო ხე-ტყისა და შეშის რაოდენობის შესახებ და სათანადო მოწმობანი მათი ქონებრივი მდგომარეობისა და ხე-ტყის ნამდვილი საჭიროების შესახებ.

33. სატყეო კომისია, რომელიც მოეწყობა მაზრის საადგილ-მამულო ორგანოსთან ადგილობრივი ტყის გამგის მონაწილეობით,—განიხილავს და დააკმაყოფილებს იმ შუამდგომლობას, რის დაკმაყოფილებაც მის კომპეტენციას არ აღემატება, ხოლო დანარჩენ შუამდგომლობათ თავისი დასკვნით წარუდგენს გადასაწყვეტათ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

34. საქონლის ძოვებისა, ბალახის თიბვისა და ტყის სხვაგვარი არაპირდაპირი სარგებლობის ნება სამხედრო მსახურს მიეცემა შეღავათით ან უსასყიდლოთ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული წესისამებრ.

კარი VIII. სავეტერინარო მომსახურება.

35. როცა ეპიზოოტია არ არის და არც სასწრაფო დახმარების აღმოჩენაა საჭირო, უბნისა და ქალაქის საავადმყოფოს და ამბულატორიის სავეტერინარო პერსონალი სამხედრო მსახურს ავადმყოფ საქონელს დახმარებას გაუწევს პირველ რიგში.

36. სამხედრო მსახურს პირველ რიგში,—უპირატესად სხვა მოქალაქესთან შედარებით,—უნდა აუნაზღაურონ ეპიზოოტის დროს მოკლული ან ავადმყოფობის გამო დახოცილი საქონლის ფასი და აგრეთვე მოსპობილი საგნებისა და საკვების ფასი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. მარტი 10.
ტფილისი-სასახლე.

ამხანაგებისა და მეგობრების ხსოვნას



ამხ. მიასნიკოვი

ამხ. მოგილევსკი



ამხ. გ. ათარბეკოვი

დღეს ერთი წელი სრულდება, რაც ჩვენს შორის აღარ არიან საუკეთესო ამხანაგები და მეგობრები.

უაზრო შემთხვევამ გამოგვგლიჯა ისინი ჩვენი რიგებიდან. ისინი ჰაერში დაიწვნენ.

ჩვენ კი ამდენი საპასუხისმგებლო, სერიოზული, გადაუდებელი საქმეები გვაქვს, რომლებიც მოითხოვენ ლენინიზმის სულით გაჟღენთილ, მტკიცე და ურყევ ამხანაგებს, ხელმძღვანელებსა და მშენებლებს.

ისინი ვეღარ გაიხარებენ შემოქმედების სიხარულით და ვერც მწუხარებას გაიზიარებენ ჩვენთან ერთად დამარცხებათა გამო, რომელიც აუცილებელია ჩვენი გრანდიოზული მშენებლობის დროს.

საქმეს, რომელიც მათთან ერთად იყო დაწყებული, რომელსაც ვანვითარებდით ჩვენ ალიოშას, სოლომონის და გეორგის უშუალო მონაწილეობით ბოლომდის განვაგრძობთ ჩვენ.

ჩვენ გამოვიყენებთ მთელ ცოდნას, მთელ გამოცდილებას, მთელ ენერგიას, იმისათვის, რომ საბოლოოთ განვამტკიცოთ ჩვენს ქვეყანაში შრომის ძალა-უფლება.

ჩვენ ისევე ულმობელი ვიქნებით მშრომელი ხალხის მტრების მიმართ, როგორც დაღუპული ამხანაგები იყვენ.

ჩვენ ისევე ულმობელი ვიქნებით ყრობით დიდ და პატარა საქმეებს ჩვენსას, როგორც ჩვენგან წასული ამხანაგები ეპყრობოდენ.

და ჩვენ ვსძლევთ ყველა მრავალრიცხოვან დაბრკოლებებს, რომლებიც ჩვენი აღმშენებლობის გზაზე ჩნდებიან და მოვაახლოვებთ სოციალიზმის ზეიმის ჟამს, რომლისთვისაც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდენ დაღუპული ამხანაგები.

და ჩვენ გავიმარჯვებთ საბჭოთა ქვეყნის მუშებისა და გლეხების მიერ დაწყებულ ბრძოლაში,—გრანდიოზულ, ჯერ უნახავ ბრძოლაში.

გამარჯვებულნი ადიდებენ თავდადებულ მებრძოლთა სახელებს, რომელთაც თავი შესწირეს მუშებისა და გლეხების საქმეს.

მათ შორის იქნება მიასნიკოვის, ათარბეკოვისა და მოგილევსკის სახელიც.

შ. ელიავა.

ამერიკის ახალი კურსი ევროპის მიმართ

ფიქრობენ, რომ ამერიკის ელჩი ლონდონში ხაუტონი დანიშნული იქნება საგარეო საქმეთა მინისტრად

ხაუტონი ეკონომიური ზეგავლენის მოხდენით აპირებს ევროპის „მოჭკვიანებას“

ამერიკა არ მიიღებს მონაწილეობას განიარაღების კონფერენციაზე

შეერთებული შტატების პოზიცია ევროპის მიმართ

ვაშინგტონი, 19 მარტი. პრეზიდენტის კულიჯის და გარეშე საქმეთა მინისტრის კელოგის ამერიკის ლონდონელ ელჩთან ხოუტონთან და ჟენეველ წარმომადგენელთან გიბსონთან საუბრის შემდეგ, პრესის წარმომადგენლებმა მიიღეს ნახევრად ოფიციალური განცხადება შეერთებული შტატების პოზიციის შესახებ ევროპის მიმართ.

ეს პოზიცია გამოიხატება შემდეგში: შეერთებული შტატები მეტად პესიმისტურად აფასებენ ევროპაში შექმნილ მდგომარეობას. **ევროპის სახელმწიფოებს არ სურთ განიარაღება. ჟენევაში გამოაშკარავდა ინტრიგა, რომელსაც აწარმოებდენ დიდი სახელმწიფოები, წონასწორობის სისტემის აღსადგენათ. ერთა ლიგაში ბატონობენ ლათინური სახელმწიფოები.** ინგლისი მხარს უჭერს საფრანგეთს, რათა უზრუნველჰყოს საფრანგეთის დახმარება საბჭოთა კავშირთან და ჩინეთთან ურთიერთობის დროს, ან მოსულის საკითხში.

ინგლისსა და საფრანგეთს შორის არსებობს უთანხმოება განიარაღების საკითხში. ინგლისი, რომელსაც მხარს უჭერს შეერთებული შტატები, მოითხოვს, რომ განიარაღება შეეხოს მშვიდობიანი დროის სამხედრო ძალების დონეს; სამრეწველო და სხვა ფაქტორები არ შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში. ამავე დროს საფრანგეთი, იტალია და იაპონია მოითხოვენ, რომ განიარაღების საკითხის გადაჭრის დროს მხედველობაში მიღებულ იქნეს ყველა ფაქტორები, სახელდობრ სამრეწველო მობილიზაციის სიდიდე და სხვა.

საფრანგეთი, იტალია და იაპონია უარჰყოფენ შეერთებული შტატების წინადადებას ვაშინგტონის ხელისმომწერ სახელმწიფოების საზღვაო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

გერმანიის მიერ ერთა ლიგაში გავლენის მოპოვების საწინააღმდეგო გამოსვლები იმის დამამტკიცებელია, რომ ევროპის სახელმწიფოების პაციფისტური განცხადებები არ არის გულწრფელი. ამ სახელმწიფოებს ეშინიათ, რომ გერმანია ერთა ლიგაში მოითხოვს შეიარაღების შემცირებას საერთო ევროპიული მასშტაბით; ვერსალის ხელშეკრულების თანახმად.

ჟენევის ამბებმა იმედი გაუცრუა შეერთებულ შტატებს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს თავი შეიკავოს მომავალში ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევისაგან. **შეერთებული შტატების აზრით, ევროპის სახელმწიფოებს არ სურთ მოწვევა განიარაღების კონფერენციისა, რომელიც უნაყოფო იქნება ევროპის ცალკე სახელმწიფოების მიზნების წინააღმდეგობის გამო.**

ამიტომ შეერთებულ შტატებს გადაწყვეტილი აქვს უარი სთქვას კონფერენციაში მონაწილეობაზე. ერთა ლიგა „სამღვთო კავშირს“ დაემსგავსა. შეერთებული შტატების აზრით ევროპას არ სურს მორალური რჩევა-დარიგების მიღება შეერთებულ შტატებისაგან. შეერთებული შტატები ევროპას არ გაუწევს დახმარებას, სანამ უკანასკნელი თვით არ მიმართავს მას ამისათვის. შეერთებული შტატები დაიცდის, სანამ ეკონომიური ფაქტორები არ აიძულებენ ევროპას უარჰყოს ეხლანდელი ნაციონალისტური მილიტარიზმი.

ფინანსიური სივიწროვე აიძულებს ევროპას შეამციროს შეიარაღება და შესცვალოს თავისი პოლიტიკა. მაშინ შეერთებული შტატები შესძლებს თავისი პოლიტიკური ხაზის გატარებას. მუსოლინის იმპერიალიზმი დიდ უნდობლობას იწვევს.

ხაუტონის გეგმა.

ვაშინგტონი, 19 მარტი. კომპეტენტიური დეკლარაცია შეერთებულ შტატების პოზიციის შესახებ, რომელიც ხაუტონის ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ გამოქვეყნდა, ამტკიცებს, რომ ამ უკანასკნელის გავლენა ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე გაიზარდა. ეს გარემოება აგრეთვე აძლიერებს იმ მოსაზრებას, რომ **შესაძლებელია ხაუტონი დანიშნულ იქნეს საგარეო საქმეთა მინისტრად.** ზოგიერთ ხმების მიხედვით, ხაუტონის ჩამოსვლა ვაშინგტონში უმთავრესად ე. წ. „ხაუტონის გეგმებთან“ არის დაკავშირებული, რომელიც შეეხება ამერიკის საგარეო პოლიტიკის შეცვლას. ეს გეგმა, როგორც ფიქრობენ, იმაში მდგომარეობს, რომ **ამერიკამ ევროპაში არ უნდა გაუწიოს ანგარიში ერთა ლიგას, მაგრამ ხელი უნდა შეუწყოს პაციფიზმის გაძლიერებას და ფინანსიურ სტაბილიზაციას ეკონომიური ზეგავლენის მოხდენით.** უკანასკნელი ამბები ამტკიცებენ ამ მოსაზრებას. ფრიად საყურადღებოა აგრეთვე მეორე ელემენტიც, თუმცა მის გარეშე უფრო ნაკლებად სწარმოებდა მუშაობა: ეს არის საკითხი შეერთებული შტატების პროტექციონურ საბაჟო პოლიტიკის გადასინჯვის შესახებ; როგორც ამბობენ, ხაუტონი ამ პოლიტიკის გადასინჯვის მომხრეა, იმ მიზნით, რომ გაადვილებულ იქნეს უცხოეთის საქონლის შეტანა ამერიკაში.

ბანკირები ხაუტონის მომხრეები არიან.

ვაშინგტონი, 19 მარტი. რესპუბლიკანურ პარტიაში საწარმოო და ფინანსიურ კაპიტალის წარმომადგენელთა შორის დიდი უთანხმოება არსებობს. ხმების მიხედვით, ბანკირები თანახმანი არიან მხარი დაუჭირონ ხაუტონს, ან რომელიმე სხვა ტარიფების გადასინჯვის მომხრე კანდიდატს საგარეო საქმეთა მინისტრის არჩევაში, კელოგის მაგიერ. ამრიგად, ისინი ფიქრობენ მწარმოებლების პოზიციების შესუსტებას.

პრესის კომენტარიები

ვაშინგტონი, 19 მარტი. გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობები იმ პოზიციის შესახებ, რომელიც შეერთებულმა შტატებმა დაიჭირა ევროპიდან მიღებული უკანასკნელი მოხსენებების მიხედვით. პრესა აღნიშნავს, რომ თუმცა შეერთებული შტატების პოლიტიკას „წმინდა ამერიკული ხასიათი“ აქვს, მაგრამ ის მაინც უფრო ინგლისისა და გერმანიას თანაუგრძნობს და ბრალს სდებს ლათინურ სახელმწიფოებს, რომლებიც მშვიდობიანობის საქმეს აფერხებენ. ამასთანავე პრესა აღიარებს, რომ ინგლისი საფრანგეთს [illegible], რათა, მისი დახმარება მიიღოს ჩინეთსა და მოსულში.

ეს ნახევრად ოფიციალური ცნობა კომენტარიებს არ უკეთებს ბრაზილიის ყოფაქცევას ლიგის საბჭოში ჟენევაში.

„წმინდა ამერიკული ხასიათი“.

ვაშინგტონი, 19 მარტი. ჟენევაში მომხდარი ამბები ხელს უწყობენ ევროპის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკის განვითარებას, რომელსაც ამერიკა ადგია.

მთავრობის გავლენის ქვეშ მყოფი პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ თანდათან მტკიცდება ის აზრი, რომ ამერიკამ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში და უნდა ამჯობინოს მასზე ეკონომიური ზეგავლენის მოხდენის მეთოდი.

პრესა ცინიკურ კილოთი ეხება ერთა ლიგის მუშაობას. ბრაზილიის გამოსვლას სხვადასხვა გვარად აფასებენ. როგორც სჩანს, პრესას ამ საკითხის შესახებ არ მიუღია არც ინსტრუქციები და არც ცნობები. ზოგი აკრიტიკებს ბრაზილიის უგუნურობას, ზოგიც ესალმება. საერთოდ კი ფიქრობენ, რომ ბრაზილია იტალიის გავლენით მოქმედობდა. გამოსთქვამენ აგრეთვე იმ აზრსაც, რომ ყველა სახელმწიფოები ემხრობოდენ ასეთ ობსტრუქციების მეთოდს.

იმპერიალისტური გაზეთები უკმაყოფილო არიან ბრაზილიის გამოსვლით, რადგან სამხრეთ-ამერიკის რომელიმე სახელმწიფოს გავლენის გაძლიერება ევროპის საქმეებზე შიშს ბადებს, რომ მომავალში ლათინური ამერიკა ერთა ლიგას გამოიყენებს შეერთებული შტატების წინაღმდეგ.

უდიდესი სიურპრიზი

ვაშინგტონი, 19 მარტი. „ნიუიორკ ჰერალდის“ კორესპონდენტი ტრიჟი ამბობს, რომ „დღევანდელი თათბირის ყველაზე უდიდესი სიურპრიზი იმაში მდგომარეობს, რომ ევროპიდან დაბრუნებული დიპლომატები აღარ ფიქრობენ, თითქოს რუსეთი იყოს ევროპის მდგომარეობის გართულების ნამდვილი მიზეზი; ისინი ნაკლებ შესაძლებლად სთვლიან ომს რუსეთსა და აღმოსავლეთ-ევროპის რომელიმე სახელმწიფოს შორის. რუსეთის პოზიციას არ ეხება აღმოსავლეთ ევროპის საქმეები. რუსეთს არ სთვლიან აგრესიულ სახელმწიფოდ და ევროპის არც ერთი სახელმწიფო არ ფიქრობს რუსეთში შეჭრას“.

დანარჩენი გაზეთების კორესპონდენტები არ ადასტურებენ „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტის ცნობებს.

[illegible] დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ამერიკა არ დაეთანხმა საფრანგეთის და [illegible] განცხადებას, რომ მათ არ შეუძლიათ [illegible] განიარაღების საბჭოთა [illegible]

სენატორ ბორას რეზოლუცია

ლონდონი, 19 მარტი. ინგლისის მთავრობის პრესა უკმაყოფილოა იმ რეზოლუციით, რომელიც ბორამ ამერიკის სენატს წარუდგინა.

„ბორას რეზოლუციაში მოყვანილია შემდეგი კითხვა: რა წინადადება შეიტანა ამერიკის მთავრობამ, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებთან მოსალაპარაკებლად იმ პრეტენზიების გარშემო, რომელიც ამერიკის გემების მეპატრონეებმა წარუდგინეს ინგლისის ფლოტს?

ამერიკის გემების მეპატრონეები მოითხოვენ იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მათ მოუვიდათ გერმანიაში კონტრაბანდით გაგზავნილ ტვირთების კონფისკაციის გამო ინგლისის ფლოტის მიერ, სანამ ამერიკა ომში ჩაერეოდა.

კონსერვატორიული „მორნინგ პოსტ“-ი აცხადებს, რომ ძნელია ამ პრეტენზიების რაოდენობის სისწორით განსაზღვრა, მაგრამ ცხადია ეს თანხა ძალიან დიდია.

„გაზეთი (გამოტოვებულია) ძალიან მკაცრი კილოთი აცხადებს, რომ ინგლისის არც ერთი მთავრობა არ დააკმაყოფილებს ამ პრეტენზიებს და ამერიკას, რომელიც გადამეტებულ პრეტენზიებს აცხადებს, შეუძლია დაჰკარგოს.., (გამოტოვებულია).

საქმიან წრეებში რეზოლუციის შესახებ ამბობენ, რომ ეს „ან ხუმრობაა, ან გულკეთილობა“.

საქართველოს მუშურ-გლეხური წითელი არმია

„საჭიროა დაუყოვნებლივ, შეაიარაღოთ მუშები და ღარიბი გლეხები საქართველოს წითელი არმიის შექმნის მიზნით.

1921 წ. 3 მარტი“.

„აუცილებელია გააძლიეროთ საქართველოს წითელი არმია, მიიზიდოთ ხელისუფლების ყველა ორგანოები და ყველა მშრომელი მასები მუშაობაში არმიის შესაქმნელად და სხვა.

მაგრამ [illegible] რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, დაუყოვნებლივ გააძლიეროთ საქართველოს წითელი არმია. დეე, ამ თავითვე იყოს ერთი ბრიგადა, დეე, უფრო ნაკლებიც, 2—3 ათასი წითელი კურსელი, აქედან ერთნახევარი ათასი კომუნისტი, რომ ამ კურსელებს შეეძლოთ (როგორც კადრებს) გადაიქცენ არმიად, თუ ეს საჭირო იქნება,—ეს აბსოლიუტურად საჭიროა“.

1922 წ. თებერვალი.

ლენინი.

ცოტა რამ ისტორიიდან

მთელი რიგი (ისტორიული და სოციალური) მიზეზების ძალით საქართველოში თვითმპყრობელობის დამხობის მომენტში 1917 წ. თებერვალში მმართველ პარტიად გახდა ბურჟუაზიული მენშევიკური პარტია. ამ დროს და აგრეთვე შემდეგ ბოლშევიკების პარტია ჩვენში არ სარგებლობდა იმ გავლენით და ავტორიტეტით, რომელიც საჭირო იყო ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ.

ხელისუფლების შესანარჩუნებლად მენშევიკური პარტია და მისი მთავრობა შეუდგა შეიარაღებულ ძალის—სახალხო გვარდიის და არმიის ორგანიზაციას.

უმთავრესად მენშევიკური მთავრობა ეყრდნობოდა სახალხო გვარდიის ძალებზე და მისი დახმარებით აქრობდა ყოველგვარ რევოლიუციონურ და გლეხთა გამოსვლებს. სახალხო გვარდიის და მენშევიკურ არმიის ორგანიზაციის დღიდან მათ შორის თანდათან ძლიერდებოდა უნდობლობა და მტრული განწყობილება. ვინაიდან სახალხო გვარდიელები მენშევიკურ მთავრობის განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობაში ჰყავდათ, სახალხო გვარდიელები სარგებლობდენ თითქმის განუსაზღვრელ უფლებებით, როგორც მოქალაქეების, ისე მენშევიკურ არმიის ჯარისკაცების მიმართ. მათ აძლევდენ უკეთეს ულუფას, შედარებით უკეთ ჯამაგირს და ანიჭებდენ ყოველგვარ სხვა უპირატესობას. ყველაფერ ამას მოკლებულნი იყვნენ მენშევიკური არმიის ჯარისკაცები.

სახალხო გვარდიელები უნდობლად ეპყრობოდენ ჯარისკაცებს, ხოლო უკანასკნელები ასეთივე უნდობლობით უპასუხებდენ მათ.

ამის გამო, მენშევიკურ მთავრობას არ აღმოაჩნდა (როცა ეს საჭირო იყო) მჭიდროთ შეკავშირებული ერთიანი შეიარაღებული ძალა. ასეთმა ორგანიზაციამ არევ-დარევამ გამოიწვია ის, რომ ყოველგვარ გლეხთა აჯანყების დროს, განსაკუთრებით, მუშურ-გლეხური წითელი არმიის გაჩენის დროს, მენშევიკური არმ. ნაწილები და გვარდიელები პირველ შეტაკებისთანავე გარბოდენ.

საქართველოს მუშათა და გლეხთა აჯანყების მომენტში, 1921 წლ. თებერვალში, მენშევიკური არმია უძლური აღმოჩნდა აჯანყებულ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგობის გაწევაში. იმ დროს, თითქმის ქვეყნის მთელი მოსახლეობა, მათ შორის მენშევიკური არმიაც გვარდიითურთ, დარწმუნებული იყო, რომ ჩქარა მოეღება ბოლო მენშევიკურ რეჟიმს საქართველოში და ქვეყანაში გამეფდება საბჭოთა ხელისუფლება.

როგორც ვიცით, აჯანყებულ მშრომელ ხალხთან რამდენიმე შეტაკების შემდეგ მენშევიკური არმია თითქმის სავსებით განადგურდა. მენშევიკურმა მთავრობამ თავისი არმიის და სახალხო გვარდიის ნაშთები ჩაიყვანა ბათომში.

აქ ისინი მიხვდენ, რომ გაცემული არიან მთავრობის მიერ და ხელში უვარდებიან ოსმალეთის ჯარებს. მენშევიკური არმიის ნაშთები ფიცხლავ დაირაზმენ და გმირულად ეკვეთენ ოსმალეთის ჯარებს და სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს მტერზე.

თუმცა მენშევიკური არმიის ზოგიერთი ნაშთები სრულიად გულწრფელად შეურთდენ საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ მათზე დაყრდნობით არ შეიძლებოდა საქართველოს წითელი არმიის შექმნა. ამიტომ 1921 წლის მარტის პირველ რიცხვებში საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი მენშევიკური სახალხო გვარდიის და არმიის დაშლის შესახებ. ამავე დროს რევკომმა გამოსცა დეკრეტი საქართველოს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ორგანიზაციის შესახებ. ამ მომენტში სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისრად იყო ამხ. შ. ელიავა, არმიის მთავარსარდლად კი გენ. მაზნიაშვილი.

თავდაპირველათ, 1921 წ. 11 მარტს, შედგენილი იქნა ერთი ბრიგადა. დაახლოვებით ამავე წლის აპრილის მეორე ნახევარში ბრიგადა გარდაქმნილი იქნა დივიზიათ. რომელშიაც შედიოდა 3 ქვეითა ჯარის, ცხენოსანთა, სანაპირო ბრიგადა, 3 საარტილერიო დივიზიონი სათანადო ჯავშნოსანი მატარებლებით, საინჟინერო პოლკი, სავიაციო ძალები და სხ.

1925 წ. აგვისტოს 1 რიცხვებში დივიზიის შტაბი დაშლილი იქნა და ბრიგადები უშუალოთ დაექვემდებარენ არმიის სარდლობას. ამავე პერიოდში არმიის სარდლად დანიშნული იქნა ანდრონიკაშვილი (რომელიც 1922 წელს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინტერესებს მოღალატეობისათვის დახვრეტილ იქნა).

1921 წელს ნოემბერ - დეკემბერში საქართველოს წითელი არმიის რიცხვი უდრიდა 15.000 ხიშტს. ცხადია, რომ ასეთი დიდი არმიის შენახვა მუშურ-გლეხურ საქართველოს და მის მთავრობას არ შეეძლო. ქონებრივად დაისვა საკითხი არმიის შემცირების შესახებ, მით უმეტეს, რომ თავიდან იყო აცილებული უშუალო ომის საშიროება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარედ. ამავე პერიოდში იმავე მიზეზების გამო სწარმოებდა საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმიის შემცირება.

ამიტომაც 1921 წელს დეკემბერში საქართველოს წითელი არმია გარდაქმნილი იქნა ერთ შემკრებ ბრიგადად, და დაექვემდებარა კავკასიის განსაკუთრებულ არმიის სარდლობას.

1922 წლის ივლისში შემკრები ბრიგადა გარდაქმნილი იყო მშვიდობიანი დროის ნაციონალურ დივიზიათ.

1922 წ. დამლევს ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის და ზოგიერთ სახალხო კომისარიატების გაერთიანების გამო საქართველოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარიატი გაუქმებული იქნა და მის ნაცვლად დაარსდა საქართველოს სამხედრო კომისარიატი, როგორც სამობილიზაციო-სააღრიცხვო აპარატი.

1924 წლის აპრილში საქართველოს რესპუბლიკის, ამიერ-კავკასიის და მთელი ჩვენი კავშირის პოლიტიკურად და ეკონომიურად გაძლიერების გამო შესაძლებელი გახდა მე-2-რე ქართული დივიზიის დაარსება. ორივე დივიზიებში მოეწყო საკადრო და ტერიტორიალური ნაწილები (1—2 ტერიტ. პოლკებით).

მუშაობის შემდეგ პროცესში გამორკვა, რომ საკმარისი არ იყო ორივე დივიზიის საორგანიზაციო წყობილება (ტერიტორიალურ და საკადრო ნაწილების არევა) და ამიტომ 1924 წლის ნოემბერში მე-2 დივიზია გარდაქმნილი იქნა წმინდა ტერიტორიალურ დივიზიად, ხოლო პირველი—საკადრო დივიზიად. ამავე პერიოდში დაშლილი იქნა საქართველოს სამხედრო კომისარიატი და დაარსებულ იქნა საქართველოს ტერიტორიალური სამმართველო ტერიტორიალურ ოლქის უფლებებით და იგი დაექვემდებარა მე-2 ტერიტორიალურ დივიზიის სარდლობას.

ასეთია მოკლეთ საქართველოს წითელი არმიის წარმოშობა-განვითარების ისტორია.

საქართველოს წითელი არმიის ნაწილების მშენებლობის 5 წლის შემდეგ ჩვენ გვყავს ბრძოლის უნარით აღჭურვილი, მტკიცედ შეკავშირებული არმია, მაგრამ სანამ ჩვენ მივაღწევდით სასურველ შედეგს, ამ ხუთი წლის განმავლობაში მოგვიხდა უდიდეს სიძნელეთა გადალახვა, და მართლაც, ასეთ პირობებში, რომელშიაც სწარმოებდა საქართველოს წითელი არმიის მშენებლობა, არ შეიძლებოდა ადგილი არ ჰქონოდა ამ სიძნელეს. ჩვენი არმია შეიქნა და ჩამოყალიბდა არა სამოქალაქო ომის პირობებში, არამედ თეთრ-გვარდიელებთან საშინაო და საგარეო კონტრრევოლიუციონერებთან უშუალო ბრძოლაში, როგორც ეს მოხდა რუსეთში, სადაც წითელი არმია წარმოიშვა და გამოიჭედა კაპიტალის, დენიკინის, კოლჩაკის და ვრანგელის და მთელი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ მშვიდობიან მშენებლობის პირობებში და არ მიუღია საჭირო გამოცდილება სამოქალაქო ან სხვანაირ ომებში. ამ გარემოებას არ შეეძლო ცუდი გავლენა არ მოეხდინა საქართველოს წითელი არმიის ნაწილების ორგანიზაციაზე და შეკავშირებაზე.

მეორეს მხრივ საქართველოს წითელი არმიის ნაწილებში ჩვენ გვყავდა წითელ არმიელების მცირე რაოდენობა მუშების წრიდან. ამას არ შეეძლო გავლენა არ ქონოდა ჩვენი ნაწილების მშენებლობაზე, ვინაიდან ცნობილია, რომ პროლეტარიატი, როგორც რევოლიუციის, ისე საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის პროცესში, წარმოადგენს [illegible] იმ ძალას, რომლის გარშემო თავს იყრიან ყველა დანარჩენი კლასები, ქვეყნის ყველა შემოქმედი ძალები. რამდენადაც ეს ელემენტი (მუშათა-კლასი) იყო ძალიან მცირე წითელ არმიაში, იმდენად მოიკოჭლებდა მუშაობა და წითელი არმიის მშენებლობის საქმე ძალიან ნელის ტემპით მიმდინარეობდა.

შემდეგ მთავარ პირობას უნდა წარმოადგენდეს კომუნისტური ორგანიზაცია. მაგრამ როგორც ვიცით, პირველი 2-3 წლის განმავლობაში წითელ არმიაში კომუნისტური პარტია მეტად მცირე რიცხოვანი იყო. იმ დროს (პირველი სამი წლის განმავლობაში) ჩვენ გვყავდა არმიაში არა საკმაოდ მტკიცე, ნაკლებად დისციპლინის მქონე და სამხედრო მუშაობის და სამხედრო პირობებს არა საკმაოდ შეჩვეული კომუნისტები. კომუნისტურ პარტიის წმენდის ჩატარებამდე საქართველოს არმიის მასშტაბით, ბლომად მოიპოვებოდენ კომუნისტები, რომლებიც არა თუ ხელს უწყობდენ მუშაობას, არამედ ყოველ ფეხის გადადგმაზე სახელს უტეხდენ მუშურ-გლეხურ მეომარს, წითელ არმიელის სახელს.

სულ მცირედის გამოკლებით, არმიის და აგრეთვე ყველა ნაწილების პოლიტიკური აპარატები შედგენილი იყო ისეთი მუშაკებისაგან, რომელთაც თითქმის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში და სამოქალაქო ომში. მომზადებული და მტკიცე კომუნისტები არ მოიპოვებოდენ. გულწრფელად უნდა ითქვას, რომ კომუნისტები იმ დროს დიდი ხალისით არ მიდიოდენ სამუშაოდ არმიაში. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები.

მაგრამ უმთავრეს პირობას, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოს წითელი არმიის ნაწილების მშენებლობას, წარმოადგენდა საბჭოთა საკომანდო შემადგენლობის უყოლობა. ცნობილია, რომ მენშევიკურ არმიის და წინად მეფის არმიის (ქართველებიდან) საკომანდო შემადგენლობა იყო უმთავრესად თავად-აზნაურული, უკეთეს შემთხვევაში სასულიერო, წვრილ ბურჟუაზიული გარდა ამისა, მენშევიკებმა თავიანთი ბატონობის სამი წლის განმავლობაში აღზარდეს მათში მებრძოლი ნაციონალიზმი და ცხოველური შოვინიზმი. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი საკომანდო შემადგენლობით ადვილი არ იყო აგვემუშავებინა ისინი საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტურ პარტიის სასარგებლოდ.

მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ არმიის პოლიტიკური აპარატის კომუნისტ-სამხედრო მუშაკების მეცადინეობით, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მუშაობით და მთელი პოლიტიკის წყალობით ჩვენ შევძელით ამ უპარტიო საკომანდო შემადგენლობის უმრავლესობის გასაბჭოვება და საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ გულწრფელი ამუშავება. მხოლოდ მცირე ნაწილი იძულებული იყო წასულიყო წითელი არმიის რიგებიდან, როგორც პოლიტიკურად არა კეთილ-საიმედო ელემენტი, ან როგორც უბრალო ბალასტი, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა არც სამხედრო სწავლების და არც სხვა მხრივ.

და თუ მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ჩვენ მაინც შევძელით ქართული წითელი არმიის შექმნა—ეს მოხდა მხოლოდ მისი უფროსი ძმის გამოცდილი ხელმძღვანელის —რუსეთის წითელი არმიის და მთელი რიგი სხვა პირობების წყალობით.

II ვისი ხელმძღვანელობით ვმუშაობდით

თითქმის მთელი 1921 წლის განმავლობაში, როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო დარგში, მთელი ხელმძღვანელობა ეკუთვნოდა არმიის პოლიტიკურ განყოფილებას, რომელიც თავის მხრივ დირექტივებს ღებულობდა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკასაგან, მეორეს მხრივ სამხედრო-სასწავლო და ოპერატიულ დარგში ხელმძღვანელობა ეკუთვნოდა ქართულ არმიის შტაბს. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ხელმძღვანელობა ძალაზე მოიკოჭლებდა. როგორც პოლიტიკურ აპარატს, ისე არმიის სარდლობას არ ჰქონდა საკმაო გამოცდილება და ორგანიზაციული დახელოვნება ახალი კლასიური არმიის მშენებლობაში.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ როცა ქართული წითელი არმია შემცირებულ იქნა და 1921 წელს დეკემბერში დაუქვემდებარდა კავკასიის ცალკე არმიის საერთო სარდლობას და მის პოლიტიკურ მმართველობას, ქართული ნაწილების მშენებლობის და აგრეთვე სწორი ხელმძღვანელობის საქმე წინ წავიდა დიდი ნაბიჯებით. ეჭვს გარეშეა, რომ აქაც პირველი ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს, რადგან კავკასიის ცალკე არმიის მუშაკებს, მიუხედავად მათი დიდი გამოცდილებისა, ქართული ნაწილების თავისებურ ისტორიულ, ტრადიციულ და ნაციონალურ პირობების გამო უძნელდებოდათ სწორად მიდგომა ქართული ჯარის მშენებლობისადმი. მაგრამ როგორც კავკასიის ცალკე არმიის სარდლობამ, ისე მისმა პოლიტიკურმა სამმართველომ ჩქარა გადალახა ეს სიძნელენი; რასაკვირველია, ყველა თავის მნიშვნელოვან, პრინციპიალურ ხასიათის დირექტივებს და მითითებებს ის უთანხმებდა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას.

1924—25 წელს ჩვენ უკვე ვაღწევთ სავსებით გარკვეულ და სწორ ხელმძღვანელობას არმიის სარდლობის და მისი პოლიტიკური სამმართველოს მხრივ.

III უფშემადგენლობა—მეთაურთა სკოლა

ცხადია, როცა გვყავდა საერთოდ ასეთი ძველი უფშემადგენლობა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, საბჭ. ხელისუფლ. და კომუნ. პარტიას არ შეეძლო არ ეზრუნა თავის საბჭოთა-კომუნისტურ კომანდირზე. ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის ცეკამ ყველა ყოფილი სამხედრო პირები კომუნისტები მობილიზაციით გამოიწვია არმიაში სამუშაოდ. მაგრამ ეს არა საკმარისი იყო.

1921 წ. ივნის-ივლისში დაარსდა უფშემადგენლობის შეერთებული ქართული სკოლა. ერთი წლის შემდეგ სკოლამ გამოუშვა პირველი საბჭოთა კომანდირები. შემდეგ სკოლა გადაკეთებულ იქნა საერთო საკავშირო მუშურ-გლეხური წითელი არმიის უფროსთა ტიპის სკოლად. 5 წლის მუშაობის განმავლობაში სკოლამ სამჯერ გამოუშვა წითელი კომანდირები. ამჟამად ახალი პარტიული უფშემადგენლობა, გამოსული ჩვენი მეთაურთა სკოლიდან, საერთოდ 33 პროცენტს უდრის, კომკავშირელებთან ერთად კი 48 პროცენტს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ძველი უფშემადგენლობა უკვე ისეთი აღარ არის, მათგანმა უკვე გაიარა უფშემადგენლობის გასაუმჯობესებლად არსებული სხვა და სხვა განმეორებითი კურსები, როგორც აქ, ისე მოსკოვში, ლენინგრადში, ბევრიც ეხლა მიდის. აქ ჩვენი უფშემადგენლობა მტკიცედ ითვისებს წითელი არმიის ორგანიზაციის ახალ ფორმებს და მეთოდებს, ხოლო პოლიტიკური მხრით ღებულობს დიდ მომზადებას და სავსებით თავისუფლად ერკვევა ყველა რთულ პოლიტიკურ საკითხებში და მიმდინარე მომენტში. ამჟამად უკვე კომუნისტები ძველი უფშემადგენლობიდან, 5 პროცენტს წარმოადგენენ.

ქართული ნაწილების მშენებლობის 5 წლის თავზე ჩვენ უკვე გვყავს საბჭოთა გენერალური შტაბიდან გამოსული მუშაკები, პარტიულები და უპარტიოები, რომელთაც სამხედრო აკადემიები აქვთ დამთავრებული. თუ წინად, თვითმპყრობელობის დროს, სამხედრო აკადემიაში ეგრედ წოდებულ „ინოროდცებიდან“ თითქმის არავის ღებულობდენ და თუ ღებულობდენ ისიც უმთავრესად მაღალ თავადურ არისტოკრატიულ ოჯახებიდან, ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ეროვნული უმცირესობები სხვებთან თანასწორად სარგებლობენ აკადემიაში შესვლის უფლებით.

IV. პოლიტსკოლის პოლიტშემადგენლობა.

პოლიტშემადგენლობის ხშირი ცვლა, ყოველგვარი გამოუცდელობა მუშაობაში, პოლიტიკური მოუმზადებლობა გავლენას ახდენდა ჩვენი ნაწილების მშენებლობის მთელს მსვლელობაზე. მაგრამ დროთა განმავლობაში გამოცდილებაც მატულობდა. გამოიზარდენ ახალი პოლიტმუშაკები წითელ არმიელებისაგან; ისინი გადიოდენ სხვა და სხვა კურსებს და პოლიტიკური ცოდნის სკოლებს, ხდებოდენ საკმაოდ სერიოზულ პოლიტმუშაკებად და იკავებდენ სხვა და სხვა თანამდებობას პარტიულ-პოლიტიკურ და პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის დარგში. ნაწილების მშენებლობის დასაწყისში პოლიტიკური მომზადება ვერ იყო სავსებით დამაკმაყოფილებელი. 1923—24 წ. გაიხსნა პოლიტიკური სკოლა პოლიტხელმძღვანელების და მათ თანაბარ თანამდებობის პირთა მოსამზადებლად. ამჟამად ჩვენი პოლიტიკური სკოლა სერიოზულ მუშაობას აწარმოებს პოლიტ-განათლების მუშაკთა კადრის შესაქმნელად. ის მუშაობს, როგორც სამწლიანი სკოლა, რომელიც სარგებლობს არმიის სამხედრო-პოლიტიკური სკოლების უფლებებით. კურსანტები, რომელნიც ამ სკოლიდან გამოდიან, თავისი მომზადების და კვალიფიკაციის დონით გაცილებით უფრო მაღლა დგანან, ვინემ მეორე საფეხურის პარტიული სკოლების კურსანტები.

ჩვენი არმიის მუშაკები ცოდნას აფართოებენ სხვა და სხვა უმაღლეს პოლიტიკურ სკოლებში და აკადემიებში. ამჟამად ჩვენი პოლიტმუშაკებიდან რამოდენიმე კაცი სწავლობს ამხ. ტოლმაჩევის სახელობის სამხედრო პოლიტიკურ აკადემიაში.

ლტოლვა სწავლისადმი ძალიან დიდია და ამიტომ ბუნებრივია, რომ პოლიტმუშაკების დიდ ნაწილს სურს სწავლის მიღება უმთავრესად სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში.

რამოდენიმე ათეული კომუნისტი და პოლიტმუშაკი სწავლობს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო-პოლიტიკურ სკოლაში.

ამჟამად ჩვენი არმია თითქმის სავსებით უზრუნველყოფილია პოლიტმუშაკებით და მწყობრი მუშაობა სწარმოებს როგორც მებრძოლების, ისე მთელი უფშემადგენლობის აღზრდისა და განმტკიცების საქმეში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტმუშაკები—კომუნისტები და პოლიტაპარატი წარმოადგენს ჩვენი არმიის სულს, სარდლობასთან ერთად ისინი არიან მომავალი ბრძოლების სულის ჩამდგმელნი და ორგანიზატორები.

V. რამდენიმე სიტყვა წითელ არმიის შემადგენლობაზე.

წითელ არმიის მშენებლობის პირველ წლებში მისი შემადგენლობა ვერ იყო სავსებით დამაკმაყოფილებელი. მას ახასიათებდა უდისციპლინობა, დეზერტირობა და სხვა. საერთოდ მასშიც ისახებოდა ის საერთო მდგომარეობა ქვეყნისა, რომლის მოწმენიც ჩვენ ვიყავით აღმშენებლობის პირველ წლებში. აგრეთვე ეს მოვლენა უნდა აიხსნას ნაწილებში პოლიტაპარატისა და პოლიტმუშაკების სუსტი მუშაობით. ამჟამად ჩვენი წითელ არმიის მასსა მორალურ-პოლიტიკურად უეჭველად გამტკიცებულ სახეს ატარებს, დეზერტირობა მთლიანად მოისპო.

მიწის რეფორმის ჩატარების შემდეგ, როცა ყველა მემამულეების მიწა გადაეცა გლეხებს, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების მიერ მთელ რიგ ეკონომიურ და პოლიტიკურ მიღწევების შემდეგ, გლეხობაში მოხდა აშკარა და ძირითადი გარდატეხა ამ ხელისუფლების სასარგებლოდ. ცხადია, ასეთივე გარდატეხა მოხდა დღევანდელ წითელ არმიელებში, რომლებიც გუშინ მიწის მუშები იყვნენ. ამჟამად ნაწილებში საბოლოოთ მოეწყო პოლიტმუშაობა და კულტმუშაობა და ჩვენი წითელარმიელებიც გატაცებით მიეცა როგორც სამხედრო, ისე პოლიტგანათლების მუშაობას.

როგორც ჩვეულებრივ კომუნისტების, ისე კომკავშირელთა რიცხვიც დღე და დღე იზრდება. ეხლა არმიაში იმყოფება 10 პროც. პარტიულებისა და 35 პროც. კომკავშირელებისა.

თუ აღმშენებლობის პირველ წლებში ჩვენი არმია მთლიანად გლეხობიდან შესდგებოდა, ეხლა იქ მუშების საკმაო რიცხვი მოიპოვება, სახელდობრ—8 პროც.

აგრეთვე ჩვენ არმიას ახასიათებს ინტელიგენტთა საკმაო რიცხვი (არიან კურსდამთავრებულნი, ცხრაწლედის, შვიდწლედის, ტეხნიკუმის და სხვანი). ეს გარემოება კარგ გავლენას ახდენს ჩვენს მუშაობაზე. ეს ძალები გამოყენებულ არიან წერაკითხვის უცოდინართა ან მცირედ მცოდნეთა შორის სამუშაოდ. ისინი მუშაობენ პოლიტაპარატის და პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობით წითელ არმიელების მასსებში კულტურულ და პოლიტცოდნის შეტანაზე.

VI. პარტორგანიზაცია და არმია.

ყველამ იცის, რომ კომპარტიამ მიიყვანა მუშები და გლეხები გამარჯვებამდე. ის არის ავტორი ოქტომბრის რევოლიუციისა და საერთაშორისო რევოლიუციონ. მოძრაობისა. კომპარტია არის მმართველი პარტია, რომლის გარშემოც იკრიბებიან ყველა შემოქმედი ძალები ახალ კომუნისტურ საზოგადოების შესაქმნელად. აგრეთვე კომუნისტები და კომუნისტური ორგანიზაცია წითელ არმიაში წარმოადგენს იმ ხერხემალს, იმ ფოკუსს, რომელშიაც ისახება და რომლიდანაც მომდინარეობს ყოველგვარი მუშაობა. კომპარტიის წყალობით გვყავდა და შემდეგშიაც გვეყოლება წითელი არმია, რომელიც ერთის მხრივ წარმოადგენს რისხვას მთელ მსოფლიო ბურჟუაზიისა და მჩაგვრელებისთვის, მეორე მხრივ კი არის დამცველი და მოსარჩლე მთელი ჩაგრული კაცობრიობისა.

ჩვენი არმიის ყოველ სამხედრო ერთეულში (როტაში) მოიპოვება კომუნისტური და კომკავშირული უჯრედი. უჯრედი თვალყურს ადევნებს თავის მუშაობას. არკვევს და სწავლობს წითელ არმიის შემადგენლობას, მის მისწრაფებას და საჭიროებას. თავის დროზე ყურადღებას აქცევს წითელ არმიელების საჩივარს და ნაწილის საერთო მორალურ მდგომარეობას.

წარსული წლების გაკვეთილებმა გვიჩვენეს, რომ პოლიტაპარატი და პარტიული ორგანიზაცია აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს წით. არმიის არსებობისთვის, მის უზრუნველყოფისთვის და მის გამარჯვებისთვის. ბურჟუაზიულ სახელმწიფოების არმიები ტყუილად არ სცდილობენ მაგალითად გადაიღონ ჩვენი პოლიტაპარატის და პარტორგანიზაციების საორგანიზაციო მშენებლობიდან. ისინი აგრეთვე სცდილობენ გადაიღონ ჩვენი მებრძოლების პოლიტაღმზრდელობა. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროთ ბურჟუაზ. ამას ვერ ახერხებს, რადგან შესაფერი პირობები არ აბადია. ჩვენი არმია კლასიურია. აქ ბატონობს მუშათა და გლეხთა კლასი. იმათი არმიაც თუმცა კლასიურია, მაგრამ შესდგება ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მუშ. და გლეხთაგან, რომელთა ინტერესები სავსებით ეწინააღმდეგებიან გაბატონებულ ბურჟუაზიულ კლასს. და სწორედ ამიტომაც ისინი ვერასდროს ვერ შესძლებენ, პოლიტმუშაობა დააყენონ ისეთ სიმაღლეზე, ან არმიის საკომანდო შემადგენლობაზე იქონიონ ისეთი მორალურ-პოლიტიკური გავლენა, როგორც ამას ჩვენში აქვს ადგილი.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი გარემოება: ჩვენი პარტიის წესდების თანახმად, არმიის პოლიტიკურ სამმართველოს, ხოლო შემდეგ დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებებსაც, უფლება აქვთ მიიღონ პარტიაში საერთო წესით წითელ არმიელები, ეს ამოცანა ქართულმა დივიზიებმა წარმატებით შეასრულეს, განსაკუთრებით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. პარტორგანიზაციის მიერ აღებული კურსის თანახმად, გაძლიერებული უნდა ყოფილიყო გლეხ წითელ არმიელების პარტიაში მიღება. ჩვენთვის ნათელი იყო, რომ გაცილებით უმჯობესია გლეხების პარტიაში მიღება იმ დროს, როცა ისინი არმიაში იმყოფებიან. ეს ჯერ-ერთი შესაძლებელს ხდის პარტიის წევრის ან კანდიდატის პოლიტიკურად აღზრდას ორი წლის განმავლობაში, და გარდა ამისა ხელს უწყობს მაქსიმალურ შედეგების მიღწევას კომუნისტური პარტიის პროგრამის მთავარ პრინციპების ჩანერგვის საქმეში. პარტიული, რომელსაც გავლილი აქვს პოლიტმომზადების ორწლიანი სკოლა, სოფლისათვის საკმაოდ მომზადებულ და აქტიურ მუშაკს წარმოადგენს.

ცხადია, ასეთი შედეგების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, თუ პარტიის წევრი, წითელ არმიელი გლეხი პარტიაში მიღებულ იქნებოდა სოფლად, სადმე მივარდნილ კუთხეში. იქ, რასაკვირველია, ძალიან ძნელი იქნებოდა მისთვის პოლიტიკური სკოლის გავლა.

ამ ხუთი წლის განმავლობაში, დაახლოვებით თუ ვიანგარიშებთ, ქართულ წითელ არმიაში მიღებული იყო პარტიის [illegible] თუ კანდიდატად 2,500-ზე მეტი გლეხი [illegible]

დემონსტრაციის დახვრეტა პეკინში

დუან-ცზი-ჟუიმ გასცა ბრძანება გომინდანის ლიდერების დაპატიმრების შესახებ

ჩინეთის გაზეთების უმრავლესობა დუან-ცზი-ჟუის გადადგომას მოითხოვს

სახალხო არმიის შტაბი პასუხისმგებლობას დემონსტრაციის დახვრეტისათვის მთავრობას აკისრებს

რემედასის ჩინეთის ორგანიზაციის მოწოდება

დემონსტრაციის დახვრეტა პეკინში

პეკინი, 19 მარტი. იმ დემონსტრაციას, რომელიც 18 მარტს დუან-ცზი-ჟუის ბინაზე მივიდა, რათა მისთვის პროტესტი გადაეცა უცხოეთის სახელმწიფოების მიერ გამოგზავნილ ულტიმატუმის წინააღმდეგ, დამცველმა რაზმმა სროლა აუტეხა.

დელეგაციის წევრებს შორის 17 კაცი მოკლულია, ხოლო ძალიან ბევრი დაჭრილია.

დუან-ცზი-ჟუი ცდილობს ჩააქროს ნაციონალური მოძრაობა

პეკინი, 19 მარტი. მთავრობამ ძალაუფლების დაკარგვის შიშით, როგორც ჩანს, გადასწყვიტა მიიღოს უკიდურესი ზომები და ჩააქროს ნაციონალური მოძრაობა, კომუნიზმის აღმოფხვრის მომიზეზებით, გაცემულია ბრძანება, რომლის თანახმად დაპატიმრებული უნდა იქნენ გომინდანის ბელადები პეკინში—სუ-ჩუნი, ლი-ტაი-ჩჟოუ, ლი-სი-ჩენი, პეი-ჩო და სხვები, რომელთაც ბრალს სდებენ, თითქოს ისინი ხელს უწყობენ დარბევას და სტუდენტებს აქეზებენ უკანონო გამოსვლებისაკენ.

ბრძანებაში ნათქვამია, რომ სუ-ჩუნი არიგებდა გომინდანის ცეკას მიერ ხელმოწერილ ფურცლებს, რომელიც მოუწოდებდა ხალხს ძალით შეჭრილიყვნენ დუან-ცზი-ჟუის რეზიდენციაში.

გარდა ამისა ბრძანებაში ნათქვამია, რომ ბრბომ (სახეში ჰყავთ დუან-ცზი-ჟუისთან მიმავალი დელეგაცია) თვითონ აუტეხა სროლა დუან-ცზი-ჟუის დამცველ რაზმს და გადმოჰყარა ხელით სასროლი ბომბები.

დუან-ცზი-ჟუის გადადგომას მოითხოვენ

პეკინი, 19 მარტი. პეკინში ყოველგვარი მიტინგი აკრძალულია. მოსახლეობის აღშფოთება უკიდურეს წერტილს აღწევს, მაგრამ გამოსვლებს ვერ ბედავენ მთავრობის რეპრესიულ ზომების შიშით.

ჩინურ გაზეთების მეტი ნაწილი ბრალს სდებს დუან-ცზი-ჟუის და მოითხოვს მის გადადგომას.

კომუნისტებს აბრალებენ

პეკინი, 19 მარტი. რეაქციური გაზეთები ეხებიან დუან-ცზი-ჟუის დამცველ რაზმის მიერ დემონსტრაციის ამოჟლეტას და ცდილობენ ამაში კომუნისტებს დასდონ ბრალი.

არც ერთი მართალი სიტყვა

პეკინი, 19 მარტი. მთავრობა რეაქციური გაზეთების საშუალებით ავრცელებს ფანტასტიურ ისტორიას თითქო მაწანწალების მრავალრიცხოვანი ბრბო, შეიარაღებული კეტებით და რევოლვერებით, შეეცადა შეჭრილიყო დუან-ცზი-ჟუის ბინაში, მისი მოკვლის მიზნით და პირველად აუტეხა სროლა დამცველ რაზმსო.

ამ ცნობაში არც ერთი სიტყვა მართალი არ არის. მიუდგომელი მოწამენი ამტკიცებენ, რომ დელეგაცია იცავდა სრულ წესრიგს, მაგრამ დუან-ცზი-ჟუის დამცველმა რაზმმა სროლა აუტეხა მას გაუფრთხილებლად.

სახალხო არმიის შტაბის განცხადება

პეკინი, 19 მარტი. სახალხო არმიის შტაბმა პეკინში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც განმარტავს, რომ **სახალხო არმიის ჯარისკაცები არ იღებდენ მონაწილეობას დელეგაციის გაჟლეტაში და არც დასწრებიან ამ ამბავს. დელეგაციის დახვრეტაში პასუხისმგებლობა სავსებით ეკისრება დუან-ცზი-ჟუის დამცველ რაზმს.**

იტყობინებიან, რომ დუან-ცზი-ჟუის დამცველი რაზმის ჯარისკაცებს ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთში მოკლულებისა და დაჭრილებისათვის წართმეულ ნივთების გაყოფის დროს.

სტუდენტთა კავშირის მოწოდება

პეკინი, 19 მარტი. პეკინის სტუდენტთა კავშირმა დეპეშები დაუგზავნა ყველა სტუდენტთა ორგანიზაციებს ჩინეთში, რომელშიაც მოუწოდებს ხალხს დაამხონ დუან-ცზი-ჟუის ბატონობა.

დაეხმარეთ მხეცობის მსხვერპლთ

პეკინი, 19 მარტი. „რემედასს“-ის პეკინის ორგანიზაციამ „რემედასის“ ცეკას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც მას სთხოვს მოუწოდოს ყველა ქვეყნის მშრომელთ, რათა მათ დახმარება აღმოუჩინონ მხეცური ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლთ. დეპეშაში ნათქვამია:

„18 მარტს პეკინის მოქალაქეებმა დემონსტრაცია გამართეს იმპერიალისტურ სახელმწიფოების ულტიმატუმის წინააღმდეგ. დემონსტრანტები გაემართენ მთავრობის მეთაურთან, რომ მისთვის პროტესტი გადაეცათ. დუან-ცზი-ჟუიმ უბრძანა თავის დამცველ რაზმს სროლა აეტეხა დემონსტრანტებისათვის. ხანგრძლივი სროლის შემდეგ დემონსტრანტების დიდი ნაწილი მოკლულ იქნა, მრავალი დასჭრეს. მსხვერპლის რაოდენობის მიხედვით ეს ხოცვა-ჟლეტა აღემატება შარშან 30 მაისს შანხაის უცხოელთა უბანში მომხდარ ხოცვა-ჟლეტას. დუან-ცზი-ჟუის დამცველმა რაზმმა გაძარცვა მოკლულები და დაჭრილები. „რემედასს“-ის პეკინის ორგანიზაცია შეძლებისდაგვარად დახმარებას გაუწევს ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლთ და მოუწოდებს ყველა ქვეყნის მშრომელთ დახმარებისაკენ თანაგრძნობის და პროტესტის გამოხატვით“.

პეკინის დემონსტრაციის რეზოლიუცია

პეკინი, 19 მარტი. რეზოლიუციაში, რომელიც პეკინის დემონსტრაციამ მიიღო უცხოეთის სახელმწიფოების ულტიმატუმის წინააღმდეგ მანამდე, სანამ დუან-ცზი-ჟუის ბინისკენ გაემართებოდა, — ნათქვამია: „მთავრობამ უნდა უარყოს ულტიმატუმი და გააუქმოს ბოქსიორთა ოქმი. უცხოეთის სახელმწიფოების სამხედრო გემები გაყვანილი უნდა იქნენ ჩინეთის წყლებიდან. ტაკუს ფორტებიდან სროლის ატეხისათვის დამნაშავენი უნდა დაისაჯონ. იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბოქსიორთა ოქმს, ბოდიში უნდა მოიხადონ ტაკუში მომხდარ ინციდენტის გამო. მთავრობამ უნდა [illegible] სახალხო არმიას [illegible] იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

პოლონეთში

პირველი მაისის დემონსტრაციის მონაწილეთა გასამართლება

ვილნო, 19 მარტი. ვილნოს საოლქო სასამართლოში დაიწყო 1924 წ. 1 მაისის კომუნისტური დემონსტრაციის მონაწილეთა საქმის განხილვა.

პოლიცია, სტუდენტები და ფაშისტები თავს დაესხენ დემონსტრაციის მონაწილეებს, რომელთაც მიჰქონდათ კომუნისტური პლაკატები და დროშები. თავდამსხმელებმა სროლა აუტეხეს დემონსტრანტებს.

დემონსტრაციის მონაწილეები მიცემული იქნენ სამართალში. საქმის გამო გამოწვეულია 120 მოწმე.

პანკრატოვიჩის გაქცევა და გარდაცვალება

ვილნო, 19 მარტი. ამ დღეებში გროდნოს ციხიდან გაიქცა პანკრატოვიჩი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა 3 წლის ციხე კომუჯრედების მოწყობისათვის გროდნოს პროვინციაში.

პანკრატოვიჩი დაპატიმრებული იქნა მატარებელში, მაგრამ გაექცა პოლიციელებს, გადახტა მატარებლიდან და სასიკვდილოთ დაშავდა.

უკრაინელ გლეხების შევიწროება

ვარშავა, 19 მარტი. პოლონეთის სეიმის უკრაინის ფრაქციამ შეიტანა შეკითხვა პოლონეთის პოლიციის მიერ ვოლინის გლეხების შევიწროების შესახებ. შეკითხვაში ნათქვამია, რომ პოლიციამ ადგილობრივ დახვრიტა 42 პარტიზანი, რომელნიც ვითომდა დაპატიმრებული იყვნენ იარაღით ხელში.

პოლონეთის მონარქისტების აგიტაცია

ვარშავა, 19 მარტი. პოლონეთის მონარქისტები ბელორუსიის და უკრაინის მცხოვრებთა შორის აგიტაციის საწარმოებლად შეუდგენ გროდნოში მონარქისტულ გაზეთის გამოცემას რუსულ ენაზე.

კომპარტიის წევრობისათვის

ვარშავა, 19 მარტი. ბრესტის მაზრაში პოლიციამ დააპატიმრა 40 გლეხი კომპარტიის წევრობისათვის გაჩხრეკის დროს მათ ჩამოართვეს დიდძალი ლიტერატურა.

სასიკვდილო განაჩენი

ვარშავა, 19 მარტი. სამხედრო სასამართლომ ლუცკში სიკვდილით დასაჯა მე-20 ქვეითა პოლკის ჯარისკაცი ნიკოლოზ ფილიასი, რომელსაც ბრალად ედებოდა რევოლიუციური პროპაგანდის წარმოება ჯარისკაცებს შორის და კომუნისტურ ლიტერატურის გავრცელება.

მასიური დაპატიმრებანი უკრაინელებს შორის

ვილნო, 19 მარტი. ლუცკში ოხრანკამ დააპატიმრა მრავალი უკრაინელი რომელთაც ბრალად ედებათ დასავლეთ უკრაინის კომპარტიის და კომკავშირის წევრობა.

ოხრანკის ცნობით მან აღმოაჩინა დას, უკრაინის კომპარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტები, რომელთა ხელმძღვანელები დაპატიმრებულნი არიან. ხელთ იგდეს მრავალი დოკუმენტი და ლიტერატურა.

ვილნოს კომუნისტურ ორგანიზაციის სათავეში, ოხრანკის ცნობით იდგა სეიმის დეპუტატი კომუნისტი პაუკი. პროკურატურა მოითხოვს მისთვის სადეპუტატო ხელშეუხებლობის წართმევას.

საბჭოთა კავშირი და ავსტრია

ავსტრიის ექსპორტი საბჭოთა კავშირში

ვენა, 19 მარტი. ავსტრიის ნაციონალურ ბანკის აქციონერთა საზოგადო კრებაზე მუშათა პალატის მდივანმა პალლომ მოითხოვა, რომ მიღებული იქნას ზომები საბჭოთა კავშირში ავსტრიის ექსპორტისათვის კრედიტების უზრუნველსაყოფელად.

ნაციონალურ ბანკის თავმჯდომარემ რეიშმა განაცხადა, რომ ამ მხრივ უკვე მიღებულია ზომები და კრედიტების საკითხებს უკვე იხილავენ სახელმწიფოს დაინტერესებული ორგანოები.

ავსტრიის მუშათა ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი

ვენა, 19 მარტი. ავსტრიის მუშათა ორგანიზაციების შორის ძლიერდება ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი.

მოსკოვიდან ვენაში ჩამოვიდა რუსეთ-ავსტრიის შერეულ საზოგადოების წევრი კრონეგერი (ავსტრიელი), რომელმაც წაიკითხა მოხსენება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკას, პროფკავშირების, კოოპერატივების წარმომადგენელთა და ქარხნების რწმუნებულთა კრებაზე. კრონეგერმა დაასურათა საბჭოთა კავშირის ეკონომიური განვითარება და აღნიშნა სოციალისტური მშენებლობის მიღწევები. მომხსენებელს მთელი აუდიტორია მქუხარე ტაშით შეხვდა.

მუშებმა მრავალი შეკითხვები მისცეს მომხსენებელს.

ავსტრიის და საბჭოთა კავშირის კულტურულ და ეკონომიურ დაახლოვების საზოგადოების თხოვნით საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ველფზონი 31 მარტს ვენის ერთ-ერთ დიდ დარბაზში წაიკითხავს მოხსენებას საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურულ განვითარების შესახებ.

საბჭოთა კავშირის ცნობის პირობები

ვენა, 19 მარტი. გლეხთა პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერმა და ბესარაბიის გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელმა სტერემ გაზეთ „ადვერულ“-ის თანამშრომელს განუცხადა, რომ გლეხთა პარტია მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის იურიდიულ ცნობას, მაგრამ იმ პირობით, თუ ბესარაბია დარჩება რუმინეთის ხელში.

ავსტრიის ახალგაზრდობა ემზადება

ვენა, 19 მარტი. ავსტრიის მუშათა ახალგაზრდობის კომიტეტი ემზადება საბჭოთა კავშირის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციის შესახვედრათ.

კომიტეტმა მიმართა მუშათა ახალგაზრდობას მოწოდებით შეადგინონ კომისია შეხვედრის მოსაწყობად.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

ამხ. ზინოვიევის საბოლოო სიტყვა

მოსკოვი, 20 მარტი. ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებით ვსთქვათ, დაიწყო ზინოვიევმა, რომ კომინტერნის აღმასკომის გაფართოვებულ პლენუმმა ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, რომ შეესწავლა ევროპის მუშათა მოძრაობის უმთავრესი რაიონები, მთელი ქვეყნის რევოლიუციონური მოძრაობა, გამოეთქვა შეცდომები და დაესახა სწორი ხაზი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის. მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა ჩვენ შევძელით უმთავრეს თანამედროვე საკითხების გადაჭრა. ჩვენი პლენუმი ჩატარდა კაპიტალიზმის მერყევი სტაბილიზაციისა და კომპარტიების ბოლშევიზაციის დროს.

დღევანდელ დღის უმთავრესი საკითხია პროლეტარიატის ავანგარდის დაკავშირება მშრომელთა ფართო მასებთან, ამიტომ პლენუმზე დიდ როლს თამაშობდა, ერთიანი ფრონტის საკითხი, განსაკუთრებით პროფმოძრაობის საკითხები. წარსულ წელში გერმანიისა და საფრანგეთის პარტიებს ეჭვი ებადებოდათ რუსეთ-ინგლისის პროფმოძრაობის კომიტეტის შექმნაში. ახლა უკვე დამტკიცებულია ამ კომიტეტის დიდი მნიშვნელობა. საერთაშორისო პროფმოძრაობის ერთიანი ფრონტის ლოზუნგი—კომინტერნის უმთავრესი ლოზუნგია არა რამდენიმე თვეში, არამედ მთელ რიგ წლების განმავლობაში.

ჩვენი მტრები შეეცდებიან აქ ამ რიო უკანასკნელი დღის განმავლობაში წარმოებული დისკუსია დასახონ კომინტერნის უდიდეს შინაურ კრიზისად.

მე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ არამც თუ ჩვენ დიდი კრიზისი არ გვაქვს, საერთოდ არავითარ კრიზისს არ აქვს ადგილი.

კომინტერნის ბრძოლა ერთ და იმავე დროს როგორც მარჯვნივ, ისე უკიდურეს მემარცხენეების წინააღმდეგ ახალი არაა, ის არა შემთხვევითი და დროებითი ხასიათი არ აქვს. ეს საფუძველია ლენინიზმის, საფუძველია კომინტერნის.

ამსტერდამი იცავს თავის „პრესტიჟს“

ლონდონი, 19 მარტი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს ავტორიტეტულ წყაროებიდან ატყობინებენ, რომ ინგლისის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ, მთავრობის სათათბირო წინადადებით, დანიშნა სათათბირო კომიტეტი ინგლისის შრომის მინისტრის დასახმარებლად ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის და ბელგიის წარმომადგენელთა კონფერენციაზე. ამ სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

მიიღო რა მთავრობის წინადადება პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ განაცხადა, რომ კომიტეტს ექნება მხოლოდ და მხოლოდ სათათბირო ხასიათი და ხელ-ფეხს არ შეუბორკავს კონფერენციის რამე გადაწყვეტილებით.

17 მარტს ლონდონში მოულოდნელად ჩამოვიდენ ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის წევრები ჟუო, მასტენსი და უდეგესტი, რომლებმაც პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს განუცხადეს პროტესტი ზემოაღნიშნულ კომიტეტის დანიშვნის გამო ამ საკითხის წინასწარ განუხილველად ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის მიერ.

ეს მოულოდნელი გამოსვლა აიხსნება იმით, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომი ცდილობს ხელი შეუშალოს ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს მიიღოს ზომები 8 საათის სამუშაო დღის სასარგებლოთ, ვინაიდან ეს ნაბიჯი შელახავს ამსტერდამის ინტერნაციონალის პრესტიჟს.

პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს თავმჯდომარემ პუღმ თავაზიანად მოიშორა ჟუო და მისი თანამგზავრები და კატეგორიული უარი განაცხადა მათთან შეხვედრაზე.

ამსტერდამის ინტერნაციონალის დელეგაცია ჩავიდა ლონდონში ამსტერდამის ინტერნაციონალის თავმჯდომარის პურსელის გაუგებრად.

უკანასკნელი ცნობები

დე-ვალერა წავიდა

ლონდონი, 20 მარტი. დე-ვალერამ უარი სთქვა სინფეინერების პარტიის თავმჯდომარეობაზე (ირლანდიის ბრიტანეთის იმპერიიდან გამოყოფის მომხრეები), რადგან პარტიამ თანხმობა განაცხადა ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოს პარლამენტში შესვლაზე.

დე-ვალერა ამ ნაბიჯის წინააღმდეგი იყო.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ

მოსკოვი, 20 მარტი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელის მოხსენების თანახმად დაამტკიცა ოსმალეთთან სავაჭრო ხელშეკრულების და საბაჟო კონვენციის დასადებათ გასაგზავნ დელეგაციის შემდეგი შემადგენლობა: დელეგაციის თავმჯდომარე—საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ოსმალეთში ამხ. სურიცი, დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე—ს. ს. რ. კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ოსმალეთში—იურიევი, დელეგაციის მდივანი—წარმომადგენლობის მრჩეველი ველიჩკო.

ამნისტია

მოსკოვი, 20 მარტი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: რუსეთის და ამიერკავკასიის ცაკის მიერ გამოცხადებული ამნისტია, ყირიმში და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ხუთი წლის გამო, გავრცელდეს იმ პირებზედაც, რომელთაც სასჯელი სამხედრო ტრიბუნალების მიერ აქვთ გადაწყვეტილი.

განიარაღების კონფერენცია

ლონდონი, 19 მარტი. განიარაღების წინასწარი კონფერენცია მოწვეული იქნება ჟენევაში 17 მაისს.

სოციალისტების მანიფესტი

პარიზი, 20 მარტი. სოციალისტების პარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც აცხადებს, რომ მზად არის აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებისათვის

ფინანსიური კომისიის შემადგენლობა

პარიზი, 20 მარტი. დეპუტატთა პალატის ფინანსიურმა კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია ანრი სიმონი, მთავარ მომხსენებლათ შაპედელენი, კომისია მოისმენს ფინანსთა მინისტრის პერეს მოხსენებას.

ლიუტერი ხმების უმრავლესობას მიიღებს

პარიზი, 20 მარტი. ორშაბათს რეიხსტაგში დაიწყება კამათი ჟენევის მოლაპარაკების გარშემო. პარლამენტის წრეებში ფიქრობენ, რომ ლიუტერის კაბინეტი უმრავლესობას მიიღებს. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ გერმანია სექტემბერში არ აგზავნის დელეგატებს ჟენევაში მანამ, სანამ არ მიიღებს გარანტიას, რომ იქ აღარ განმეორდება ახლახან დამთავრებული სესიის ამბები.

ერთა ლიგის საბჭოს გადახალისება

პარიზი, 20 მარტი. „პტი პარიზიენი“ სწერს, რომ ბრაზილიის ვეტომ დაამტკიცა ერთა ლიგის საბჭოს გადახალისების აუცილებლობა, განზრახულია ცალკე კონტინენტებისათვის აღმასრულებელ კომიტეტების დაარსება საბჭოს დარჩება არბიტრის ფუნქციები.

დახვრეტა

ნახიჩევანი, 19 მარტი. დამთავრდა საზოგადოებრივ საჩვენებელი გასამართლება ორუჯ-ველი-ოღლისა, რომელმაც მხეცურად მოჰკლა თავისი ცოლი. ორუჯ-ველი-ოღლის მიუსაჯეს დახვრეტა, მეორე ბოროტმოქმედს ასად-ოღლის მიუსაჯეს 8 წ. გამასწორებელ სახლში ჯდომა, ხოლო დანარჩენი სამი ბრალდებული გამართლებულია. საქმის გარჩევაში მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივი ბრალმდებელი. მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენდა საქმისადმი.

ვენერიული ავადმყოფობა

ლენქორანი, 19 მარტი. ვენერიულ ავადმყოფთა რიცხვი მაზრაში თანდათან იზრდება. რადგან კანისა და ვენერიულ ავადმყოფთა ამბულატორია არ არის, ავადმყოფებს არავითარი დახმარება არ ეძლევა. საჭიროა ასეთი ლაბორატორიის საჩქაროდ დაარსება ლენქორანში.

სხვადასხვა

— **კომუნისტებს ემხრობიან.** სოციალისტურ-კომუნისტურ კავშირმა (მცირე რიცხოვანი ჯგუფი, რომელიც დაარსა 1923 წ. ფროსარმა და კომპარტიიდან გაძევებულმა სხვა პირებმა) და სოციალისტურმა პარტიამ გადასწყვიტეს მოხსნან თავიანთი კანდიდატები ხელახალი კენჭის ყრის დროს პარიზის მეორე სექტორში და მოუწოდებენ თავიანთ ამრჩევლებს ხმა მისცენ კომუნისტებს.

— **ინდოეთის ახალი ვიცე-კაროლი.** ინდოეთის ახალი ვიცე-კაროლი ლორდი ირვინი, რომლის გვარი წინად ვუდი იყო და რომელსაც ბოლდუინის კაბინეტში სასოფლო მეურნეობის მინისტრის თანამდებობა ეჭირა, გუშინ ლონდონიდან ინდოეთში გაემგზავრა.

— **მიწის ძვრა კუნძულ კასტელლო-რიცოზე.** როდოსიდან მიღებული ცნობის თანახმად დოდეკანეზის ერთ-ერთ კუნძულზე—კასტელლო—რიცოზე მოხდა მიწის ძვრა. მიწის ძვრის დროს დაიღუპა ერთი კაცი, 3 მძიმედ დაიჭრა, დანგრეულია 70 სახლი, დაზიანებულია ბევრი შენობები. მიწის ძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა, ალბათ, სამხრეთ-ანატოლიაში.

— **მოჭადრაკეთა შეჯიბრება ზემერინგში.** ზემერინგში გამართულ მოჭადრაკეთა მე-8 შეჯიბრების შედეგები ასეთია: ალ[illegible]მა მოუგო რუბინშტეინს, ტარრაშმა—[illegible], ტარტაკოვერმა—გრიუნფელდს, ტრეიბალმა—ვენდს, ნიმცოვიჩმა—იანოვსკის, დევიდსონმა—როსსელს. ეიტ—გრუმის, ვიდმარ—კმოხის და მიზელ—შპილმანის პარტიები გადაიდო.

— **პოლონეთ-რუმინეთის ხელშეკრულება საეჭვოა.** რუმინეთის პრესის ცნობით პოლონეთ-რუმინეთის ხელშეკრულების განახლება (რომლის ვადა გათავდა 3 მარტს) გადადებულია, რადგან სახელმწიფოები ვერ შეთანხმდენ ევროპის პოლიტიკის საერთო ტენდენციებისა და განსაკუთრებით ლოკარნოს ხელშეკრულების შედეგების შეფასებაში.

— **კუნდურიოტისის გადადგომა.** ათენიდან მიღებული ცნობით გადადგა საბერძნეთის პრეზიდენტი ადმირალი კუნდურიოტისი.

მისი მემკვიდრის არჩევნები დანიშნულია 4 აპრილს.

— **შულცის სიკვდილი.** გუშინ ბერლინში სულით ავადმყოფთა თავშესაფარში გარდაიცვალა არტურ შულცე, ჰუნგრელი ყალბი ფულის მკეთებლების ცნობილი ხელმძღვანელი [illegible] დადია ხმები, რომ შულცე მოსწამლე[illegible]ბის გამოძიება.

ბრიანის მდგომარეობა მერყეობა

ბრიანისადმი ნდობის ფორმულა

პარიზი, 20 მარტი. დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული ბრიანისათვის ნდობის ფორმულა ამბობს:

„დეპუტატთა პალატა, ჰგმობს რა რეაქციის თავხედურ გამოსვლას რესპუბლიკანელების წინააღმდეგ, რომელთაც გადასწყვიტეს მხარი დაუჭირონ მშვიდობიანობის და საერთაშორისო თანხმობის პოლიტიკას, ნდობას უცხადებს მთავრობას, რათა უზრუნველყოს მტკიცე ბიუჯეტის ვოტუმი და გაატაროს სამხედრო რეფორმა და დაზღვევის კანონები, რომელთაც ასე მოუთმენლად მოელის დემოკრატია“.

ბრიანის მდგომარეობა შერყეულია

ბერლინი, 20 მარტი. პარიზის პრესა აღნიშნავს, რომ ბრიანის მდგომარეობა, მიუხედავად მოჩვენებითი გამარჯვებისა, შერყეულია.

„პარი მიდი“ ამბობს, რომ კაბინეტი დამხობილ იქნება პირველ შემთხვევისთანავე, რადგან საჭირო უმრავლესობა მის ხელთ აღარ არის.

სოციალისტები მხარს უჭერენ მალვის

პარიზი, 20 მარტი. დეპუტატთა პალატის სხდომის შეწყვეტის დროს სოციალისტების ჯგუფმა გადასწყვიტა ხმა მისცეს მთავრობას, რათა ამ გზით სიმპატია გამოსთქვას მალვისადმი. სოციალისტები მოქმედების თავისუფლებას იტოვებენ მომავლისათვის, განსაკუთრებით მთავრობის ფინანსიური პროექტის მიმართ.

რატომ გადადგა ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა

პრაღა, 19 მარტი. შვეჰლის მთავრობა დაეცა კოალიციონურ პარტიების ინტერესთა წინააღმდეგობის გამო.

კოალიციის დაშლის უშუალო მიზეზს წარმოადგენდა აგრარიების ულტიმატუმი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მტკიცე ბაჟების დაწესების შესახებ.

ჩეხის სოციალ-დემოკრატები თავიანთი გავლენის დასაცავად არ დაეთანხმენ ამ ღონისძიებების გატარებას თავიანთი სახელით.

ლიუტერის განცხადება

ბერლინი, 19 მარტი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ გაზეთ „დეიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“-ის რედაქტორთან საუბარში გერმანიის კანცლერმა ლიუტერმა განაცხადა:

„ძალიან ვსწუხვარ, რომ ასეთი ხასიათი მიიღო მოლაპარაკებამ ჟენევაში. ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეობის მუშაობა ვერ იქნა დასრულებული წარმატებით. მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრება თავის თავად არა სასიამოვნოა, როგორც ერთა ლიგის საბჭოსა, ისე მისი მონაწილეთათვის.

კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ გერმანიის მთავრობას არ ეთქმის საყვედური მოლაპარაკების არა სასურველ დამთავრებისათვის.

მდგომარეობა ინგლისში

თეორია და პრაქტიკა

ლონდონი, 19 მარტი. ინგლისის მთავრობამ მოისმინა იმ კომისიის მოხსენება, რომელსაც დავალებული ჰქონდა ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევა. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ მთავრობის მსჯელობის მთავარი საგანი იყო კომისიის წინადადება, სახელმწიფო სუბსიდიის შეწყვეტის შესახებ.

თუმცა კაბინეტი სთვლის, რომ ეს წინადადება „თეორიულად სწორია“, მაგრამ ის ფიქრობს, რომ საჭიროა დაწვრილებით განხილვა-შესაძლებელია თუ არა პოლიტიკური თვალსაზრისით სუბსიდიის ეგრე სწრაფად შეწყვეტა. არსებულ ცნობების მიხედვით კაბინეტი სერიოზულად იხილავს საკითხს სუბსიდიის იმ ვადის გაგრძელების შესახებ, იმ პირობით, რომ სუბსიდიის თანხა თანდათანობით შემცირდეს.

შეთანხმება რვა საათის სამუშაო დღის შესახებ

ლონდონი, 19 მარტი. შრომის მინისტრების კონფერენციაზე ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის და ბელგიის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილია შეთანხმება 8 საათის სამუშაო დღის საკითხის შესახებ.

ლოკაუტი მოხსნილია

ლონდონი, 19 მარტი. ვინაიდან კავშირების გარეშე მყოფ მანქანების საამშენებლო კომპანიების მუშებმა, სადაც გაფიცვა სწარმოებს, გადასწყვიტეს პროფკავშირებში შესვლა, გაფიცულებმა შესწყვიტეს გაფიცვა. ამის გამო მეწარმეებმა გააუქმეს თავიანთი განკარგულება ლოკაუტის შესახებ.

ნაციონალისტები ამუშავდნენ

ბერლინი, 19 მარტი. გერმანიის რეიხსტაგის სხდომაზე ნაციონალისტებმა წინადადება შეიტანეს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრ კიულცისათვის უნდობლობა გამოეცხადებიათ, მიტომ რომ ეს უკანასკნელი გერმანიის ყოფილ იმპერატორის ვილჰელმის წინააღმდეგ გამოვიდა. კომპარტიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომუნისტური ფრაქცია არ მისცემს ხმას ნაციონალისტების წინადადებას, რადგან მათი მიზანია ლიუტერის მთავრობის მონარქიული ხასიათის გაძლიერება. ნაციონალისტების წინადადებას ხმა მისცა თვით ნაციონალისტებმა, ტევტონელებმა და ყოფილმა კომუნისტმა კაცმა.

საბჭოთა კავშირში

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

მოსკოვი, 20 მარტი. შესდგა ახალგაზრდათა კომინტერნის გაფართოვებული პლენუმის პლენარული სხდომა. პლენუმის დღის წესრიგში სდგას: ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის პოლიტიკური ანგარიში, ანგარიში აღმასკომის საორგანიზაციო მუშაობის შესახებ, ანგარიში აღმოსავლეთში მუშაობის შესახებ, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირების საორგანიზაციო ამოცანები და სხვა საკითხები.

ახალგაზრდათა კომინტერნის პოლიტიკური მუშაობის შესახებ მოხსენება წაიკითხა აღმასკომის გენერალურმა მდივანმა ვუიოვიჩმა, რომელიც დაწვრილებით შეეხო ცალკე კავშირების მუშაობას და აღნიშნა რომ კაპიტალის სტაბილიზაციისა, რეაქციისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიების გაძლიერების გამო, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად გერმანიაში და საფრანგეთში, კომკავშირელთა რიცხვი შემცირდა. მხოლოდ უკანასკნელ დროს შემჩნეულია რევოლიუციონური მოძრაობის მნიშვნელოვანი განვითარება და კომკავშირელთა რიცხვის ზრდა. ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის წარმატება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმოსავლეთის ქვეყნებში—ჩინეთში, იაპონიასა და კორეაში. ვუიოვიჩი აყენებს ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის ძირითად ამოცანებს და აღნიშნავს, რომ საჭიროა ფართო დახმარება გაუწიოთ ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობას ახალშენებში და გავაძლიეროთ მასიური მუშაობა პროფკავშირებში.

ბრუსილოვის დასაფლავება

მოსკოვი, 20 მარტი. 16 მარტს სამხ. რევსაბჭოს დელეგაციამ ბრუსილოვის კუბო შეამკო გვირგვინით, რომელზედაც ეწერა: „ძველი თაობის პატიოსან წარმომადგენელს, რომელმაც თავისი სამხედრო გამოცდილება და ცოდნა შესწირა საბჭოთა კავშირსა და წითელ არმიის სამსახურს—ბრუსილოვს სამხედრო რევოლიუც. საბჭოსაგან“.

19 მარტს მოხდა ბრუსილოვის დასაფლავება. უკანასკნელი სიტყვით მიმართეს სამხ. საბჭოს წევრებმა ამხ. ეგოროვმა, ბუდიონიმ და გაიმ.

ამხ. რიკოვის სიტყვა

სახ. საგეგმო კომისიების პრეზიდიუმთა ყრილობაზე

მოსკოვი, 20 მარტი. სახ. საგეგმო კომისიების პრეზიდიუმის პირველ საკავშირო ყრილობაზე ამხ. რიკოვმა წარმოსთქვა სიტყვა. მან განაცხადა, რომ წარმოების სტიქიური განვითარება და აღმშენებლობითი ციებ-ცხელება დიდ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან შესაძლებლობათა სიმცირე გვაიძულებს, საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ერთი კაპეიკიც არ დაიხარჯოს უგეგმოთ.

აუცილებლად უნდა შევქმნათ სასტიკი საგეგმო დისციპლინა. ჩვენ ვიწყებთ სამეურნეო აღორძინებას ისეთ დროს, როცა კაპიტალის დიდ ნაკლულევანებას განვიცდით და ამასთანავე მოგველის საფრთხე დიდის გაჭირვებით დაგროვილ საშუალებათა წვრილ-წვრილად გაფლანგვისა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აშკარათ ემჩნევა გეგმების შემუშავების დაგვიანება. აუცილებლად უნდა მოისპოს უგეგმო ხარჯვა ჩვენი შეზღუდული საშუალებებისა. ამას გარდა ზომები უნდა იყოს მიღებული, რომ გეგმის განხორციელება რო გაადვილებულ იქნეს და ყოველ პერიოდში ქვეყნის ნამდვილ შესაძლებლობის მიხედვით ხდებოდეს.

თუ არ გვინდა, რომ ჩვენი მეურნეობა მხოლოდ სტიქიონს მივანდოთ, ყოველნაირათ უნდა დავეხმაროთ ჩვენ საგეგმო ორგანოებს, რომ მათ უფრო მაღალი და უფრო მკვიდრი ადგილი დაიჭირონ ჩვენი სახელმწიფო ორგანოების სისტემაში.

ჩვენ არ უნდა გადავლახოთ ჩვენ წინ აღმართული სიძნელენი. ის გადანაცვლება და გარდაქმნა, რაც ჩვენს ეკონომიკაში მოხდა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ჯერ კიდევ ვერ არის ჯეროვანათ გათვალისწინებული და შესწავლილი. ასეთი შეცდომები არასოდეს არ უნდა დავფაროთ. მათი გამოსწორება კიდევ შეიძლება, მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო მეტი შეცდომები მოგვივა, თუ არ გავაძლიეროთ გეგმიან მუშაობას.

სახ. საგეგმო კომისიის შემწეობით უნდა ხდებოდეს მეცნიერული შევსება და კონტროლი ყველა სამეურნეო საქმიანობისა. საგეგმო კომისიამ უნდა უზრუნველჰყოს აღმშენებლობაში მონაწილეობა ყველა სპეცებისა და სამეცნიერო ორგანოებისა. საერთო ძალ-ღონით უნდა გავაძლიეროთ საგეგმო ორგანოების მუშაობა და ავიყვანოთ იმ სიმაღლემდის, რაც აუცილებელია საბჭოთა კავშირის ეკონომიურ განყოფილების ხანაში.

კომკავშირის საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 20 მარტი. კომკავშირის მეშვიდე საკავშირო ყრილობის დილის სხდომაზე 19 მარტს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მატვეევმა მოხსენება წაიკითხა მშრომელი ახალგაზრდობის შრომისა და განათლების შესახებ.

„საანგარიშო პერიოდში—სთქვა მატვეევმა—კომკავშირს შესამჩნევი მიღწევები ჰქონდა განათლების და ახალგაზრდობის საწარმოო განსწავლის სფეროში. მაგრამ ეს მიღწევები სავსებით ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებებს, კვალიფიციური მუშა-ხელის მხრით ისე როგორც ვერ აკმაყოფილებს მუშა ახალგაზრდობის მისწრაფებას თავისი კვალიფიკაციის აწევისა და განმტკიცებისაკენ. საჭიროა მოზარდებისა და ახალგაზრდობის უფრო ფართოთ ჩაბმა წარმოებაში პროლეტარიატის მოზარდი თაობის ახალი კადრების საწარმოო და სოციალისტური აღზრდის მიზნით. სკოლებში და საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლებში მომზადებაც კვალიფიციური მუშა-ხელის ღირსების ამაღლების ინტერესებისათვის საჭირო ამ სკოლებისა და სასწავლებლების უზრუნველყოფა კარგი პედაგოგებითა, ლაბორატორიებით.

მუშა-ხელის მასიური მომზადების საქმეში საქარხნო სკოლებთან ერთად დიდი როლი უნდა შეასრულონ აგრეთვე მოკლე ვადიანმა შეგირდობამ წარმოებაში. უმუშევართა ხელ-ახალმა კვალიფიკაციამ, ხელოსნებისა და უფროს მუშებისათვის მოწყობილმა კურსებმა და სხვ.

დასასრულ ამხ. მატვეევმა აღნიშნა, რომ საჭიროა კავშირის მიერ წარმოებულ მუშაობის შეთანხმება სამეურნეო და პროფესიულ ორგანიზაციებთან.

„მხოლოდ სახელმწიფოს მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობის საერთო ძალღონით, ამბობს ის, ჩვენ გადავსჭრით ამ უდიდეს პრობლემას, კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ახალი კადრების შექმნას“.

მატვეევის მოხსენებამ გაცხარებული კამათი გამოიწვია.

პარიზის კომუნის დღე

რემედასის ძალები

მოსკოვი, 20 მარტი. კავშირის ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები რემედასის ძალების დარაზმვის შესახებ პარიზის კომუნის დღეს.

რემედასის ყიზილ-ორდინის ორგანიზაციამ შეფობა აიღო ტუნისის საპყრობილეზე, სემიპალატინის ორგანიზაციამ კი ვილნოს საპყრობილეზე; ამ უკანასკნელმა, პოლონელ პატიმრების სასარგებლოდ შეაგროვა 9.000 მან.

მრავალ კრებებზე სიტყვები წარმოსთქვეს რემედასის უცხოელმა აქტიურმა მუშაკებმა.

საზეიმო სხდომა მოსკოვში.

მოსკოვი, 20 მარტი. ერთობ ცხოველად ჩატარდა სრულიად მოსკოვის საზეიმო სხდომა პარიზის კომუნის ხსოვნის და რემედასის სამი წლის არსებობის აღსანიშნავად.

პროფკავშირთა დიდი დარბაზი გაჭედილი იყო პარტიულ და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებით. ილაპარაკეს ამხ. ლოზოვსკიმ და კომინტერნის აღმასკომის წევრმა ბოლგარელმა ამხ. დიმიტროვმა.

დიდი აღტაცება გამოიწვია თვით პარიზის კომუნის მონაწილე ოთხმოცი წლის მოხუც გუსტავ ინარის გამოსვლამ.

პარიზის კომუნის შესახებ საფუძვლიანი ისტორიულ-მეცნიერული მოხსენება წაიკითხა ამხ. ლუნაჩარსკიმ.

ილაპარაკეს აგრეთვე უცხოელმა ამხანაგებმა.

კრებამ მიიღო მისალოცი მიმართვა ყველა ქვეყნების პოლიტიკურ-რევოლიუციონურ პატიმართადმი.

პარტიული ცხ[illegible]ვრება

ა.-კ. ბეჭდვითი სიტყვის მუშ[illegible]ა თათბირი

19 მარტის დილის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ხირანოვსკიმ მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობაზე. მომხსენებელმა თავიდანვე განაცხადა, რომ მუშკორთა და გლეხკორთა რიცხვი ჯერ არ არის სრულიად გამორკვეული. ძნელი შეიქნა მათი სწორი აღრიცხვა. ზოგი რედაქციები ამეტებენ მუშკორ-გლეხკორთა რიცხვს, ზოგი ნაკლებს აჩვენებენ. იმ ცნობებით, რომლებიც დღის მოგვეპოვება, მუშკორ-გლეხკორთა რიცხვი მთელ ამიერ-კავკასიაში აღწევს 11.494-ს. ამხანაგს მოჰყავს ცნობები, თუ რამდენი მუშკორ-გლეხკორი იყო წარსულ წელში, და აღნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში უფრო და უფრო იზრდება ეს მოძრაობა; ამ მოძრაობას, მისი სიტყვით, სტიქიური ხასიათი აქვს; ხელმძღვანელობა მუშკორ-გლეხკორთა მიმართ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში სუსტია, არ არსებობს წრეები, გაზეთები, ზოგიერთის გამოკლებით, არ ადევნებენ თვალყურს მუშკორ-გლეხკორებს და არ ხელმძღვანელობენ მის მუშაობას.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ცალკე რესპუბლიკებში მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობის მდგომარეობას. საქართველოში მათ შორის მუშაობა თანდათან ყალიბდება. იმართება კონფერენციები, თათბირები. რაც შეეხება მუშკორ-გლეხკორთა წრეების მუშაობას, აღმზრდელობითი მუშაობა ამ მხრით უფრო ცუდათ არის დაყენებული. მუშკორები ამ მხრით უკეთესს მდგომარეობ. არიან. გლეხკორთა მოძრაობას უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა. არ არის წრეები. საქართველოში ამ ბოლო დროს ადგილი აქვს გლეხკორთა დევნას.

აზერბეიჯანიდან ამ მოძრაობის შესახებ ძლიერ მცირე ცნობები. არსებულ ცნობების მიხედვით, მუშკორთა მოძრაობა უფრო ძლიერია ბაქოში, [illegible] მუშკორებისათვის თურქულ [illegible]თან არსებობს წრე[illegible] და სწარმო[illegible] აღმზრდელობითი მუშაობა, სა[illegible] ყველა გაზეთებ[illegible] აწარმოებ[illegible] მუშკორებ[illegible]

სომხეთში [illegible] 350 მუშკორია. ეს [illegible]კორები [illegible] თავს იყრიან ერევან[illegible] მის მაზრაში. გლეხკორთა [illegible] უდრის 900. ამ ბოლო დრო[illegible] აქვს დანიშნების, [illegible] მოულოდნელია [illegible] ზოგიერთ გლეხკორის კ[illegible] კავშირის ქვეშ მოყოლას. [illegible] თანდათან ძლიერდ[illegible] გლეხკორებში თითქმის არავითარ[illegible] მუშაობა არ სწარმოებს, არავითარ [illegible] ხელმძღვანელობას არა აქვს ადგილი.

შემდეგ [illegible] აუცილებელი აღნიშნავს, რომ სა[illegible] მიღებულ იქნეს ზომები [illegible] მოძრაობის ნორმალ[illegible] მუშაობებში ჩასაყენებლად. [illegible] ხელმძღვანელობა [illegible] ხელისუფლობისადმი. ეს ხელმძღვანე[illegible] აუცილებლად თავის ხელში [illegible] რედაქციებმა.

უნდა [illegible] წინ განსაკუთრებული ყურადღება [illegible] მუშკორ-გლეხკორთა შორის აღმ[illegible] მუშაობის წარმოებას [illegible] საჭიროა წრეების მუშაო[illegible] გაძლიერება. ამ ბოლო დროს [illegible] მუშკორ-გლეხკორთა [illegible] რედაქციებმა ჯეროვან[illegible] უნდა მიაქციონ.

ამხ. მა[illegible] მოხსენების გარშემო გაიმ[illegible] კამათი. ამხანაგები აღნიშნავდ[illegible] ნაკლულევანებებს და მიუთითებდ[illegible] რას უნდა ექცეოდეს მეტი [illegible] ყურადღება მუშკორ-გლეხკორთა [illegible]ობის გასაჯანსაღებლად.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა სექციების მოხსენებები, მიღებულ იქნა რეზოლიუციები, [illegible] რის შემდეგ თათბირი დაიხურა.

მოძრავი პოლიტ-სკოლა

(სიღნაღის მაზრა, ქვემო მაჩხანი)

ხსენებულ რაიონში მოძრავი პოლიტ-სკოლა დაარსდა ამ სამი თვის წინათ. სკოლაში მეცადინეობდა 71 კაცი. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულმა სკოლამ დიდი სამსახური გაუწია თემს. პარტიის წევრები ძალზე ჩამორჩენილი იყვნენ. ამ სკოლამ ბევრს აუხილა თვალები. პარტიულები თავგამოდებით შეუდგენ სკოლაში მეცადინეობას. მსმენელებს ეტყობათ სწავლის წყურვილი, უმრავლესობა თოვლიან ღამეებში დადიოდა 2-3 ვერსის მანძილიდან; გაიძახდენ, მხოლოდ პოლიტიკური ცოდნა შევიძინოთ და არავითარ გაჭირვებას არ დავეძებთო. გადაცემულ საუბრებსაც კარგად ითვისებდენ.

წარსულში უჯრედის კრებაზე წევრები არავითარ აქტივობას არ იჩენდენ, ისინი უბრალო მსმენელნი იყვნენ. დღეს კი სულ სხვა მდგომარეობაა. პარტიის წევრები ყოველ საკითხის გარჩევაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ, და [illegible] ხდებოდა საკითხების გადაწყვეტა [illegible] სკოლაში მიღებული ცოდნა პარტიის წ[illegible]ებმა კიდევ უფრო უნდა გააფართოვონ. [illegible] მათ მეტი გულმოდგინებით უნდა [illegible] მეცადინეონ თვითგანვითარების წრეებში [illegible] გაზაფხულის პერიოდში, განსაკუთრებულ[illegible] ყურადღება უნდა მიექცეს, რომ წ[illegible] არ ჩამორჩენ თვითგანვითარებას.

მამია ქურინია.

ორშაბათს, 22 მარტს, საღამოს 6 საათ[illegible] მოწვეულია

თბ. საბჭოს შემდეგი სექციების

მორიგი სხდომა

1. კომუნალური სექცია—გ. პლეხანოვის სახელობის კლუბში (ნაძალადევში).
2. საფინანსო—თბ. აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში.
3. განათლების—განათლების განყოფილებაში.
4. ჯანმრთელობის—ჯანმრთელობის განყოფილებაში.
5. სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის—საადგილ-მამულო განყოფ.
6. სამხედრო—აღმასკომის დარბაზში.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

6. 912 1-[illegible]

პრეზიდიუმი.

თელ არმიელი. ჩვენს ხელთ არსებულ ცნობების თანახმად, პარტიის ეს წევრები ყველაზე უფრო აქტიურ მუშაკებად ითვლებიან, როგორც უჯრედებში, ისე საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

აგრეთვე ხდებოდა ა. ლ. კომკავშირის წევრებად მიღებაც. ამჟამად ქართულ წითელ არმიაში კომკავშირელები შეადგენენ 30 პროცენტს.

ცხადია, კომკავშირელები უპარტიო წითელ არმიელებთან შედარებით უფრო აქტიური და განვითარებული არიან პოლიტიკურად, თუმცა წინანდელმა გაწვევებმა ძალიან ბევრი ტეხნიკურ ცოდნას მოკლებული კომკავშირელი მოგვცა.

კომკავშირელები არმიაში წარმოადგენენ ერთ-ერთ დასაყრდენ ძალას, კომუნიზმის იდეის გამტარებელთა უპარტიო წითელი არმიელთა მასებში.

VII. პოლიტიკური და კულტურული მუშაობა არმიაში.

წითელ არმიელები ფართოდ არიან ჩაბმულნი პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობაში. არსებულ პირობებში ჩვენი წითელ არმიელი წითელ ყაზარმას სთვლის არა ძველ ყაზარმად, რომელიც საზიზღარი იყო ყოველ მხრივ, არამედ ნამდვილ სკოლად, კომუნიზმის სკოლად. რომ შეეკითხოთ წითელ არმიელს, ყველაზე უფრო რა აინტერესებს მას არმიაში, ის გიპასუხებთ: „სწავლა“.

ცხადია, წითელი არმიის მშენებლობის ახლანდელ პერიოდში უმთავრესი მიზანია ჩვენი წითელ არმიელის გარდაქმნა შეგნებულ მეომრად, საუკეთესო მებრძოლად, რომელიც შეიარაღებული უნდა იყოს ომის წარმოების ახალი ტეხნიკის ყოველმხრივი ცოდნით. ამ ამოცანას შეძლებისდაგვარად ანხორციელებს პოლიტიკური და უფროსთა შემადგენლობა.

მუშაობა წითელარმიელთა მასებს შორის არმიის ნაწილებში, მათი პოლიტიკური შეგნების ამაღლება, მათი კულტურული დონის აწევას,—ყოველივე ასეთი მუშაობა ცხადია, გავლენას ახდენს მთელი ქვეყნის საერთო პოლიტიკურ შეგნებაზე და მის კულტურულ დონეზე.

ამ ხუთი წლის განმავლობაში ქართულ წითელ არმიის ნაწილებში გატარდა რამოდენიმე ათეული ათასი ახალგაზრდა გლეხი, რომლებმაც ყაზარმაში გაიარეს პოლიტიკური სკოლა.

ამ ხნის განმავლობაში 25 ათასამდე წითელ არმიელს შორის აღმოფხვრილ იქნა ტეხნიკური უცოდინარობა, თითქმის ამდენივე იყვნენ მცირე ტეხნიკური ცოდნით აღჭურვილნი, რომლებმაც უკვე მიიღეს სრული ტეხნიკური ცოდნა. ამ მხრივ ჩვენ უსათუოდ დიდი მიღწევები გვაქვს.

არმიამ მისცა ქვეყანას 40 ათასამდე მოქალაქე—წითელ არმიელი, რომელთაც გავლილი აქვთ ორ წლიანი პოლიტიკური მომზადება, 55-დე სამხკორი, რომელნიც ახლა მუშკორებად და გლეხკორებად ითვლებიან, რამოდენიმე ათეული ბიბლიოთეკის და საკლუბო მუშაკი, კოოპერაციის მუშაკები, გლეხკომებში და საბჭოების მუშაკნი და სხვა.

წითელ არმიელების სწავლის ორ წლიანი პროგრამა ისეა შედგენილი, რომ წითელ არმიელი ხდება არა მარტო შეგნებული და მტკიცე მებრძოლი, არამედ მოქალაქე. პოლიტიკური პროგრამის პირველი პერიოდია წითელ არმიელის ე. წ. გასამხედროება, როცა წით. არმ. სწავლობს წესდებებს სამხედრო საქმეს. აქ მას ხელს უწყობთ ჩვენ პოლიტიკ. მუშაობით. შემდეგ, პროგრამის მეორე ნაწილია—წითელ არმიელის ეგრეთ წოდებული ინტერნაციონალიზაცია, ე. ი. როცა წითელ არმიელი სწავლობს საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მშენებლობის მთავარ პრინციპებს, სწავლობს ჩვენს და მსოფლიო რევოლიუციონურ მოძრაობას, აღმოსავლეთის კოლონიალურ ხალხთა მოძრაობას და სხვ.

ცხადია, ჩვენი პროგრამის ეს ნაწილი წითელ არმიელებს ყველაზე უფრო აინტერესებთ.

პროგრამის მესამე ნაწილია საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურის, როგორც სოფლად, ისე ქალაქში მუშაობის ფორმების და მეთოდების შესწავლა.

VIII. ვინ უნდა შევქმნათ წითელარმიელისაგან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წითელ არმიელებს ჩვენ ვამზადებთ სამხედრო საქმისათვის მუშების და გლეხების ინტერესების დასაცავად. შემდეგ, ჩვენ მისგან შევქმნით შეგნებულ, პოლიტიკურად განვითარებულ მოქალაქეს. მაგრამ, რაც უმთავრესია, ჩვენი სოფლის პირობებში, მისი კულტურული ჩამორჩენილობის პირობებში,—ჩვენ მისგან ვქმნით საზოგადო მოღვაწეს, პრაქტიკულ მუშაკს საბჭოების, კოოპერაციის, გლეხკომების და სხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებისათვის.

წითელ არმიელების 60 პროცენტზე მეტი აქტიურად მუშაობს სხვადასხვა წრეებში, მაგალითად: პოლიტიკურ; დრამატიულ, ლიტერატურულ, სასოფლო-სამეურნეო, სპორტიულ წრეებში, კედლის გაზეთებში და სხვ.. მაგრამ მთავარ ყურადღებას ჩვენ ვაქცევთ სასოფლო-სამეურნეო წრეებს, რითაც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ჩვენი წითელ არმიელები. ჩვენი ქვეყანა—სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. ცოდნა-გამოცდილება, რომელსაც წითელი არმია იძენს ამ დარგში, ეჭვს გარეშეა წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქმით სოფლად, როგორც ის ფაქტიურად უკვე ხდება.

ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ წითელ არმიელებისაგან ჩვენ ვამზადებთ მუშაკებს სოფლისათვის. და ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ ყოფილი წითელ არმიელები სოფლად საბჭოებში ყველაზე უფრო აქტიურ მუშაკებს წარმოადგენენ და მათ შესცქერის გლეხური მოსახლეობა. ყოფილი წითელ არმიელი სოფლად ყველაზე საუკეთესო მამხილებელია იმ ნაკლულოვანებისა, რომელთაც ადგილი აქვს როგორც საბჭოთა აპარატის, ისე მის ცალკე წარმომადგენლების მუშაობაში. ყოფილი სამხედრო კორესპონდენტი სოფლად უკვე ხდება გლეხკორად და თავის გარშემო იკრებს სოფლის საზოგადოებრივ აზრს. გარდა ამისა ყოფილი წითელ არმიელი წარმოადგენს მუშაკს კოოპერატიულ დარგში, რადგან წითელ არმიაში ყოფნის დროს მან შეისწავლა როგორც თეორია, ისე ფორმა კოოპერაციის ორგანიზაციისა, იგივე შეიძლება ითქვას გლეხკომებში მუშაობაზედაც. წითელ არმიაში, წითელ არმიელი, ეს გუშინდელი გლეხი, თავით ფეხებამდე გამსჭვალული ინდივიდუალიზმის, ანარქიულობის და უდისციპლინობის სულით, იმსჭვალება კოლექტიური გრძნობით, სოლიდარობის იდეით, და ამიტომ გასაგებია, რომ ისინი (წითელ არმიელები) გავლენას ახდენენ სოფლის ყოფა-ცხოვრებაზე, ისინი აქტიურ წევრებს წარმოადგენენ საზოგადოებრივი-სამუშაოების მოწყობის საქმეში, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, როგორიც არის: „ავიოქიმი“, „რემედასსი“, გლეხკომები და სხვ..

და თუ ჩვენი გლეხის აქტივობა ჩქარი ტემპით იზრდება, მისი კულტურული და პოლიტიკური საჭიროებანი მატულობს, ამაში საკმაოდ დიდი როლი ითამაშა წითელ არმიამ და მისმა დემობილიზაციამ ქმნილმა არმიელმა. და რაც დრო გადის მისი როლი მით უფრო მნიშვნელოვანი და დაუფასებელი ხდება.

აქვე უნდა აღინიშნოს ის უდიდესი როლი გლეხობის კულტურულ და პოლიტიკურ აღორძინების საქმეში, რომელსაც თამაშობს აღორძინების საქმეში, რომესაც თამაშობს წითელი არმია სოფლებზე კულტშეფობის აღების სახით. აქ ჩვენ ამ საკითხზე დაწვრილებით არ შევჩერდებით. თავის თავად ცხადია, რა დიდ მუშაობას ეწევა წითელი არმია ამ მხრივ.

ჩვენმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სწორად და მიზანშეწონილად უნდა გამოიყენონ ყოფილი წითელ არმიელები. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის. საჭიროა მუშაობის გამოსწორება.

ტერიტორიალური მშენებლობა

წითელი არმიის ტერიტორიალური მშენებლობა რუსეთში 1923 წელს დაიწყო. საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო გადასულიყო წითელი არმიის მშენებლობის ტერიტორიალურ სისტემაზე იმ მიზნით, რომ შეემსუბუქებია მოსახლეობისათვის ის ტვირთი, რომელსაც წითელ არმიაში სამსახური იწვევდა, რადგან თითქმის მთელი ახალგაზრდობა, რომელსაც შრომის უნარი შესწევდა, სამოქალაქო ომის წლებშიაც, თვითმპყრობელობის რეჟიმის დროსაც იმყოფებოდა არმიაში და ამრიგად მოწყვეტილი იყო საწარმოო შრომას; გარდა ამისა დიდი არმიის შენახვისათვის სახელმწიფოს აუარებელი ხარჯების გაწევა უხდება (მეფის მთავრობა თავის წლიური ბიუჯეტის 70 პროც. არმიაზე ხარჯავდა და ჩვენს პირობებშიაც სამოქალაქო ომის დროს ასეთივე მოვლენას ქონდა ადგილი) ამიტომ ჩვენი მთავრობა იძულებული იყო უალრესად შეემცირებია წითელი არმია, დაეყვანა მისი რიცხვი 562 ათას მებრძოლამდე და მით შეემცირებია ხარჯები. ამჟამად ჩვენი საკავშირო მთავრობის სამხედრო ბიუჯეტი არ აღემატება საერთო სახელმწიფო ბიუჯეტის 10 პროც.

არმიის ასეთ რაოდენობამდე შემცირებისას საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო გაეთვალისწინებია ის გარემოება, რომ კაპიტალისტურ მსოფლიოსთან შესაძლებელ შეტაკების დროს ასეთი მცირე რიცხოვანი ჩვენი არმია ვერ გაუწევდა სათანადო წინააღმდეგობის მტრების თავდასხმას და სწორედ ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება გადავიდა წითელი არმიის ტერიტორიალურ მშენებლობაზე. ეჭვს გარეშეა, რომ წითელ არმიელების გაწვრთნის ასეთი სისტემა სახელმწიფოს გაცილებით უფრო იაფი უჯდება. ახალგაზრდობის გაწვევა ყოველწლიურად ხუთი წლის განმავლობაში, მხოლოდ ორი თვით ხდება. ამ რიგად ჩვენ ერთდაიმავე დროს ვაღწევთ ორ მიზანს: ერთის მხრით—ვქმნით და ვზრდით წითელი არმიის ახალ კადრებს, მეორე მხრით—წითელი არმიის ორგანიზაციის ასეთი სისტემა თითქმის 60-70 პროც. უფრო ნაკლები ჯდება, ვინემ საკადრო ნაწილებისა. გარდა ამისა, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოქალაქენი, როგორც მუშები, ისე გლეხები, არ არიან მოწყვეტილნი საწარმოო შრომას მთელი ორი წლით (წითელ არმიაში სამსახურის ვადა ორი წლით განისაზღვრება).

რუსეთში დაწყებული ტერიტორიალური მშენებლობის საკმაო გამოცდილების მიხედვით 1924 წელს საქართველოშიაც დაიწყო ტერიტორიალურ ნაწილების მოწყობა. მოეწყო მე-2-რე ტერიტორიალური დივიზია, რომელიც მთელს საქართველოში აწარმოებს მუშაობას ამ მიმართულებით. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამ სისტემამ გაამართლა თავისი თავი როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ აქ მოვიყვანთ საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს რეზოლიუციას, რომელიც ჯერ კიდევ 1925 წლის დასაწყისში იყო მიღებული: „ტერიტორიალურ ნაწილების მოწყობა გასცილდა ცდების ფარგლებს. წითელი არმია შევიდა გეგმიანი ტერიტორიალური მშენებლობის და მისი განმტკიცების ხანაში. ტერიტორიალურ ნაწილების მოწყობის და ჯარების გარეშე მომზადების ცდის პროცესში ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები: ერთის მხრივ უნდა აღინიშნოს ის, რომ ტერიტორიალური სისტემა საერთოდ პრინციპიალურად აღიარებულ იქნა მუშათა და გლეხთა მასებში, ხოლო მეორე მხრივ ამ სისტემის გაღრმავება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ტერიტორიალურ სისტემას არსებულ საკადრო ნაწილებთან ერთად აუცილებლად შეუძლია ბრძოლის უნარის მქონე ნაწილების შექმნის და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის უზრუნველყოფა“. ეჭვს გარეშეა, რომ ზემოდ აღნიშნული რეზოლიუცია მართლაც სწორად და თვალსაჩინოდ გამოხატავს არსებულ მდგომარეობას.

საქართველოს პირობებშიაც ტერიტორიალურმა მშენებლობამ გაამართლა თავისი თავი, რასაც აღიარებდენ როგორც უზენაესი ხელმძღვანელი პარტიული, პოლიტიკური, საბჭოთა ორგანოები, ისე მუშათა და გლეხთა მასები.

საქართველოს და მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა ტერიტორიალურ მშენებლობის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს ჯარში გაწვევამდე მომზადება. უდავოა, რომ ჯარში გაწვეული მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა გაცილებით უფრო უკეთესად და ჩქარა შეითვისებს სამხედრო ცოდნას და სამხედრო ტეხნიკას, თუ მას არმიაში შესვლამდე, გაწვევამდე მინიმალური ცოდნა ექნება სამხედრო მომზადების დარგში; გარდა ამისა, უდავოა ისიც, რომ მომავალი ომები მასიური ხასიათის იქნებიან. ამ ომებში მთელს მოსახლეობას მოუხდება მონაწილეობის მიღება. ყოველივე ამის გამო ამჟამად ჯარში გაწვევამდე მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა, და ამ მხრივ კერძოდ საქართველოშიაც მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ დიდ დაბრკოლებებს აქვს ადგილი: ეს არის სამოსწავლო პუნქტების უქონლობა ან სიმცირე, სასურსათო დაბრკოლებები და სხვა. (წვევამდლები თავის საჭმელ-სასმელით ცხადდებიან). სახელმწიფო ამ მხრივ ყოველგვარ ზომებს ღებულობს, დახმარებას უწევს ღარიბ გლეხობას საჭმელის მიცემით და სხ. გზით.

ა. კვირიკაძე.

საბჭოთა საქართველო

მეწისქვილეების თავაშვებულობას ბოლო უნდა მოეღოს

არის ერთი ჯურის მყვლეფელები სოფლად, რომელზედაც იშვიათად იწერება ჩვენს გაზეთებში, მაგრამ, რომლებიც გლეხებში ხშირად დიდ უხიამოვნებას და უკმაყოფილებას იწვევენ.

ესენია მეწისქვილეები. ხშირია შემთხვევები, როცა ფუთ დასაფქვავზე, სიმინდზე თუ ხორბალზე მეწისქვილეები 4-5 გირვანქას ღებულობენ მინდათ. ეს კიდევ არაფერი, რომ ზოგჯერ წისქვილებში ადგილი აქვს ქონდეს დაუშვებელ ბოროტმოქმედებას. ზოგიერთ სასწორები, ან საწყავი ისეთებია, როგორიც ეს მემინდეების ჯიბეებს მოუხდებათ. ზოგჯერ კი გლეხს მეწისქვილის სასწორის არაფერი გაეგება, სწორიც რომ იყვეს ეს სასწორი.

აღსანიშნავია, რომ ამას სჩადიან, როგორც კერძო მესაკუთრე მეწისქვილეები, ისე ზოგჯერ სახელმწიფო წისქვილების მოიჯარადრეებიც. ადგილობრივ აღმასკომები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ მოვლენას, გლეხები კი იყვლიფებიან, ყველაზე მეტად ამ შემთხვევაში ლობს სწორეთ ღარიბი გლეხობა, რომელიც ხშირათ საფქვავი ქირნახული მამასახლათ უჯდება, რადგან საკუთარი მათ გააჩნიათ. ამ ბოროტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ხშირ-ხშირად სწარმოებდეს წისქვილების სასწორთა და საწყავების შემოწმება. ამასთანავე საჭიროა დაწესებულ იქნას გარკვეული მინდი, რომლის ზევითაც არავის ექნება უფლება გადაახდევინოს გლეხს რაიმე დაფქვის ფასში.

თვითეულ ბოროტმოქმედების შემთხვევაში დამნაშავე მეწისქვილე სასტიკად უნდა დაისაჯოს, რომ ამით სხვებმაც ისწავლონ ჭკუა.

თუ ეს არ მოხდა, მაშინ უსათუოდ გამართლდება ანდაზა, რომელიც მეწისქვილეებზე არის ნათქვამი: „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“.

მინდელი.

მიხედთ ქვაციხეს

(წერილი შორაპნის მაზრიდან)

სამი წელიწადი გავიდა, რაც ქვაციხის თემში მდინარე ბუჯაზე დაიწყეს ხიდის აგება. ეს ხიდი დიდ საჭიროებას წარმოადგენს ჭიათურაში სამუშაოთ ხარ-ურმით მიმავალ გლეხებისათვის. საშინელი აქაფება იცის და ხშირია შემთხვევა, როცა გლეხებს სამი დღე უხდებათ მდინარის ნაპირას ცდა.

1923 წელს. ხალხმა დაადგინა მდინარეზე სოფ. ქვაციხის მახლობლათ გაეკეთებინა ხიდი. აირჩიეს რწმუნებულები და შეუდგენ ფულის აკრეფას. სოფლებს გაეწერა დაახლოვებით 1000 მანეთი. გლეხებმა [illegible] ტანიეს ხე-ტყე და ქვა. გლეხები მოუთმენლად მისჩერებოდენ ხიდის დამთავრებას, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და ის დღემდე დაუსრულებელია. რაც გააკეთა მოიჯარადრემ, ისიც ხელახლა დასანგრევია უვარგისობის გამო. გლეხები ერთმანეთს შესჩივიან: „ფული გადავიხადეთ, მასალა მივეცით, წარმოდგენებიდან ბევრი აიღეს და [illegible] ბაზრობაზე ყოველ შაბათობით ხიდის სასარგებლოთ შეწირულებას აგროვებდენ, მაგრამ საქმე მაინც გაუკეთებელი დარჩა. ხიდისათვის დაგროვილი მასალა მთლათ გაიფლანგა.

რას ნიშნავს ეს? აშკარაა აქ ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას. იმედია ამ საქმეს მიაქცევენ ყურადღებას.

ამავე თემში არსებობს სათემო სანიმუშო სამკითხველო. ასეთი „სანიმუშო“ მის გამგეს მოხმარდეს. თუ ვინმემ გამოიწერა მავალითათ 9 თვით გაზეთი „ახალი სოფელი“, ხელისმომწერი, თუ ის მარჯვეთ იქნა, მიიღებს მხოლოდ 2 ცალს. დანარჩენის იმედი ნულარ ექნება. თვით სამკითხველოზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

იმედია აქაური მოწინავე მშრომელი გლეხობა და ინტელიგენცია მიაქცევს ამ საქმეს ყურადღებას.

გზირი.

რაზე უნდა იზრუნოს ახალმა საბჭომ?

(დიდი-თონეთი, თბილ. მ.)

დიდ თონეთში და მათ ახლო მდებარე სოფლებში საბჭოს არჩევნები მოხდა 7 თებერვალს. ყველა სოფლებში კრებას დაესწრო ამრჩეველთა დიდი უმრავლესობა. არჩეული იქნა საბჭოს 37 წევრი და 10 კანდიდატი. მათ შორის 40 მამაკაცი და 7 ქალი. პარტიული მიმართულებით: კომუნისტი წევრი 19, კომკავშირელი 5 და უპარტიო 30. ყველა დეპუტატები ღარიბესი [illegible]. 8 თებერვალს შესდგა ახალი სხდომა. საბჭოს თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს ადგილობრივი გლეხი ამხ. შაქრო თაყნიაშვილი.

14 თებერვალს შესდგა მანგლისის თემის საბჭოს სხდომა, რომელშიაც შედის 4 სოფლის საბჭო. ამ სხდომაზე აირჩიეს საბჭოს აღმასკომი და ახალი თავმჯდომარე.

მთელი თემის გლეხობა ავალებს თემის ახალ საბჭოს იზრუნოს სოფლებში წყალსადენების და გზების გაკეთებაზე.

მასწ. მირ. კუტუბიძე.

[illegible] ექიმბაშები

(თიანეთი, თბილ. მ.)

ტყუილა არ უთქვამს ძვენს ძველებს, ზოგი ჭირი მარგებელიაო. წაიკიდა თიანეთის ფერშალი და ფარმაცევტი. სანამ მათ ორის შავი კატა გაირბენდა, ორივე [illegible] მართალი და უმწიკვლო ბიჭები [illegible] დღეს კი, ფარმაცევტს რომ ჰკითხოთ, ფერშალი ქვეყნის დამაქცევარი კაცია, ფერშალი კი ფარმაცევტს დედამიწის ქვეშ აძვრენს, ისეთ ბრალდებებს უყენებს. [illegible] კენ ორი მოპირდაპირენი ერთმანეთს [illegible] სულს, აშკარავებენ დღევანდელ [illegible] დულო მოღვაწეობასაც.

— შენ გლეხს ავადმყოფის [illegible] ფასათ ბურაკები გამოართვი, [illegible] ტყუნებ გაჭირვებულ გლეხების [illegible] და სოფელს ატყავებ,—ეუბნება ფარმაცევტი ფერშალს და განცხადებას მიარბენინებს აღმასკომში.

— შენ მდარე ფასის წამალს ამზადებ და ზედმეტ ფასებში ჰყიდი, ეუბნება ფერშალი ფარმაცევტს და ისიც გარბის საჩივლელად აღმასკომში. ასე და ამრიგად მოსდგენ ერთმანეთს და ვინ იცის რამდენი დამხრჩვალი კატა არ ჩამოიკიდეს კისერზე. ჩხუბობს თაგვი და თხუნელა, კინკლაობს ჯანმრთელობის მუშაკები.

საქმე კი გაჩერებულია. ჭოთიაქს ლუქი ადევს გამოძიების მოლოდინში. გლეხები წამლებს ეძებენ და ვერც ცუდს შოულობენ, ვერც კარგს. გაიხაროს ექიმბაშის გულმა.

კლ. ბუკია.

წერილებიდან

დავალებები ახალ საბჭოს

(ფოცხას თემი, სენაკის მაზრა)

ამ თემში საბჭოთა არჩევნები 15 თებერვალს მოხდა. საბჭოში სულ 48 დეპუტატია არჩეული. მათ შორის; 8 კომუნისტია, 2 კომკავშირელი და 22 უპარტიო. დეპუტატათ არჩეულია ერთი ქალი.

საარჩევნო კრებამ ახალ საბჭოს დაავალა ზრუნვა გზების შეკეთებაზე, საფერშლო [illegible] გაჯანსაღებაზე და სხვა.

[illegible] საბჭოს სხდომა შესდგა იმავე დღეს. [illegible] აირჩიეს აღმასრულებელი კომი-

კ. პაპასკირი.

მეწისქვილეები გათამამდნენ

(ჩვენს თ[illegible] აბაშა, სენ. მ.)

[illegible] რეებს აქვთ კერძო პირებს და მოიჯარად-[illegible] აძრობენ [illegible]სქვილები, რომლებიც ტყავს 4—5 გირ. მიცხას; ფუთ სიმინდზე იღებენ ადგილობრივმა [illegible] წინააღმდეგ ზოლისუფლებამ მიიღო ამის [illegible] ბამაც გამოიტანა. თემის საზოგადო კრებამ [illegible] მოლებოდა მოი[illegible]დგენილება, რომ ბოლო კერძო მეპატრონეებმა და წისქვილის [illegible]რის შესახებ ადგი[illegible] ასეთ ბოროტებას, მიერ აღძრულ იქნა [illegible]რივ თემალმასკომის აღმასკომის წინაშე შუამდგომლობა მაზრის [illegible] მაგრამ შედეგს ვერ ვხედავთ.

ეს ვაჟბატონები კი [illegible]სას არ იშლიან.

პერო.

გამოცოცხლების გზით

(თიანეთი, თბ. მ.)

მას შემდეგ, რაც თიანეთი შეუერთდა თბილისის მაზრას, მას დაეტყო გამოცოცხლება. განსაკუთრებით დიდი [illegible] სვლა ეტყობა არჩევნების შემდეგ.

აღმასკომში მუშაობენ გამოცდილი მუშაკები.

ამ უკანასკნელ ხანებში ამუშავდა ელექტრო- სადგური. დღეს თიანეთის სახლები, ქუჩები და დაწესებულებები განათებულია ელექტრ. კეთდება ქუ-ბი სოფლად, რომელზედაც იყრება ქვა, გამოყავთ წყლები მილებით რამოდენიმე ადგილას დაბის სხვადასხვა კუთხეებში.

მიდის კაპიტალური რემონტი, როგორც დაწესებულებებში ისე სკოლებში. ერთი სიტყვით თიანეთი დაწინაურების გზაზეა შემდგარი. უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში საქმე კიდევ უკეთ წავა.

კლ. ბუკია.

ცაგერი

ვერ ელევიან. ერთხელ უკვე იყო გაზეთის ფურცლებზე მოთავსებული ცნობა, რომ ცაგერის საავადმყოფოს საწოლები დანაწილებული აქვს ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკებს, მაშინ, როცა საავადმყოფოში ნაკლებობაა საწოლების. მიუხედავათ ამისა გლეხკორის ხმა უყურადღებოდ დარჩა და სახაზინო საწოლები ძველებურათვე კერძო პირების განკარგულებაში იმყოფება.

ბ. უბანეიშვილი.

ბანძა, (სენ. მ.)

წისქვილი ციებას აჩენს. ყოფილ ფალავახაინდრავას წისქვილი მუშაობს მდ. აბაშის წყით. ამ წისქვილს სათავე დიდი აქვს—კალაპოტი კი ვიწრო. ამის გამო წყალი გადადის საყანე მიწებზე და სახელმწიფო მიწებზე, სადაც მუდმივი ტბები დგება და ირგვლივ ჰაერი იწამლება. ახალმა საბჭომ ეს ნაკლი დაჩქარებით უნდა გამოასწოროს.

ი. ძაძამია.
კა.

ს. გორისციხე (დუშ. მ.)

მთა იღვიძებს. ხევი საერთოდ ჩამორჩენილი კუთხეა, მაგრამ ამ ბოლო ხანს აქაც შემოატანა განათლების შუქმა. გორისციხის გლეხებმა გახსნეს ამხან.—ფილ. ფახარაძის და ს. გეგეჭკორის სახელობის კლუბი. გამოწერილია ჟურნალ-გაზეთები და გლეხებიც ეტანებიან მათ, მაგრამ არა გვაქვს სხვა ლიტერატურა. მაზრის პოლიტგანმა უნდა გაუწიოს მთას დახმარება.

მელიქაძე.

განათლების ფრონტზე

მუშფაკები

მსმენელთა რიცხვი

ამჟამად საქართველოს 5 მუშათა ფაკულტეტზე (4 თბილისში და 1 ბათომში) სწავლობს 2.000 კაცი, რომელთაგან 350 ქალია.

ამ მუშფაკებში გავლილთა უმრავლესობა იმყოფება უმაღ. სასწავლებელთა მესამე კურსზე.

შეღავათი მსმენელებს

საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით მუშფაკების უკანასკნელ კურსის მსმენელნი თავისუფლდებიან მუშაობიდან ჩვეულებრივზე ორი საათით ადრე.

განათ. სახ. კომისარიატი სახ. უნივერსიტეტის მუშფაკთან აწყობს სასადილოს.

მუშფაკის შენობის შეკეთება

მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისში შეკეთებულ იქნება უნივერსიტეტის მუშფაკის შენობა, ამის შემდეგ ბევრათ გაუმჯობესდება საერთო საცხოვრებელი პირობები სტიპენდიანტებისა, რომელთა რიცხვიც აღწევს 400-დის.

რკინის-გზის მუშფაკი

თბილისის რკინის-გზის მუშფაკი გადარქმეულ იქნა სახ. უნივერსიტეტის რკინისგზელთა მუშფაკათ.

საბინაო მშენებლობა

მუშათა სახლების აგება

პროფსაბჭოს საგანგებო კომისიამ განიხილა და დაამტკიცა საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირის პროექტი სახლების აგებისა მუშათა რაიონებში—ორთაჭალის, ვერის და პლეხანოვის უბნებში.

პროექტით აგებულ იქნება 3-სართულიანი სახლები, თვითეულ სახლში იქნება 12 — 24 ორთვალიანი ან ერთ ოთახიანი ბინა.

პირველ რიგში საბინაო ამხანაგობათა კავშირი სახლების აგებას შეუდგება ორთაჭალაში ტყავეულობის და ზეთ-საპნის ხახდელ ქარხნების მუშებისათვის. გარდა ამისა, ორთაჭალაში რემონტი უკეთდება ძველ მუშათა სახლს.

[illegible] გამოთხოვა საბინაო მშენებლობისათვის

მუშათა საბინაო მშენებლობის ა. კ. დამხმარე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრალურ კომუნალურ ბანკის წინაშე, რათა 1925—26 წლისათვის ა.-კ. საბინაო მშენებლობისათვის გადადებულ იქნეს სესხად 9.698.400 მანეთი.

ამ თანხით მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში განზრახულია აგებულ იქნეს აზერბეიჯანში—1.717 ბინა, საქართველოში—796 ბინა და სომხეთში—187.

მუშათა საბინაო ამხანაგობებს შორის გრძელვადიანი კრედიტების საბოლოო განაწილება 1926 წლისათვის ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

მოსკოვიდან მიღებული წინასწარი ცნობებით, ცენტრალურ კომუნალურ ბანკს გადაწყვეტილი აქვს ამიერ-კავკასიის ყველა მშენებელ ორგანიზაციებს 1926 წლისათვის მიეცეს გრძელვადიანი კრედიტი 3 მილიონ მანეთის რაოდენობით.

საქართველოს ექიმთა მე-4 კონგრესი

საქართველოს ექიმთა მე-3 კონგრესის დადგენილების თანახმად ამა წლის 21-25 მაისს, თბილისში მოწვეული იქნება საქართველოს ექიმთა მე-4 კონგრესი. მომავალ კონგრესის საპროგრამო საკითხებად გამოცხადებულია:

1. ამებიაზის საკითხი საქართველოში:
   - ა) თანამედროვე გავრცელება ამებიაზის შესახებ.
   - ბ) ამებიაზის გავრცელება და მასთან ბრძოლა საქართველოში.
2. კვების საკითხი.
3. ალკოჰოლიზმი, 4. სიმსივნეები და 5. აბორტი.

გარდა საპროგრამო საკითხებისა, კონგრესზე დაშვებული იქნება აგრეთვე მოხსენებები არა საპროგრამო საკითხებზე.

მე-4 კონგრესის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტი უკვე შეუდგა სამზადისს აღნიშნულ კონგრესისათვის. დაგზავნილია მოწოდებები ყველა პროვინციელ ექიმებისადმი, რომელთა მონაწილეობას კონგრესზე აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან კონგრესის ყველა პრაქტიკული შედეგები, უფრო შეფარდებული იქნება საქართველოს ცხოვრების სინამდვილესთან.

ჯანმრთელობის სახ. კომისარის მიერ უკვე დაგზავნილია მიწერილობა ყველა მაზრის აღმასკომების სახელზე აღნიშნულ კონგრესზე პროვინციელ ექიმების მივლინების შესახებ.

რაჭის გზებზე

მთის ჩამონგრევა

18 მარტს, დაახლოებით დღის 2 საათზე, სალიეთ-ქიათურის სადგურების შუა ჩამოინგრა მთა, რამაც ხელი შეუშალა მოძრაობას. ჩამონგრევის ადგილზე გაემგზავრა მეოთხე უბნის სალიანდაგო დარგის უფროსი ზომების მისაღებათ. ენერგიულ მუშაობით ხაზი გაიწმინდა ღამის 11 საათზე და 25 წუთზე. მთის ჩამონგრევის გამო მატარებელი № 3 გაჩერებული იყო ჭიათურაში 5 საათის განმავლობაში.

ფოილოს ხიდი

მუშაობა ფოილოს ხიდის ასაგებათ, თითქმის დამთავრებულია. / დარჩენილია კიდევ მცირე სამუშაო, რომელსაც დაამთავრებენ მოკლე ხანში.

ქსანის ხიდი

ამ დღეებში დაიწყება ახალი ხიდის აგება მდ. ქსანზე. ნიადაგის წინასწარმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ განზრახულ ადგილზე ხიდის აგება სიძნელეს არ გამოიწვევს.

საჯევახოს ახალი ხიდი

ნაცვლად არსებული, ძველი საჯევახოს ხიდისა ამ.-კავ. რკ. გზები შეუდგენ ახალი ხიდის აგებას. ჯერ-ჯერობით შესრულებულია მიწის სამუშაოები, დროებითი ლიანდაგის დაგება და სხვა.

საბჭოთა სასამართლო

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა საქმე

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას.

ბრალდებული ბაქრაძე თავს სცნობს დამნაშავედ, სახაზინო ფულების მითვისებაში. ბრალდებული უარყოფს იმ გარემოებას, რომ თითქოს ბუჰგალტერიის თანამშრომლებთან რაიმე კავშირი ჰქონოდეს ამ ნიადაგზე. მისი სიტყვით ბრალდებულებს არავითარი წინასწარი მოლაპარაკება არ ჰქონებიათ სახაზინო ფულების გაფლანგვის შესახებ. სალაროში თანხის დაკლებას იგი ხსნის იმ გარემოებით, რომ როდესაც კონტროლიორებს აბონენტებისაგან აღებული თანხა შეჰქონდათ სალაროში, ბაქრაძე მათ აძლევდა სათანადო ხელწერილს. ქვითარის ძირები, რომელიც მას სალაროში რჩებოდა, მიჰქონდა საანგარიშო ნაწილს, რაზედაც მოანგარიშეებს ხელწერილს არ ართმევდა. სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა იგი ამ შემთხვევაში, განაცხადა, რომ ბუჰგალტერიის თანამშრომლებს ვენდობოდი.

ბრალდებული ქავთარაძე ზოგიერთ ბრალდებებში არ სცნობს თავს დამნაშავედ.

ბრალდებული გრიშაშვილი თავის ჩვენებაში არკვევს იმ ქაოსს, რომელიც აღნიშნულ უწყების საანგარიშო ნაწილში სუფევდა და რომლის შედეგი იყო მისი პროლეტარული სამსჯავროს წინაშე წარსდგომა.

ბრალდებულმა მელიავამ თავი სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ ნაწილი მითვისებული ფულებისა დახარჯა ოჯახური საჭიროებისათვის.

ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

მოწმე ლეჟავა, რომელმაც აღნიშნული ბოროტმოქმედება აღმოაჩინა დაწვრილებით უამბობს სასამართლოს სამმართველოს საფინანსო-საანგარიშო და მატერიალურ ნაწილში გამეფებული ქაოსის ისტორიას. იყო შემთხვევა, როდესაც ბრალდებულ ქავთარაძეს ერთ დღეს შინაურულად 150 მანეთი გაუტანია ავანსად (ჯამაგირს 110 მან. ღებულობდა). ავანსების გაცემას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. საავანსო სიებში გატანილ ფულებს სხვაგვარად აღნიშნავდენ. მსხვილი ავანსების გატანას აწარმოებდა აგრეთვე ადმინისტრაციაც. ყოველდღიური შემოსავალ-გასავლის ოპერაციები არ ტარდებოდა ბუჰგალტერიის წიგნებში, არ ტარდებოდა წიგნებში აგრეთვე წლიური ბალანსი და მრავალი სხვა.

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე სასამართლომ დაკითხა მოწმე გაჩეჩილაძე და პოლოსოვი, რომლებიც იმეორებდენ წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებს.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

ქრონიკა

ამხ. სემკოვის გამგზავრება

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. სემკოვი გადაყვანილია სრულიად საკავშირო პროფსაბჭოში ამხ. სემკოვი ამ დღეებში გაემგზავრება მოსკოვში.

საქართველოს მუზეუმში

უკანასკნელ ხანებში საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ყოველთვიურად მიდის 1000 ექსკურსანტი.

მუზეუმი ფიქრობს, დიდი სარდაფი, რომელიც მოთავსებულია იმავე შენობაში გამოიყენოს ნაციონალურ წიგნთსაცავის მოსაწყობად.

თბ. აღმასკომში

◆ **ტრამვაის მუშათა სახლი.** თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიამ შეადგინა სპეციალისტებისაგან კომისია არქიტექტორ ჩოსლიავის მიერ წარმოდგენილ მუშათა სახლის პროექტის განსახილველად. სახლი აგებული იქნება პლეხანოვის გამზ. და მუშტაიდის ბაღის კუთხეში. სახლი დაიტევს 1200 მუშას და აგებული იქნება ქართულ სტილზე.

◆ **წყალსადენის სამმართველომ** შეიმუშავა წყლის გადასახადის ახალი წესი, რომელიც ამ დღეებში დაურიგდება გადამხდელებს.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატში

◆ **თათბირი.** მიწათ-მოქმედების-სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა თბილისში ახლო ხანში მოიწვიოს საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებათა სრ. საქართველოს თათბირი.

◆ **დოლი.** კომისარიატის ცნობით დოლი გაიხსნება 18 აპრილს. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 70 საუკეთესო ჯიშის ცხენი.

◆ **მევენახეობა.** მიწათ-მოქმ. კომისარიატის ცნობით საქართველოში დღემდე გაშენებულია 188 დესეტინა ამერიკული ვაზის სახელმწიფო სანერგე.

წყალთა სამმართველოში

◆ **წილკანის წყალსადენის აღდგენა.** საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა წილკანის წყალსადენის აღდგენის საქმეს.

◆ **აჯამეთის არხი.** წყალთა მეურნეობის [illegible] ოიებში შეუდგება აჯა[illegible] სამმართველო [illegible] მეთის არხის გაწმენდას და [illegible]

კბილის ტექნიკოსები

საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ყველა ის პირნი, რომელნიც აწარმოებდენ კბილის ტექნიკურ სამუშაოს და სათანადო მოწმობები არ აქვთ, ვალდებული არიან ჩააბარონ გამოცდები კბილის ტექნიკოსთა წოდების მისაღებათ. გამოცდების ჩაბარება სწარმოებს სახ. უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში. გამოცდების პირველი სესია უკვე დასრულდა. უკანასკნელი გამოცდების სესია შესდგება ა/წ. 20 აპრილს.

სხვადასხვა

◆ **საკავშირო მთავრობის** დადგენილებით ახალქალაქის მაზრას დახმარების სახით მიეცა 100.000 მან.

◆ **საქართველოს მუზეუმში** მოკლე ხანში მოეწყობა მცხეთის მიდამოებში აღმოჩენილ უძველეს სამარხების გამოფენა.

◆ **ახალი სოფელი.** სიღნაღის მაზრაში მელაანიდან 2 ვერსის დაშორებით შენდება ახალი სოფელი „ახალი ჰალაუბანი“.

◆ **შინამრეწველები.** სას.-სამ. აღწერის მიხედვით მთელ საქართველოში ამჟამად ითვლება 100 ათასამდე შინამრეწველი.

კრებები და მოხსენებები

◆ **ქართულ მეთაურთა სამხედრო** სკოლაში დღეს, საღამოს 7 ს. შესდგება საზეიმო სხდომა ქართული ჯარის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად. კრების შემდეგ გაიმართება აჭარელთა საღამო. სთხოვენ თბილისში მყოფ ყველა აჭარლებს დაესწრონ ხსენებულ საღამოს.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** კვირას, 21 მარტს, საღამოს 7 საათზე მე-14 შრომის სკოლის სასარგებლოდ მოეწყობა კინო.

◆ **ქართული საენათ-მეცნიერო საზოგადოება.** სამშაბათს, 23 მარტს, საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის საუდიტორიო დარბაზში შესდგება საჯარო სხდომა; წესრიგი: 1. მსჯელობა ვარ. თოფურიას მოხსენების შესახებ: „ზოგიერთ ქართულ სიტყვათა ეტიმოლოგია“ და 2. მაკარ ხუბუას მოხსენება: „ხმოვანთა დამსგავსებისათვის მეგრულში“.

შემთხვევები

◆ **დაჭრა.** 19 მარტს კომუნალურ ქუჩაზე ღამ 11 საათზე ნიკოლოზ ლავროვმა სასიკვდილოდ რევოლვერით დაიჭრა თავი.

◆ **გადაჭრა.** 19 მარტს ნაშუადღევს თბილისის რკ. გზის სადგურზე პირველ სემაფორთან მატარებელმა გადაჭრა კოზმან გიორგის ძე ბერიშვილი. გვამი გადაგზავნილი იქნა რკ. გზის საავადმყოფოში.

◆ **გაუპატიურება.** 10 მარტს, სოფ. პოსელენიაში არსენ ოქროპირიძემ გააუპატიურა 5 წლის ბავშვი მარია ეფიმის ასული კომიშინა. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ **შეპყრობა.** 19 მარტს ტარიელოვის ქუჩაზე ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ქუჩაში მოხეტიალე მიტკა მილიმოშკა.

◆ **ქურდობა.** 19 მარტს მოსკოვის ქ. № 7 სტეფანე გაბრიციანის ბინიდან მოიპარეს 260 მ. ნივთები.

ამავე დღეს გაქურდეს მარიამ წერეთლის ბინა. წაიღეს 105 მ. ნივთები.

ამავე დღეს პლეხანოვის გამზ. № 35 გაქურდეს სერგო ფირალოვის მაღაზია. წაღებულია 323 მ. ნივთები.

ამავე დღეს პლეხ. გამზ. № 48 მარიამ აირაპეტოვის ბინიდან მოიპარეს 250 მან. ნივთები.

18 მარტს, პლეხ. გამზ. № 26 გაქურდეს არარატოვის საპარიკმახერო.

ამავე დღეს, კამოს ქუჩა № 81 გაქურდეს სტეფანოვის სავაჭრო.

16 მარტს მცხეთაში გაქურდეს ზარაკოვსკის ბინა.

ხელოვნება

ოპერა მუშებისათვის

ახალგაზრდა მუსიკალურ ძალებისაგან შესდგა საოპერო დასი, რომელიც მიზნად ისახავს ოპერების გამართვას მუშათა კლუბებში, რათა მშრომელთა ფართო მასებს საშუალება მიეცეთ მოისმინონ ოპერები სულ მცირე თანხის გაღებით. საოპერო დასში მონაწილეობას იღებენ ამ დარგში დახელოვნებული, მუყაითი და საქმის მოყვარულნი მუშაკნი. ისინი მიზნად არ ისახავენ მოგებას, მუშური ოპერის საქმეს თაოსნობს ამხანაგობის საფუძველზე შემდგარი ჯგუფი. საოპერო დასმა მუშაობა დაიწყო ლენინის რაიონიდან. უკვე შესდგა პირველი სანიმუშო წარმოდგენა როსინის „სევილიელი დალაქი“. ორგანიზაციას სათავეში უდგას კოლეგია, რომელშიაც შედიან: ბარიტონი გაგუა, კაპელმეისტერი პოლიკარპე ფალიაშვილი და სხვ. პირები, რომელთაც უმუშავიათ მუსიკალურ და თეატრალურ დარგში. შემსრულებლები არ არიან დაყოფილი პირველ და მეორე ხარისხოვან ძალებად. ამხანაგობის ყველა წევრები თანაბარ მუშაობას ეწევიან რეპერტუარის შესრულების საქმეში. სარეჟისორო ნაწილს განაგებს სახელმწიფო ოპერის რეჟისორი ყურბანი. დასს ჰყავს ბალეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბალეტმეისტერი სერგეევი. გარდა ამისა სახელმწიფო ოპერა ყოველმხრივ დახმარებას უწევს მუშურ ოპერას, აწვდის მას კოსტიუმებს, რეკვიზიტს, საჭირო დეკორაციებს. საოპერო დასი ლენინის რაიონიდან თავის მუშაობას გაავრცელებს ქალაქის სხვა რაიონებშიაც. შემდეგში კი მუშაობას განავითარებს მთელს რესპუბლიკაში, გამართავს წარმოდგენებს პროვინციის მუშათა კლუბებში და თეატრებში. ორკესტრს ხელმძღვანელობენ ახალგაზრდა კაპელმეისტერი პოლიკარპე ფალიაშვილი და მიხეილ მარკმანი. ორკესტრი 25 კაცისაგან შესდგება, გუნდი—კაცისაგან. პირველმა წარმოდგენამ „სევილიელი დალაქი“, რომელიც შაბათს დაიდგა ნაძალადევის თეატრში, დიდძალი მუშები მიიზიდა. წარმოდგენამ საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა. მზადდება დასადგმელად: „რიგოლეტო“, „დემონი“, „კარმენი“.

მუსიკოსი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ს. ინაშვილი** [illegible] დღეს იმღერებს ოპერა „დაისში“.

◆ **„ლამარა“.** რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ლამარა“.

◆ **„ნიკოლოზ პირველი“.** დღეს წითელ თეატრში წარმოდგენილი იქნება „ნიკოლოზ 1-ლი“ ვ. გარრიკის რეჟისორობით.

◆ **ხარფუხის მუსიკალურ სასწავლებელში** ხვალ გაიმართება მოწაფეებისათვის დახურული საღამო მასწავლებელთა ძალებით.

◆ **ანრი ჟილ-მარშეს** მეორე კონცერტი გაიმართება დღეს კონსერვატორიის დარბაზში.

◆ **ცირკში** დღეს გასტროლი ძმ. ტანტეების ახალი პროგრამით.

◆ **„ნათელა“.** საქ. კინომრეწველობის ახალი სურათის „ნათელას“ ჩვენება დაიწყება ამ დღეებში „არფასტო“, „სოლეი“ და „აპოლო“-ში. ამჟამად სურათი მიდის მოსკოვში.

◆ **ილია ჭავჭავაძის ნაწერები.** რედაქციამ მიიღო ილია ჭავჭავაძის სრული კრებულის პირველი ტომი. გამოცემა „ქართული წიგნი“-ს. წიგნს თანდართული აქვს ავტორის სურათი და ფაქსიმილეები. წიგნი შეიცავს 400 გვ.

◆ **„ნანა შვილო“.** გამოვიდა და იყიდება ზ. ფალიაშვილის ახალი რომანი „ნანა-შვილო“.

დღის კინოებში

- ◆ **აპოლო** „ჯვარი და მაუზერი“.
- ◆ **არფასტო**—„ნიბელუნგები“.
- ◆ **სოლეი**—იგივე.
- ◆ **ოდეონ**—„ორი ობოლი“.

მეცხვარე

ავდივარ მეცხვარეთა საზოგადოებ[illegible] „მწყემსის“ [illegible] კაცი. ზედ[illegible] „მწყემსის“ [illegible] ბარათ[illegible]

— [illegible] არის „მწყემსი“?

— შე კაი კაცო, „მწყემსიდან“ არ მოდიხარ, მა სად ყავდი აქა?

— ვიყავი, მაგრამ ზედ არაფერი აწერია და უკან გამოვბრუნდი.

ავდივართ ორთავენი,

„მწყემსის“ კარებთან გრძელ სკამზე მძიმეთ ზის ორი მწყემსი.

მე მივუბრუნდი ჩემ თანამგზავრს:

— შე კაი კაცო, იმაზე უკეთესი წარწერა გინდა? აგერ ცოცხალი მწყემსები სხედან კარებში. ასეთ წარწერას ვინ არ წაიკითხავს, გინდაც ინჩი არ გაეგებოდეს ანბანისა!

ჩემ თანამგზავრს შერცხვა და უხერხულად შეაღო კარი.

მეც ვაპირებ შესვლას.

ამ დროს ნაპირზე მჯდომი მწყემსი წამოდგა და თამამად მეუბნება გამარჯობას.

სალამზე სალამი ვის დაუშლია!

— გაგიმარჯოს ძმობილო! მაგრამ რომ ვერა გცნობ!

— ერთ წელიწადში განა ეგრე გავიწყდება ნაცნობი კაცი?

ვაკვირდები.

ნეტა ვინ არის ეს უწვერულვაშო ვაჟი? სახეში გამოსჭვივის რაღაც კეთილშობილური იერი. თანაც ეტყობა სისასტიკეში შერეული გამოცდილება, რაც დარბაისლურ შთაბეჭდილებას სტოვებს ჩემში.

მწყემსი წელში გაიმართა. ხანჯალიც გაისწორა. თვალი მოვკარ მის ყვითლად გადალესილ ქარქაშს და ვიცან ვინც არის.

— ეს ხომ მარო მაყაშვილია!

უკვე ნაცნობის თვალით ხვნედ-დავხედე ამ ნაცად მეცხვარეს, რომელსაც პირველად შევხვდი ერთი წლის წინედ.

ტანზედ აცვია ახალი მაზარა, ქვეშ კაბა დევ—ტყავი, რომლის შავათ შემოვლებული ბეწვიც მოსჩანს მაზარის გარეთ და რაღაც კოხტა იერს აძლევს იმის პატრონს, თავზედ კი ახურავს გუმბათის მსგავსი შავი ბუხრის ქუდი.

—როგორა ხარ მარო?

— ცხვარი კარგად მყავს და მაშ მეც კარგად ვიქნები!

— წრეულსაც იქნები ყრილობაზე შირაქში?

—ჰაი, ჰაი, რომ ვიქნები! მოხსენება უნდა გავაკეთო!

— რა[illegible] [illegible]ივან. მთავარ საკითხს წარმოადგენს [illegible]

აქ მაყაშვილმა ეშმაკურად ჩაიცინა.

— ქება უნდა შევასხა ჩვენს გამგეობას, რომ ფულსა და პურს უხვად გვირიგებს თავის დროზე.

— თუ კი არა აქვთ, რა ჰქნან?

— თუ ეხლა ვერ მომეშველენ, აბა ცოტა ხნის მერე მეც კი მექნება. ორი კვირის შემდეგ ისეთი ბატკნები გამოვიყვანო, რომ ავი თვალით არ ინახვებოდეს! დოლაბა უკვე ჩამომითავდა. რაღაც ათიოდე ცხვარილა მყავს მოსაგები.

